დამოუკიდებელი და ზეპარტიული

WWW.ASAVALI.COM

# ასავალ დასავალი

2023 წლის
27 ნოემბერი - 3 დეკემბერი

N51 1515

ფასი 3 ლარი
და 90 თეთრი

# თემურლენჩის შემო-სევა







სახელმწიფოსათვის გრიგორიადისის შეწყალება სააკაშვილის შეწყალებაზე უფრო საშიშია!

# მოლოტოვის პრეზიდენტი



2-3

4

5

## ძირს ქართველებზე ალესილი ალასანია!

## ძაღლიან სამწუხაროა!

13





მოსამართლემ სააკაშვილი ალარ გამორთო!

12



ჩამოაგდეთ წალენჯიხის ავტო-ბუსიდან!

8-9

## კოჭლამაზაშვილმა მოიკოჭლა!




# ნაცენტრილები



10-11

მამუკა ხაზარაძის უბორნიაში „საქართველოს დაცვის აქტი" დაიწერა!



16

ზუსტად 85 წლის წინათ, 1938 წლის 25 ნოემბერს, სტალინმა ლავრენტი ბერია საბჭოთა კავშირის №1 ჩეკისტი გახადა!

# დაფუნანსებულები

6-7

# თემურლენჩის შემოსევა

**_საყოველთაოდ ცნობილი პერსონის შესახებ იტყვიან ხოლმე — ამა და ამ კაცს საზოგადოების წინაშე წარდგენა არ სჭირდებაო... სწორედ ასე, თემურლენგს ქართველი ხალხის წინაშე წარდგენა არ სჭირდება, რადგან მან 1386-1403 წლებში რვაჯერ ააოხრა საქართველო და ჩვენს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სასტიკი დამპყრობლის სახელით დარჩა._**

ქართველი საზოგადოების წინაშე განსაკუთრებული წარდგენა არც **თემურლენჩს** სჭირდება!

**თემურლენჩი თემურლენგის** სულიერი და იდეური ჩამომავალია, რომელიც საქართველოს აოხრებისა და სისხლში ჩახრჩობის სურვილს მანამდე მხოლოდ **თავის დისშვილთან** პრივატულ საუბრებში გამოთქვამდა, ახლა კი უკვე ფართო აუდიტორიის წინაშეც აღარ მალავს.

**თემურლენჩი** არის **მიხეილ სააკაშვილის ბიძა თემურ ალასანია!**

მოგეხსენებათ, **ლენჩი** ქართულ ენაში **შტერის, გონებაჩლუნგისა და ჭკუასუსტის** სინონიმია, **თემურ ალასანიას** კი, ერთი შეხედვით, საამისო არაფერი ეტყობა... ის კი არა, როგორც ამბობენ, **სააკაშვილის ბიძა** ჭკვიანი კაცია, რომელიც საბჭოთა უშიშროების კადრების სამჭედლოდ ცნობილ მგიმოში — მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტში გამოწვრთნეს; სხვა თუ არაფერი, **ალასანია** წლების განმავლობაში გახლდათ გაეროს განიარაღების კომიტეტის წევრი ჯერ — საბჭოთა კავშირის და შემდეგ რუსეთის ფედერაციის კვოტით, რაც იმაზე მეტყველებს, რომ **ბიძლი ალასანიას ძმა** რუსული სპეცსამსახურების „ღვიძლი შვილია“, სპეცსამსახურები კი, როგორც წესი, ლენჩებსა და ჭკუასუსტებს არ ეყრდნობიან.

და მაინც, **თემურ ალასანიას** ბოლო დროს აშკარად ეტყობა **გამოლენჩების, ანუ გამოტვინებისა და გამოჩერჩეტების ნიშნები!**

**თემურლენჩი** ძველი ჩეკისტის ფორმიდან განსაკუთრებით მას შემდეგ ამოვარდა, რაც მისმა **დისშვილმა** საქართველოში ძალაუფლება დაკარგა და გისოსებს მიღმა ამოყო თავი!

კი, **სააკაშვილის** ხელისუფლებიდან ჩამოშორებისა და, მეტადრე, მისი დაპატიმრების შემდეგ **თემურლენჩი** ცივსისხლიანი და პრაგმატული ჩეკისტის მაგივრად ბუზღუნა და ჭირვეული მოხუცის სახით გვევლინება, რომელსაც ძალაუფლებისა და გავლენების დაკარგვამ საღი აზროვნებისა და რეალობის ადეკვატური აღქმის უნარი წაართვა.

გავიხსენოთ თუნდაც **თემურლენჩისა** და მისი დისშვილის სატელეფონო საუბრის ფარული აუდიოჩანაწერი, რომელშიც **„მისტერ ბიძა“** სასოწარკვეთით წუწუნებს — **ამდენი ხანია, ვზივარ და ველოდები, რომ საქართველოში რაღაც შეიცვლება, მაგრამ არაფერი იცვლებაო;** იმავე ჩანაწერში თემურლენჩი ქართველ ერს უშვერი სიტყვებით აგინებს — **ქართველების დედას ასე და ისე ვუქენი, ავადმყოფი ერია, რომელიც, თავზე თუ არ დააქაქე, ისე ვერაფერს ხვდებაო...** თემურლენჩის ეს სიტყვები მარტო იმაზე როდი მეტყველებს, რომ მას საქართველო და ქართველი ხალხი სძულს, არამედ იმის მანიშნებელიც გახლავთ, რომ სააკაშვილის ბიძა საკუთარი უძლურებისა და ხელმოცარვის მიზეზს არა თავის თავში, არამედ სხვაში ეძებს; თავის თავს და თავის დისშვილს კი არ აბრალებს, რომ ქართველ ხალხს მათი ხელისუფლებაში დაბრუნება არ უნდა, არამედ ქართველ ხალხს ადანაშაულებს იმაში, რომ მკვლელების, მწამებლებისა და გამაუპატიურებლების ბანდას ხელისუფლებაში არ აბრუნებს!

ჰოდა, როცა ადამიანი რეალობას ასე მოსწყდება, ეს მის **დალენჩებაზე** მეტყველებს!

ჰოდა, თემურ ალასანია **თემურლენჩია!**

სააკაშვილის ბიძის **თემურლენჩობა** განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს რამდენიმე დღის წინათ სოციალურ ქსელში გავრცელებულ პატარა ვიდეოში, რომელიც ასახავს საქართველოდან ჩასული **მიშარასტების** შეხვედრას ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრებ **ემიგრანტ მიშარასტებთან.** კერძოდ, სააკაშვილის პირადი წარმომადგენელი და მისი მავზოლეუმის გამხსნელი **სოფო ჯაფარიძე** ამერიკაში ჩავიდა და ემიგრანტების მცირე ჯგუფს შეხვდა, თემურლენჩი კი სწორედ ამ შეხვედრაზე გამოვიდა სიტყვით და განაცხადა:

> _„დემოკრატიას აქვს ძალიან ცუდი თვისებები. მაგალითად, ერთ-ერთი ცუდი თვისება არის, როდესაც ვიძახით, რომ აფხაზეთსა და ოსეთს დავიბრუნებთ მარტო მშვიდობიანი გზით. კი, რასაკვირველია, მაგრამ რატომ ვამბობთ საჯაროდ უარს არამშვიდობიან გზაზე? სად გინახავთ ისტორიაში ძალით წართმეული ტერიტორიის მარტო მშვიდობიანი შელოცვების გზით დაბრუნება? მოდით, შევულოცოთ ახლა, ერთად ჩამოვიკიდოთ ხატი კისერზე, დავიჭიროთ დიდი სანთელი, სამჯერ შემოვუაროთ აფხაზეთს, ვთქვათ — „ფუი ეშმაკს“ და დაგვიბრუნდება. არ მოხდება“._

თემურ**ლენჩის ეს განცხადება** კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სააკაშვილსა და მის ბანდას საქართველოში არსებული მშვიდობა ისე აშფოთებთ და აღიზიანებთ, როგორც ეშმაკს — ჯვარი ან კორიდაზე გამოვარდნილ ხარს — წითელი ნაჭერი!

თემურ**ლენჩის ეს განცხადება** კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ მას, მის დისშვილსა და მთელ ნაცბანდას ქართველი ხალხის მიერ წართმეული ძალაუფლების დაბრუნების ერთადერთ გზად საქართველოში ომი, სისხლისღვრა, ქაოსი და არეულობა ესახებათ!

თემურ**ლენჩის ეს განცხადება** მოწმობს, რომ სააკაშვილისა და მისი ბანდის ხელისუფლებაში დაბრუნება ავტომატურად ნიშნავს ახალ-ახალ პროვოკაციებს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მიმართულებით, რაც 2004 წელს ცხინვალში ქართველი პოლიციელების დატყვევებითა და მოედანზე დემონსტრაციული დაჩოქებით დამთავრდა, 2008 წელს კი — კოდორის ხეობისა და ახალგორის რაიონის დაკარგვით!

შესაძლოა, ვინმემ შენიშნოს — **თემურ ალასანია** ასე იმიტომ კი არ ლაპარაკობს, რომ **ლენჩია,** არამედ იმიტომ, რომ საქართველოს მტერიაო, მაგრამ მტერი **ლენჩი** უნდა იყოს, რომ თავისი ავბედითი სურვილები და ჩანაფიქრები ასე საჯაროდ, ვიდეოკამერების წინ ჩამოარაკრაკოს!

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, კაცი საკუთარ ამომრჩეველს მოახლოებული არჩევნების წინ დემოკრატიისა და მშვიდობის სიცუდეზე ელაპარაკებოდეს და ომისა და სისხლისღვრის უპირატესობას უჩიჩინებდეს, სწორედ **ლენჩობაა** და მეტი არაფერი!

ამიტომ არის სააკაშვილის ბიძა თემურ**ლენჩი!**

როგორც ჩანს, თემურ**ლენჩს** ნაცსექტანტი მიშარასტებიც **ლენჩები** ჰგონია და სწორედ







## თემურლენგი საქართველოს ბოლოს 1403 წელს შემოესია, თემურლენჩის შემოსევა კი 620 წლის შემდეგ, 2023–შიც გრძელდება!

## თემურლენჩის განცხადება კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სააკაშვილსა და მის ბანდას საქართველოში არსებული მშვიდობა აშფოთებთ და აღიზიანებთ!

### კვირგვინოსნები



**ირაკლი ღარიბაშვილი**
_საქართველოს პრემიერ-მინისტრი_

ჩვენი მთავრობის მთავარი მიზანია **მშვიდობის შენარჩუნება, სტაბილურობის უზრუნველყოფა და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა** — ბოლო წლებში ქვეყნის ეკონომიკა 10 პროცენტით გაიზარდა.

„ინტერპრესნიუსი“



**კახა კალაძე**
_თბილისის მერი_

თუ **სალომე ზურაბიშვილი** შეწყალებასთან დაკავშირებით ნაბიჯს გადადგამს, **ის იმავე ხაზის გამტარებელი და გამზიარებელი იქნება, რასაც ნაციონალური მოძრაობა და სააკაშვილი წარმოადგენენ.**

„ინტერპრესნიუსი“



**დავით მათიკაშვილი**
_პარლამენტარი_

**თემურ ალასანია** ახმოვანებს ნაციონალური მოძრაობის იმ იდეოლოგიას, რომლის გამოც პარტია 2012 წლიდან მარცხდება, **არ ვაპირებთ ჩვენი ტერიტორიის ქვემეხების გრუხუნით დაბრუნებას.**

„პირველი არხი“



**დემურ ხუნდაძე**
_„ხალხის ძალის“ წევრი_

**აფხაზეთს და ცხინვალის რეგიონს** აუცილებლად დავიბრუნებთ **მშვიდობით და არა ომით,** სიყვარულით და არა სიძულვილით.

„აიპრესი“

# ძირს ქართველებზე ალესილი ალასანია!



**თემურლენჩის განცხადება მოწმობს, რომ სააკაშვილისა და მისი ბანდის ხელისუფლებაში დაბრუნება ავტომატურად ნიშნავს ახალ-ახალ პროვოკაციებს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მიმართულებით!**

**მიხეილ სააკაშვილი, თემურ ალასანია და სალომე ზურაბიშვილი**

***წინა კვირას საბჭოთა „კაგებესა“ და ამერიკული „ცერეუს“ გაერთიანებული კანტორის ბლალოჩინმა თემურ ალასანიამ სტომატოლოგ სოფო ჯაფარიძესთან ერთად ამერიკაში ქართველ ემიგრანტებთან შეხვედრა გამართა.***

ამ შეხვედრაზე **თემურ ალასანიამ,** რომელსაც **გოგლა ჟვანია** ზურაბ ჟვანიას მკვლელობაში სდებს ბრალს, განაცხადა, რომ ერთ მუშტად შეკრული კი არა, **გახლეჩილი საქართველო და ერთმანეთს დატაკებული ქართველები ურჩევნია;** მისივე თქმით, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი გზით აღდგენა უტოპიაა და **აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნება მხოლოდ ომით არის შესაძლებელი.** აღნიშნული განცხადება ნაცების გარდა ყველა ჭკუათამყოფელმა დაგმო, რაც შეეხება სააკაშვილის სექტას, მათ **ბიძია თემურის** გამოსვლა ჩვეულებრივ ამბად შემოგვასაღეს და ასეთი ახსნა გამოუძებნეს — საქმე **„ტერმინოლოგიურ ხარვეზთან“** გვაქვსო!

მოკლედ, საბჭოთა „კაგებეს“ გენერალ **თემურ ალასანიას,** რომელიც გაეროს განიარაღების საკითხთა კომიტეტში რუსეთის ფედერაციას წარმოადგენდა და სააკაშვილისა და კეზერაშვილის მიერ აფრიკაში იარაღის კონტრაბანდას ხელმძღვანელობდა, როგორც ჩანს, ქართველი ბიჭების სისხლზე მილიარდობით დოლარის შოვნის ნოსტალგია მოეძალა.

ეტყობა, **გიული ალასანიასაც** ეგულება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის წასართმევი კორპუსები, რომლებსაც ისევ და ისევ 1 ლარად გაიფორმებენ და პატივცემულ რექტორს, აკადემიკოს **დავით გურგენიძეს** კაბინეტის გარეშე დატოვებენ!

**არც ის არის გამორიცხული, რომ სააკაშვილის გათავისუფლების სანაცვლოდ, ომისა და უბედურების გაჩაღების კვალდაკვალ, ბიძია თემურს „სუს“-ის აგენტი და თვითგამოცხადებული ჟურნალისტი ელისტრაკო კილაძეც მოენატრა, რომელიც ამ ბოლო დროს სომხური დოლივითაა მოჭიმულ-გაწკიპინებული...** გახსოვთ, ალბათ, წინა ჩამოსვლისას **თემურ ალასანია და ელისტრაკო კილაძე** სულ ჩახუტებული დადიოდნენ და ერთმანეთს თვალებში ისე შესციცინებდნენ, როგორც ბურნუთა და მაყვალა „სიყვარული ყველას უნდა“-ს დასკვნით სცენაში. მაშინ სოციალურ ქსელებში ბნელეთის ამ ორი მოციქულის რომანტიკული სურათიც კი გავრცელდა, საიდანაც ისინი „წოლამოშიებული“ წაწლებივით გვიმზერდნენ.

მოკლედ, ასეა თუ ისე, **თემურ ალასანია,** რომელიც დასაჭერი იყო, მაშინ საქართველოდან დოლ-გარმონით გაუშვეს! არადა, ჩამოსვლამდე მან ნაპრეზიდენტალ დისშვილთან ერთად ლიფტით მგზავრობისას **ქართველებს უკანასკნელი სიტყვებით აგინა და მკვდარი და ცოცხალი ამოუტრიალა...**

გაგახსენებთ 2018 წლის 25 ოქტომბერს უკრაინაში მყოფი **მიხეილ სააკაშვილისა და თემურ ალასანიას** საუბრის ვიდეოჩანაწერს, რომელიც მაშინ უკრაინულმა ვებგვერდმა zdes.com.ua-მ გაავრცელა:

***მიხეილ სააკაშვილი:*** *— ჩვენ ორი ელემენტის გაძლიერება გვჭირდება: რევოლუციური ახალგაზრდობის და მეორე, თბილისის „middle class“-ის. იმიტომ, რომ საბოლოო ჯამში რევოლუციას ეგენი ახდენენ. მანდ გვაქვს სერიოზული ჩავარდნა იმიტომ, რომ ამათ წარმოიდგინეს, რომ თბილისი ეს არის ბაზრობებზე სიარული და გლდანის მეტროში და ეგ, ეგრე არ არის. ისიც არის, მაგრამ გადამწყვეტი რევოლუციური მუხტი არის აი ეს „Self made“ ბიზნესები თბილისის ცენტრში.*

***თემურ ალასანია:*** *— ჩვენი მომხრეები ეგენი არ არიან, თავიდანვე გითხარი. აი, ძალიან კარგად ვიცი, რომ ეს არ გამოვა!*

***მიხეილ სააკაშვილი:*** *— და თან, ამ სირებს რომ ჰგონიათ, რომ ამათთან რაღაც დიდს მიაღწევ.*

***თემურ ალასანია:*** *— არა. ეს არის „ავანტყოფი“ ერი რა. ეს არის... ამათ სანამ არ დაა...ვამ თავზე და სანამ დედას არ მოუ...ავ, ვერ იგებენ ვერაფერს რა.*

***მიხეილ სააკაშვილი:*** *— ეგრე იყო ეგ ხალხი მთელი ცხოვრება და ახლა რატომ იქნება...*

***თემურ ალასანია:*** *— მაგათი დედა მოვ...ან მე ქართველების „პროსტა“. ქართველების დედა მოვ...ან „პროსტა“. ვინ არიან ესენი ტო? ეს „ავანტყოფი“ ერი ვინ არის ტო? დავი-*

**გაგრძელება მე-4 გვერდზე**

ამიტომ არწმუნებს, დემოკრატიასა და მშვიდობას იარაღის ჟღარუნი და ბომბების ცვენა სჯობსო!

იმაზე აღარაფერს ვამბობთ, რომ

**თემურლენჩი ხატზე, ჯვარსა და ლიტანიაზე აგდებულად და ცინიკურად ლაპარაკობს, რაც საბჭოთა „კაგებეს“ მიერ გამოზრდილი ჩეკისტისაგან გასაკვირი არ არის!**

აშშ-ში ემიგრანტ ნაცებთან შეხვედრაზე **თემურლენჩმა** ესეც განაცხადა:

***„გაყოფილი, გახლეჩილი, ერთმანეთს დატაკებული საქართველო მირჩევნია, იმიტომ, რომ ეს არის პლურალიზმი, დემოკრატია, თავისუფლების საზომები“.***

რამდენი ხანია, ევროპარლამენტი, ევროსაბჭო, ამერიკის კონგრესი, **შარლ მიშელები და ენტონი ბლინკენები** საქართველოში პოლარიზაციის აღმოფხვრის აუცილებლობას გვიკიჟინებენ, **თემურლენჩი** კი აცხადებს — **პოლარიზაციის აღმოფხვრა კი არა, უფრო მეტი პოლარიზაცია უნდა მოხდეს, საქართველოში პოლიტიკური სპექტრიც და საზოგადოებაც უფრო მეტად უნდა გაიხლიჩოს და დაეტაკოს ერთმანეთს, რადგან ეს არის ნამდვილი დემოკრატია და თავისუფლებაო!**

მაშ, იმ ევროპელ და ამერიკელ პოლიტიკოსებს, რომლებიც საქართველოში პოლარიზაციის დასრულების აუცილებლობაზე ლაპარაკობენ და კანდიდატის სტატუსის მისაღებად 12-პუნქტიან რეკომენდაციაში პირველ პუნქტად სწორედ პოლარიზაციის აღმოფხვრა ჩაგვიწერეს, ჭეშმარიტ დემოკრატიაზე წარმოდგენაც არ ჰქონიათ!

სამაგიეროდ, თემურ**ლენჩს** სცოდნია, რომ ნამდვილი დემოკრატიის არსი ქვეყნის გახლეჩასა და ხალხის ერთმანეთზე დატაკებაში მდგომარეობს!

ეჰ, თურმე, რა ტყუილად ნატრობდა პეტერბურგიდან საქართველოსაკენ მომავალი **ილია ჭავჭავაძე** — ნეტავი, გათითოკაცებული ქვეყანა ერთ მუშტად შემაკვრევინა და ქართველ ხალხში გაბნეული ნაპერწკლები ერთ დიდ ცეცხლად ამაგიზგიზებინაო! **თურმე, საქართველოს კიდევ უფრო გახლეჩა და ქართველების ერთმანეთზე დატაკება უნდა ენატრა ილიას, რადგან თემურლენჩის თქმით, სწორედ ეს არის თავისუფლების საზომი!**

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, ამერიკაში ემიგრანტ ნაცებთან შეხვედრაზე თემურ**ლენჩის** მიერ გაკეთებული განცხადებები პირდაპირი მტკიცებულებაა, რომ სააკაშვილის ბანდამ ვერც ვერაფერი ისწავლა, ვერც ვერაფერი დაივიწყა და კვლავ სისხლზე დაგეშილი ცდილობს საქართველოს ხელისუფლებაში დაბრუნებას!

თემურ**ლენგი** საქართველოს ბოლოს 1403 წელს შემოესია, თემურ**ლენჩის** შემოსევა კი 620 წლის შემდეგ, 2023-შიც გრძელდება! იმედია, ქართველი ხალხი თემურ**ლენჩს** საქართველოს კიდევ ერთხელ აოხრების საშუალებას აღარ მისცემს!

**ჯაბა ხუბუა**

## თემურლენჩის განცხადებები პირდაპირი მტკიცებულებაა, რომ სააკაშვილის ბანდამ ვერც ვერაფერი ისწავლა, ვერც ვერაფერი დაივიწყა და კვლავ სისხლზე დაგეშილი ცდილობს ხელისუფლებაში დაბრუნებას!

## კვირგვინოსნები

**ირაკლი კობახიძე**
*„ქართული ოცნების“ თავმჯდომარე*



საქართველოში უნდა ავიცილოთ **იმ უბედურების გამეორება, რაც 2008 წელს ვიხილეთ ჩვენს ქვეყანაში** — ამას ვერ ეღირსება ვერც **თემურ ალასანია** და ვერც მისი დისშვილი.

**სალომე ზურაბიშვილს** თუ სურს, **გახდეს სააკაშვილის ამორალურობის თანაზიარი,** მაშინ შეუძლია მიიღოს შეწყალების გადაწყვეტილება.

„ინტერპრესნიუსი“

**ვატო შაქარიშვილი**
*„საქართველოს [illegible]“ დამფუძნებელი*



დღეს ნაცმოძრაობის **მთავარმა იდეოლოგმა და ჩვენი ქვეყნის ყველაზე დიდმა მტერმა თემურ ალასანიამ** საკუთარი პირით დაადასტურა, რომ **მათ სურთ ომი და ბოლმისგან სკდებიან იმის გამო, რომ საქართველო უარს ამბობს ომის სცენარზე!**

„იმედინიუსი“

**პაატა მანჯგალაძე**
*„სტრატეგია აღმაშენებლის“ წევრი*



**ლოცვის ნაწილში თემურ ალასანიას** პოზიციას არ ვიზიარებ, **საქართველოს გაერთიანების ნაწილში** ამ კომპონენტს არ გამოვრიცხავდი.

„პირველი არხი“

**ირაკლი ზარქუა**
*პარლამენტარი*



თუ **ოლიგარქს** ეძახის **ივანიშვილს,** რა უნდა პრეზიდენტად?! — **გადადგეს!** გვერდში დავუდექით, **პლაკატებზე მის ნაცვლად ჩვენ ვიყავით გაკრული და ახლა ოლიგარქს ეძახის?!** — არაადეკვატურია! „ინტერპრესნიუსი“

# ძირს ქართველებზე ალესილი ალასანია!

დასაწყისი მე-3 გვერდზე



ღალე იცი „პროსტა“ აი ცდისგან. ვზივარ, ვზივარ, ვზივარ. რაღაც ზარებს ველოდები რაღაცას. მივდივარ-მოვდივარ... სულ რაღაცა ხვალ-ზეგ, აი, ახლა მოხდება, აი, ახლა მოხდება...“

ამ ყველაფრის შემდეგ გაცეცხლებულმა **თემურ ალასანიამ** ასეთ რამ განაცხადა —

**თემურ ალასანია და ელისტრაკო კილაძე სულ ჩახუტებული დადიოდნენ და ერთმანეთს თვალებში ისე შესციცინებდნენ, როგორც ბურნუთა და მაყვალა „სიყვარული ყველას უნდა“-ს დასკვნით სცენაში. მაშინ სოციალურ ქსელებში ბნელეთის ამ ორი მოციქულის რომანტიკული სურათიც კი გავრცელდა, საიდანაც ისინი „წოლამოშიებული“ წაწლებივით გვიმზერდნენ...**

**„მილიონ დოლარს გადავუხდი, ვინც „სნაიპერსკი“ „ვინტოვკით“ ივანიშვილს მოკლავს!“**

ამას ამბობდა კაცი, რომელსაც 2005 წლის 3 თებერვალს საეჭვო ვითარებაში გარდაცვლილი საქართველოს პრემიერ-მინისტრის **ზურაბ ჟვანიას** მკვლელობაში **გოგლა ჟვანია** წლებია, ხელს ადებს...

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, საქართველოს გენერალურ პროკურატურაში გამოძიება დაიწყო და 2021 წლის დეკემბერში საქართველოში ჩამოსული **თემურ ალასანია** დაკითხვაზეც დაიბარეს, მაგრამ, **როგორც „ხანდაზმულ თაღლითად“ შერაცხილი მამუკა ხაზარაძე გამოარიდეს ციხეს, სწორედ ისე გაარიდეს და გააპარეს საქართველოდან ქართველი ბიჭების სისხლით მოვაჭრე კაგებეშნიკ-ცერეუშნიკი თემურ ალასანიაც.**

ამერიკაში ქართველ ემიგრანტებთან შეხვედრისას

**თემურ ალასანიას მიერ გაკეთებულ განცხადებას რომ ვაკვირდები, ეჭვი არ მეპარება, ვისი უკანალის ქეიფზე დაიწყო**

**სააკაშვილმა 2008 წლის აგვისტოს ომი... იმის გამოცნობასაც არ სჭირდება დიდი მკითხაობა, რა უბედურება დატრიალდება საქართველოში, თუ ეს ნაძირალები და მკვლელები ხელისუფლებაში მობრუნდებიან!**

იმ დარბაზში, სადაც **თემურ ალასანიამ** ქართველ ემიგრანტებს პროვოკაციული სიტყვით მიმართა და რუსული „კაგებეს“ გენერალმა, ტერიტორიების დაბრუნების მიზნით, **ფაქტობრივად, რუსეთთან ომის გაჩაღება მოითხოვა,** კაცი არ აღმოჩნდა, რომელსაც ღირსების ნატამალი ექნებოდა შერჩენილი და სააკაშვილის ბიძას ჰკითხავდა — **ქართველებს რატომ შეგვაგინეო?**

რაკი მსგავსი შეკითხვის დასმის სურვილი იმ დარბაზში არავის გაუჩნდა, ეს ორ რამეზე მეტყველებს — **თემურ ალასანია ქართველებს კი არა, სინამდვილეში სხვა ერის შვილებს შეხვდა! ანდა უარესი — ვინც დარბაზში იყო და ალასანიას ტაშს უკრავდა, ეტყობა, სააკაშვილს, სოფო ჯაფარიძესა და თემურ ალასანიას სუყველა გაუპატიურებული ჰყავს!**

აი, სწორედ ეს ფიქრები აღგვიძრა თემურ ალასანიას ქართველ ემიგრანტებთან შეხვედრამ, რომელიც 2021 წლის მიწურულს ქართველმა სამართალდამცავებმა არ დააპატიმრეს და ქვეყნიდან გააპარეს!

**ბიჭებო, ალასანია, რომელიც ქართველებზე ალესილია, უნდა დაგეჭირათ!**

**ვიცი, შესაძლოა, თქვენ უკვე აშენდით, მაგრამ ასე ქვეყანა არ აშენდება!**

**დიტო ჩუბინიძე**

**დარბაზში კაცი არ აღმოჩნდა, რომელსაც ღირსების ნატამალი ექნებოდა შერჩენილი და სააკაშვილის ბიძას ჰკითხავდა — ქართველებს რატომ შეგვაგინეო?**



*რამდენიმე დღის წინათ „ვივამედში“ წამოკოტრიალებულმა სააკაშვილმა საზოგადოებას განუცხადა — აღარ ვკვდები, გავცოცხლდი და ახლა პრემიერ-მინისტრობა მინდაო. წესით, ამ ნაბოდვარზე გულიანად უნდა გაიცინო, რომ არა ერთი ფაქტორი — კლინიკიდან სააკაშვილის ჩართვებს რეჟიმის მიერ გამწარებული ადამიანებიც ადევნებენ თვალს, რომლებიც ფიქრობენ, რომ მკვლელი სააკაშვილის ყოველი გამოჩენა, მითუმეტეს, შეწყალებაზე საუბარი, მათთვის სულში ჩაფურთხებაა. მუხროვანის ე.წ. ამბოხის დროს მოკლული გია კრიალაშვილის და ლია კრიალაშვილი კიდევ ერთხელ მოუწოდებს ხელისუფლებას, რომ ძმების, მამებისა და შვილების მკვლელი ციხეში ჩაალპოს:*



# ლია კრიალაშვილი: სააკაშვილმა ძმა მომიკლა და არ მინდა, ჩემი ფულით ინახავდეს სახელმწიფო!

— სიმართლე გითხრათ, აღარ ვაპირებდი მიხეილ სააკაშვილზე საუბარს, ტელევიზორსაც კი არ ვუყურებ იმის შიშით, რომ შემთხვევით **მისი გარეწარი დედა და გახრწნილი ნაციონალები** არ დავინახო, მაგრამ როგორ უნდა შეიკავო თავი, როცა მკვლელი სააკაშვილი პრემიერ-მინისტრობას ლამობს და პრეზიდენტად წოდებულ ზურაბიშვილს მიმართავს — შვილებს მამა დაუბრუნეო?!

**— მას შეწყალება პირდაპირი მნიშვნელობით არ მოუთხოვია. აღნიშნა — სალომე ზურაბიშვილს შეუძლია, ერთი ხელის მოწერით დაუბრუნოს შვილებს მამა...**

— სააკაშვილი თავის შვილებს არ უნდა დაუბრუნდეს ისევე, როგორც ჩემს ძმისშვილებს არ დაუბრუნდათ მამა! დიახ, მან მოუკლა შვილები დედაჩემს, **თამაზ მოლაშვილს, ია მეტრეველს, ჯამბულ გამცემლიძეს, იური ვაზაგაშვილს...** მან მოუკლა მამა **რუსუდან შარაძეს...** კიდევ გავაგრძელო?! ეს არაკაცი ამბობს, რომ შვილებს მამა უნდა დაუბრუნდეს? არასოდეს! **ის ციხეში უნდა ჩალპეს, როგორც უკანასკნელი ნაძირალა!**



უცხოტომელი დედაკაცი, ნაციონალების პრეზიდენტი **ზურაბიშვილი** თუ შეიწყალებს სააკაშვილს, გამწარებულ ქართველ ხალხს საზღვარზე ვერ გაასწრებს. მიხეილ სააკაშვილზე იმდენი საქმეა აღძრული, ისედაც კარგა ხანს ვერ იხილავს დღის სინათლეს. ისე კი, სალომე ზურაბიშვილს თავმოყვარეობა და ორი გრამი ტვინი რომ ჰქონდეს თავში, აქამდე უკვე გადამდგარი იქნებოდა თანამდებობიდან, ამით საქართველოს კონსტიტუციასაც დააფასებდა და სააკაშვილის შეწყალებასაც აირიდებდა თავიდან! **სააკაშვილის და დედამისის ბოლო რომ ჯოჯოხეთია, ეს ნათელია, მაგრამ ვატყობ, სალომე ზურაბიშვილსაც არ ასვენებს გამჩენი.**

***— როგორც ქალი ქალს რას ეტყოდით?***

— წარმოიდგინოს ერთი წამით თავი ჩვენს ადგილას! მისთვის სააკაშვილს ძმა ან შვილი რომ მოეკლა, შეეკვრებოდა ნაციონალებს? კიდევ ერთხელ ვაფ-

**„საკმარისია ჩვენს ნერვებზე თამაში! ამოვიდა ყელში მოღალატე სააკაშვილი და მისი ჰარამხანა!“**

## კვირგვინოსნები

**მიხეილ სააკაშვილი**
*პატიმარი*



ჩვენ არ ვიბრძვით **საპატიო მეორე ადგილისთვის!** ამისთვის არ გამიწირავს ჩემი თავი და ჩემი სიცოცხლე არ დამიდია ფსონად. **ჩვენ გვჭირდება გამარჯვება.** ქალბატონს**სალომე ზურაბიშვილს** შეუძლია ერთი ხელის მოწერით **დაუბრუნოს ჩემს შვილებს მამა** და, რაც მთავარია, **აღადგინოს პოლიტიკური ბალანსი** საქართველოში.

„ახალი თაობა“

**გიორგი ზერეკიძე**
*ყოფილი პატიმარი*



**სააკაშვილო,** სამწუხაროდ, **მხოლოდ ექვსი წელი გაქვს მისჯილი** და ადრე თუ გვიან **დაუბრუნდებათ შენს შვილებს მამა,** მაგრამ მე და კიდევ ბევრ ადამიანს **ვეღარასოდეს დაგვიბრუნდებიან ჩვენი მამები,** რადგან შენ ისინი მოკალი!

„პირველი არხი“

**დავით ახრახაძე**
*7 ნოემბრის დაზარალებული*



როგორ შეიძლება ადამიანი საღ აზრზე იყოს, როდესაც **კონტეინერში ზის და ვიდეოს იღებს, მომიტაცეს უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებმაო.** სამკურნალოა, ოღონდ „ვივამედში“ არა, **ხონის „პასაჟირია“.** სააკაშვილი უთავმოყვარეო ადამიანია. **ვისაც მთელი ცხოვრება ლანძღავდა, რუსეთის აგენტს ეძახდა, იმას სთხოვს დღეს შეწყალებას.**

„TV იმედი“

**თეა წულუკიანი**
*საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი*



გასაგებია, რომ**სააკაშვილი სალომე ზურაბიშვილს ნამუსზე აგდებს** და ბუაბუას ძახილით არის დაკავებული, მაგრამ **მე ბუა არ ვარ.** ჩვენი მოქმედი პრეზიდენტი თუ გადაწყვეტს, **მონაწილეობა მიიღოს ამორალურ ქმედებაში და შეიწყალოს სააკაშვილი,** ამით საკუთარ თავს, როგორც პიროვნებას, დაუსვამს წერტილს.

„პირველი არხი“

# „ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲡ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲡ ᲘᲡᲔᲕᲔ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲩᲔᲛᲡ ᲫᲛᲘᲡᲨᲕᲘᲚᲔᲑᲡ ᲐᲠ ᲓᲐᲣᲑᲠᲣᲜᲓᲐᲗ ᲛᲐᲛᲐ!“


ᲒᲘᲐ ᲙᲠᲘᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

რთხილებ — გამწარებულ ხალხს ჭკუიდან ნუ გადაგვიყვანს! გაიხსენე, ზურაბიშვილო, ვინ მოგიყვანა ხელისუფლებაში. როგორც მაგიდა და სკამი, ისე დაგდგით პრეზიდენტის სასახლეში. თუ გონს არ მოეგები, უკანვე გადმოგდგამთ!

**— ეს ხელისუფლებამაც სცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა...**

— ხელისუფლებას არ გამოუვიდა, მაგრამ ხალხი გააკეთებს! ნუ ეხუმრება ხალხის ძალას, თორემ კიდევ ერთხელ დავანახებთ, რა შეგვიძლია და მაგ სავარძლიდან გადმოვათრევთ!

## ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲖᲔ ᲛᲔᲢᲐᲓ „ᲝᲪᲜᲔᲑᲐᲖᲔ“ ᲕᲐᲠ ᲒᲣᲚᲜᲐᲢᲙᲔᲜᲘ – ᲡᲐᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲩᲮᲠᲘᲙᲔᲡ ᲔᲡ ᲣᲡᲘᲠᲪᲮᲕᲘᲚᲝ ᲓᲔᲓᲐᲑᲔᲠᲘ?!

ან რატომ გაგვიმეტა ბიძინა ივანიშვილმა ასე, რომ ჯერ — **ᲛᲐᲠᲒᲕᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ** და მერე **ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘ** დაგვასვა თავზე?! პრემიერებიც, **ᲦᲐᲠᲘᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ,** ერთმანეთზე უარესი ნაგავი იყო.

ჩემი ძმა ქუჩაში რომ ჩაცხრილეს სამშობლოს ღალატისა და სახელმწიფოს გადატრიალების ბრალდებით, მაინტერესებს, ამ წლების განმავლობაში რამდენჯერ ჰქონდათ ნაციონალებს სახელმწიფოს გადატრიალების მცდელობა? ნუთუ არ შეუძლია ხელისუფლებას ღალატის მუხლი აღადგინოს და სწორედ ამ ბრალდებით გაასამართლონ ეს მოღალატეები?! **ᲡᲐᲙᲛᲐᲠᲘᲡᲘᲐ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲜᲔᲠᲕᲔᲑᲖᲔ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ! ᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲧᲔᲚᲨᲘ ᲛᲝᲦᲐᲚᲐᲢᲔ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲯᲐᲠᲐᲛᲮᲐᲜᲐ!**

**— რას ითხოვთ ხელისუფლებისგან?**

— არ დაინდოთ ეს გარეწარი, ნულოვანი ტოლერანტობა სააკაშვილის მიმართ, გადაათრიეთ ციხეში! ნაძირალა სააკაშვილი რომ ისევ „ვივამედში“ წამოკოტრიალებული, ამით თქვენს ერთგულ ადამიანებს დაგვცინით. დიახ, **ᲛᲐᲜ ᲫᲛᲐ ᲛᲝᲛᲘᲙᲚᲐ ᲓᲐ ᲐᲠ ᲛᲘᲜᲓᲐ, ᲩᲔᲛᲘ ᲤᲣᲚᲘᲗ ᲘᲜᲐᲮᲐᲕᲓᲔᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ!**

*ესაუბრა*
***ᲜᲐᲢᲝ ᲤᲝᲪᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ***

# „ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲝ,
**არც გაბედო სააკაშვილის შეწყალება, თორემ მაგ სავარძლიდან გადმოგათრევთ!“**



# ᲛᲝᲚᲝᲢᲝᲕᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ

***ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲛᲐ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲔᲚᲔᲑᲛᲐ, რომლებიც 2023 წლის 7-9 მარტის საპროტესტო აქციების დროს აგრესიულ მომიტინგეთა ძალადობრივი ქმედებების, მათ შორის, ე.წ. მოლოტოვის კოქტეილის სროლის შედეგად დაზიანდნენ, საქართველოს პრეზიდენტს საგანგებო წერილით მიმართეს და სთხოვეს, თავი შეიკავოს ბრალდებულ ᲚᲐᲖᲐᲠᲔ ᲒᲠᲘᲒᲝᲠᲘᲐᲓᲘᲡᲘᲡ შეწყალებისაგან.***

როგორც **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს** ოფიციალურ განცხადებაშია ნათქვამი, დაზარალებულმა პოლიციელებმა პრეზიდენტისათვის წერილის მიწერა მას შემდეგ გადაწყვიტეს, რაც არაერთხელ გავრცელდა ინფორმაცია, რომ გრიგორიადისის ოჯახის წევრებმა და უფლებადამცველებმა სალომე ზურაბიშვილს მისი შეწყალების თხოვნით მიმართეს.

**პრეზიდენტი ზურაბიშვილი ბრალდებული გრიგორიადისის შეწყალებით ხალხში გააჩენს განცდას, რომ საზოგადოებრივი წესრიგის დამცველებზე თავდასხმა დაუსჯელი დარჩება!** — მიიჩნევენ სამართალდამცავები, რომლებსაც **ᲛᲐᲛᲘᲡ ᲣᲙᲐᲜᲐᲚᲨᲘ ᲓᲐᲛᲭᲠᲔᲚᲛᲐ ᲚᲐᲖᲐᲠᲔᲛ** აქციაზე „მოლოტოვის კოქტეილები“, ანუ ბენზინის ბომბები ესროლა და კინაღამ ცოცხლად დაწვა.

იქიდან გამომდინარე, რომ **„მოლოტოვის კოქტეილის“** სროლისა და პოლიციის ავტომანქანების დაწვის ბრალდებით დაპატიმრებული **ᲚᲐᲖᲐᲠᲔ ᲒᲠᲘᲒᲝᲠᲘᲐᲓᲘᲡᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ** სასამართლოს სასჯელი ჯერ არ შეუფარდებია, **ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘ** მას ამ კონკრეტულ საქმეზე ვერ შეიწყალებს, რადგან, ქართული კანონმდებლობით, **შეწყალება შეიძლება, მხოლოდ მსჯავრდებულ პირს შეეხოს და არავითარ შემთხვევაში — ბრალდებულს.** თუმცა, დაზარალებული პოლიციელები ფიქრობენ, რომ **შესაძლოა, სალომე ზურაბიშვილმა გრიგორიადისი შეიწყალოს ოჯახის წევრის მიმართ განხორციელებული ძალადობის საქმეზე,** რისთვისაც, ცოტა ხნის წინათ, 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

კონკრეტულად, საუბარია **ᲚᲐᲖᲐᲠᲔ ᲒᲠᲘᲒᲝᲠᲘᲐᲓᲘᲡᲘᲡ** მიერ საკუთარი მამის — **ᲑᲔᲥᲐ ᲒᲠᲘᲒᲝᲠᲘᲐᲓᲘᲡᲘᲡ** უკანალში დაჭრაზე, რასაც **ᲗᲐᲕᲐᲓ ᲣᲙᲐᲜᲐᲚᲨᲘ ᲓᲐᲭᲠᲘᲚᲘ ᲑᲔᲥᲐ ᲒᲠᲘᲒᲝᲠᲘᲐᲓᲘᲡᲘ** გამოძიებისათვის მიცემულ ჩვენებაში ასე აღწერს:

*„ჯერ ერთ, შემდეგ მეორე დუნდულზე ვიგრძენი ბასრი საგნის მოხვედრა. როდესაც მოვიხედე, დავინახე, ჩემს შვილს — **ლაზარე გრიგორიადისს,** მარჯვენა ხელში ეკავა დანა, რომელიც სისხლიანი იყო. ჩემი ძმა მაშინვე მოვიდა ჩემთან და მითხრა — დაგჭრაო? მე ხელი მოვისვი ორივე დუნდულზე და ვნახე, რომ სისხლი მომდიოდა. ამ დროს ლაზარესთან მივიდა ჩემი ძმა და დაიჭირა, რათა არ მოსულიყო ჩემთან ახლოს. მე ძალიან დავიბენი, ვინაიდან ჩემთვის ჩემი შვილის საქციელი იყო აბსოლუტური მოულოდნელობა“.*



**თუ სალომე ზურაბიშვილი ლაზარე გრიგორიადისის მიერ დასაწვავად გამეტებული ქართველი პოლიციელების მიმართვას არ შეისმენს და „მოლოტოვის კოქტეილის“ მსროლელს შეიწყალებს, თავად გახდება საქართველოსა და ქართველი ხალხისათვის ნასროლი „მოლოტოვის კოქტეილი“!**



მარტის აქციებზე წესრიგის დაცვისას დაზარალებული სამართალდამცავების აზრით, **თუ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘ ლაზარე გრიგორიადისს თუნდაც ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილი ძალადობის საქმეზე შეიწყალებს, ეს იქნება არა რიგითი შეწყალება, არამედ სიგნალი, რომ პოლიციელებზე თავდასხმის, ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის მიმართ სახელმწიფო ლოიალობას იჩენს.**

და მაინც, რა იზამს **ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘ?**

**ᲒᲘᲒᲘ ᲣᲒᲣᲚᲐᲕᲐᲡ, ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲝᲥᲠᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ, ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲠᲣᲠᲣᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲜᲘᲙᲐ ᲒᲕᲐᲠᲐᲛᲘᲐᲡ** შემწყალებელი პრეზიდენტი შეიწყალებს თუ არა **ლაზარე გრიგორიადისს,** რომელიც რუსთაველის გამზირზე ბენზინის ბომბებს ისროდა და პოლიციელებს ცოცხლად დაწვას უქადდა?

აკი, გამოძიებისათვის მიცემულ ჩვენებაში **ᲒᲠᲘᲒᲝᲠᲘᲐᲓᲘᲡᲘ** თავად ყვება, რა და როგორ ჩაიდინა:

*„პარლამენტის შენობის წინ მარცხენა მხარეს, 9 აპრილის ქუჩის მიმდებარე ტროტუარზე შევნიშნე, რომ განთავსებული იყო 2 შუშის ბოთლი, ხოლო მის გვერდით პლასტმასის ბოთლში განთავსებული იყო ბენზინი. მე აღნიშნულ ბოთლებში ჩავასხი ბენზინი, ავიღე ორივე ბენზინით სავსე მცირე ზომის შუშის ბოთლი და გადავინაცვლე 9 აპრილის ქუჩის მიმდე-*

***ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲛᲔ-6 ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ***

# ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲠᲘᲒᲝᲠᲘᲐᲓᲘᲡᲘᲡ ᲨᲔᲬᲧᲐᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲨᲔᲬᲧᲐᲚᲔᲑᲐᲖᲔ ᲣᲤᲠᲝ ᲡᲐᲨᲘᲨᲘᲐ!

## ᲙᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲝᲡᲜᲔᲑᲘ

**ᲐᲜᲠᲘ ᲝᲮᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ**
*პარლამენტარი*



ნაციონალური მოძრაობა **ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲡ მოღალატედ, აგენტად აცხადებდა,** დღეს მათი ლიდერია — არც ის გამოვრიცხოთ, რომ **ერთ დღეს შეიძლება, ზურაბიშვილი მათი პარტიის ფორმალური თავმჯდომარეც გახდეს.**

„ᲘᲜᲢᲔᲠᲞᲠᲔᲡᲜᲘᲣᲡᲘ“

**ᲗᲐᲛᲐᲠ ᲩᲘᲑᲣᲠᲓᲐᲜᲘᲫᲔ**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



**ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ** განცხადება **შეწყალებასთან დაკავშირებით** არის იმის აღიარებითი ჩვენება, რომ **ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘ** სხვა ქვეყნიდან იმართება. **ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ** პირდაპირ განაცხადა, რომ **სალომე ზურაბიშვილს სხვადასხვა ქვეყანაში მისი შეწყალება უბრძანეს.**

„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ“

**ᲗᲝᲠᲜᲘᲙᲔ ᲛᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ**
*სულხან მოლაშვილის ძმა*



**ᲡᲣᲚᲮᲐᲜ ᲛᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ 14 წლის შვილი აცემინა,** თუ გახსოვთ. მარტო ესაა საკმარისი, რომ **ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ** პოლიტიკურ ნაგავსაყრელზე მოისროლო.

„ᲘᲛᲔᲓᲘᲜᲘᲣᲡᲘ“

**ᲒᲝᲒᲐ ᲮᲐᲘᲜᲓᲠᲐᲕᲐ**
*კინორეჟისორი*



მზად ვარ, სასამართლოს და პროკურატურას გადავცე მასალები, რომლებიც **ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ მხრიდან ᲞᲐᲢᲐᲠᲙᲐᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ მკვლელობის შეკვეთას ადასტურებს.**

„ᲘᲛᲔᲓᲘᲜᲘᲣᲡᲘ“

**ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲓᲐᲣᲨᲕᲘᲚᲘ**
*პარტია „საქართველოსთვის“ წევრი, პარლამენტარი*



**არ ვფიქრობ, რომ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲛᲐ შეწყალება უნდა განახორციელოს, ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ დანაშაულებზე პასუხი უნდა აგოს.**

„ᲠᲔᲖᲝᲜᲐᲜᲡᲘ“

ეს არ უნდა მოხდეს!

# მოლოტოვის პრეზიდენტი

დასაწყისი მე-5 გვერდზე

*ბარედ სწორედ იმ ადგილას, სადაც პოლიციის კორდონი იყო გამაგრებული... **ბენზინით სავსე შუშის ბოთლი ვისროლე პოლიციის კორდონსა და აქციის მონაწილეებს შორის, რასაც მოჰყვა ბოთლის ალება და მისი მსხვრევა... თეთრი ფერის „შკოდას“ მარკის ავტომობილს, რომლის სახელმწიფო ნომერი არ მახსოვს, წავუკიდე ცეცხლი. კერძოდ, თან მქონდა ბენზინის ბოთლი, რომელიც გადავასხი აღნიშნულ ავტომობილს და სანთებელით წავუკიდე ცეცხლი“.***

ამა წლის 25 ნოემბერს, გორში სტუდენტებთან შესახვედრად ჩასულ **სალომე ზურაბიშვილს** ჟურნალისტებმა ჰკითხეს, აპირებს თუ არა ლაზარე გრიგორიადისის შეწყალებას, რაზეც მან კონკრეტული და მკაფიო პასუხი არ გასცა — **ვის შევიწყალებ და ვის — არა, ამას მაშინ ნახავთ, როცა შეწყალებულთა სიები გასაჯაროვდება!**

ბევრ სხვა რამესთან ერთად, **ზურაბიშვილის** ეს ბუნდოვანი და ნართაული განცხადებაც გვიმყარებს ეჭვს, რომ **ნაცბანდის მოკავშირედ გადაქცეული პრეზიდენტი** მართლა აპირებს პოლიციელებისათვის „მოლოტოვის კოქტეილის“ მსროლელი ლაზარე გრიგორიადისის შეწყალებას!

როგორც იცით, **პრეზიდენტმა ზურაბიშვილმა** სააკაშვილის შეწყალების თაობაზე სხვადასხვა დროს რამდენჯერმე გაიმეორა, რომ ამას არავითარ შემთხვევაში არ გააკეთებს და იქვე დასძინა — **არასოდეს დამავიწყდება ირინა ენუქიძისა და არცერთი იმ ადამიანის თვალები, რომლებიც სამართალს ელოდნენო!**

**ზურაბიშვილს შეეძლო, ახლაც სწორედ ასე — მოჭრილად, მკაფიოდ და არაორაზროვნად ეთქვა, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიწყალებს სამართალდამცავების ცოცხლად დაწვაში მხილებულ გრიგორიადისს, რადგან ეს პოტენციური მოძალადეების პირდაპირი წახალისება იქნება და საზოგადოებრივი წესრიგის დამცველებს ხვალ-ზეგ „მოლოტოვის კოქტეილების“ წვიმა დაატყდებათ თავს დაუსჯელობის სინდრომით გათამამებული კოლექტიური ლაზარეებისაგან!**

კი, წესით, ასე უნდა ეთქვა სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პრეზიდენტს!

კი, წესით, ასე იტყოდა ნებისმიერი პრეზიდენტი, ვისთვისაც კანონის უზენაესობის დაცვა, სახელმწიფოს უსაფრთხოებაზე ზრუნვა და ხალხის სამსახურში დგომა უპირველეს მოვალეობას წარმოადგენს!

**მაგრამ სალომე ზურაბიშვილმა ასე არ თქვა, რადგან მისთვის ნაცსექტასთან ალიანსი და საქართველოს გარეთ დაწერილ ანტიქართულ სცენარში მონაწილეობა გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე საქართველოს კონსტიტუცია, ქართული სახელმწიფოს უსაფრთხოება და ქართველი ხალხის მსახურება!**

სწორედ ამიტომ ვეჭვობთ, რომ **სალომე ზურაბიშვილი** აპირებს, შეიწყალოს **პოლიციელებისათვის „მოლოტოვის კოქტეილის“ მსროლელი ლაზარე გრიგორიადისი,** რომელიც ნაცსექტამ და კოლექტიურმა **ფოტიბა-კუბილიუსებმა** ლამის თავისუფლების დროშაზე დაახატეს და თანამედროვე გავროშად გამოაცხადეს!

იმაშიც დარწმუნებული ვართ, რომ

**მარტის აქციებისას დაზარალებულ პოლიციელებს პრეზიდენტისათვის წერილი მხოლოდ საჯარო სივრცეში მოარული ხმების საფუძველზე არ მიუწერიათ... ვფიქრობთ, მათ სარწმუნო ინფორმაცია მიიღეს იმის შესახებ, რომ ახალი წლისათვის ზურაბიშვილი გრიგორიადისის შეწყალებას გეგმავს!**

როგორც ჩანს, კოლექტიური დასავლეთის გარკვეული წრეებისათვის, რომლებიც საქართველოში თავიანთი „მეხუთე კოლონის“ საშუალებით აპირებენ რევოლუციისა თუ ე.წ. ქართული მაიდნის მოწყობას, **ლაზარეს** შეწყალებას პრინციპული მნიშვნელობა აქვს, რადგან **ქართული სახელმწიფოს დასამხობად გამოსაყენებელმა სხვა „ლაზარეებმა“** უნდა იცოდნენ, რომ „მოლოტოვის კოქტეილებით“ ქართველი პოლიციელების დაწვისათვის ციხეში ჩასხდომა არ მოუწევთ!

სხვანაირად რომ ვთქვათ, **ლაზარე გრიგორიადისის შეწყალება იმ გეგმის ნაწილია, რისთვისაც ნაცაქტივს ბაკურიანში — პიტერ აკერმანი, ხოლო თბილისში ორგანიზაცია „კანვასის“, ანუ იგივე სერბული „ქმარას“ ლიდერები — სლობოდან ჯინოვიჩი და სინიშა შიკმანი ატრენინგებდნენ!**

ნამდვილად არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ **დღეს ქართული სახელმწიფოსათვის ლაზარე გრიგორიადისის შეწყალება სააკაშვილის შეწყალებაზე უფრო საშიშია,** რადგან **პოლიტიკურად განულებული სააკაშვილი** ვერც ციხიდან და ვერც ციხის გარეთ ვერ იქნება გადამწყვეტი ფაქტორი სახელმწიფო გადატრიალების სცენარში, ხოლო **კოლექტიურ ლაზარეებს,** რომლებსაც **„მოლოტოვის კოქტეილის“ მსროლელი გრიგორიადისის** შეწყალებამ დაუსჯელობის სინდრომი უნდა შთაუნერგოს, შეუძლიათ, იგივე სცენარში დამრტყმელი ძალის როლი შეასრულონ!

ამიტომაც, პირდაპირ უნდა ითქვას — **თუ სალომე ზურაბიშვილი ლაზარე გრიგორიადისის მიერ დასაწვავად გამეტებული ქართველი პოლიციელების მიმართვას არ შეისმენს და „მოლოტოვის კოქტეილის“ მსროლელს შეიწყალებს, თავად გახდება საქართველოსა და ქართველი ხალხისათვის ნასროლი „მოლოტოვის კოქტეილი“!**

საქართველოს ეყოლება **„მოლოტოვის პრეზიდენტი“!**

**„მოლოტოვის პრეზიდენტს“** ქართული სახელმწიფოსათვის იმაზე გაცილებით დიდი ზიანის მოტანა შეუძლია, ვიდრე ბენზინისაგან დამზადებულ **„მოლოტოვის კოქტეილს“!**

ქართველი ხალხის ამოცანაა, **„მოლოტოვის პრეზიდენტი“** მანამდე მოისროლოს, ვიდრე აფეთქდება და მთელ ქვეყანას ცეცხლის ალში გახვევს!

***ჯაბა ხუბუა***



**ლაზარე გრიგორიადისის შეწყალება იმ გეგმის ნაწილია, რისთვისაც ნაცაქტივს ბაკურიანში – პიტერ აკერმანი, ხოლო თბილისში ორგანიზაცია „კანვასის“, ანუ იგივე სერბული „ქმარას“ ლიდერები – სლობოდან ინოვიჩი და სინიშა შიკმანი ატრენინგებდნენ!**

არამც და არამც!

# დაფუნანსებული

***წინა კვირას რუსეთის მრავალტირაჟიანმა „იზვესტიამ“ ევროკომისიის საგარეო საქმეთა პრესსპიკერის პეტერ სტანოს განცხადება გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც ევროკავშირი განიხილავს თავის რიგებში მოლდოვასა და საქართველოს გაწევრიანების შესაძლებლობას, ოღონდ დნესტრისპირეთის, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის გარეშე.***




კრემლში მოკალათებული რუსი იმპერიალისტები მიიჩნევენ, რომ ეს კიდევ ერთი მცდელობაა, ზეწოლა მოახდინონ რუსეთზე! თუმცა, გენერლები და პუტინთან დაახლოებული წრეები იმედს არ კარგავენ — **უკრაინაში ომს რომ მოვიგებთ, ევროკავშირში საქართველო და მოლდოვა არავის ეხსომებაო!**

ისტორია შეგვახსენებს, რომ ნაპოლეონის გამარჯვების შემდეგ მთელი ევროპა ცდილობდა პოლონეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენას, მაგრამ გამარჯვებულმა იმპერატორმა **ალექსანდრე პირველმა** ბონაპარტის მიერ შექმნილი ვარშავის საჰერცოგო ჯიბეში ჩაიდო და პოლონელებს რუსული უღელი დაადგა.

ერთი სიტყვით, მსოფლიო გეოპოლიტიკის ევროპელმა თავკაცებმა, რომელთა აზრებსაც ეს უდღეური **პეტერ სტანო** ახმოვანებს, საქართველო „სტანოკზე“ შემოდეს და ქართველებს ყური მოგვიხედნეს — **თუ ევროკავშირში შემოსვლა გინდათ, აფხაზეთი და სამაჩაბლო დაივიწყეთო!**

ეს ყველაფერი ძალიან ჰგავს საბჭოთა კავშირის უკანასკნელი პრეზიდენტის **მიხეილ გორბაჩოვისა** და საქართველოს პირველი პრეზიდენტის **ზვიად გამსახურდიას** სატელეფონო საუბარს, როცა გორბაჩოვი გამსახურდიას დაემუქრა — **თუ დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას გააგრძელებთ და საბჭოთა კავშირიდან გასვლას შეეცდებით, აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში ქართველებს პრობლემები შეგექმნებათო!** მოკლედ, როგორც აღმოჩნდა, საბჭოთა კავშირიდან გამოსვლა და ევროპაში შესვლა საქართველოს ძირძველი ტერიტორიების — აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გასხვისებაზე გადის!

ვიდრე **პეტერ სტანოსა** და მისთანა სატანებს პირში საწოვარა ედოთ და ლაპარაკს სწავლობდნენ, მანამდე ქართველებს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დავიწყებას **თინა ხიდაშელისა და დავით და ლევან ბერძენიშვილების** მსგავსი მოღალატეებიც გვირჩევდნენ. ახლაც კარგად მახსოვს ე.წ. „ვარდების რევოლუციამდე“ მოსკოვსა თუ კრასნოდარში სოროსის ფულებით დაფინანსებული ერთი სემინარი, სადაც გამოვიდა თინა ხიდაშელი და განაცხადა — **საქართველოს აფხაზეთისა და ცხინვალის დაკარგვა ვერ დაანგრევს, მაგრამ კორუფცია მიწასთან გაასწორებს და ბოლოს მოუღებსო!** ხოლო რაც შეეხებათ **ლევან და დავით ბერძენიშვილებს,** იმავე ფორუმ-

კვირგვინოსნები

**მამუკა მდინარაძე**

*ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე*



ზოგიერთი ოპოზიციონერი ქალბატონი **როცა აგინებს სხვას,** მაშინ ავიწყდება, რომ ქალია, ხოლო, **როცა თავად აგინებენ,** მაშინ ქალები არ არიან და მერე, **თუ ვინმემ პასუხი დაუბრუნა,** სპეტაკი და კდემამოსილი ქალბატონები ხდებიან.

„ინტერპრესნიუსი“

**მეუფე იაკობი**

*ბოდბელი მიტროპოლიტი*



დღევანდელ ოპოზიციაში **როგორც ქალბატონები, ისე მამაკაცებიც საკმაოდ არიან, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას.** ისინი ისეთ რამეებს ითხოვდნენ, რაც სამარცხვინოა. მაგალითად, უნდოდათ, **როგორც ბელარუსში ლუკაშენკოს წინააღმდეგ გამოდიან, საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგაც დაეწყოთ მსგავსი რაღაცები,** თუმცა, ვერც რევოლუცია მოაწყვეს და ვერც — გადატრიალება.

„TV იმედი“

# საქართველოს ევროკავშირში აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გარეშე ეპატიჟებიან!

ზე ერთიც და მეორეც ამტკიცებდნენ — **აფხაზებს აქვთ დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის უფლებაო!**

კაცმა რომ თქვას, თუ „**დაფუნა**ნსებულია" და სოროსის ჯიქანი პირში უძევს, როგორც წესი, ასეთ სიტუტუცეებს **დათო ტურაშვილიც** წამოიძახებს-ხოლმე!

უფრო მეტიც, საქართველოს „გათავისუფლებაში" რუსეთის მიერ ოკუპირებული ძირძველი კუთხეებისა და ისტორიული პროვინციებისგან რეზიდენტ-პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილიც** ისეა დაინტერესებული, ამ საქმეში თვით სულაძაღლებულ აკადემიკოს **ანდრეი სახაროვსაც** კი უსწრებს. მოგეხსენებათ, სახაროვმა მეუღლის — **ელენა ქოჩარიან-ბონერის** მითითებით, 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიიდან სულ ცოტა ხანში გამოგვიცხადა — „საქართველო მცირე იმპერიაა და უნდა დაიშალოსო!"

საქვეყნოდ ცნობილია, რომ პრივატულ საუბრებში რეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი** აფხაზეთსა და სამაჩაბლოს საქართველოს სხეულზე ამოზრდილ **კიბოს** უწოდებს, რომელიც, თურმე, **უნდა მოიკვეთოს!** მიგვაჩნია, რომ აფხაზეთი და სამაჩაბლო არა, მაგრამ რეზიდენტ-პრეზიდენტი სალომე ნამდვილად არის კიბო, რომელიც საქართველოს მტრებმა შეჰყარეს... **სწორედ ამიტომ ათონელის ქუჩაზე მდებარე საპრეზიდენტო რეზიდენციიდან მისი სახსენებელი ისევე უნდა ამოიშანთოს, როგორც დიდებულმა კოლხმა ქალბატონმა მოიკვეთა და უარყო თავისი უნამუსო შვილი, სააკაშვილის 35-ლარიანი ზონდერგამაუპატიურებელი თემურ უბირია და ტელეჟურნალისტებს განუცხადა** — მე ასეთი შვილი არ მყავს, არ გამიზრდია და ასეთ გათახსირებულს არ ვიცნობო!

ფაქტია, რომ თავად სააკაშვილიც **ზედმეტ ბარგი-ბარხანას, ქვეყნის ტორმუზსა და ქვების გროვას უწოდებდა საქართველოს იმ ტერიტორიებს,** რომელიც, როგორც მოღალატემ, თავად ჩააბარა და მერე საქართველოს სტრატეგიული ობიექტებიც ზედ მიაყოლა!

მოკლედ, **პეტერ სტანომ „სტანოკზე" შემოგვდო** და ევროკავშირში მიღების სანაცვლოდ ახალი საზღვრები დაგვიწესა... საქართველოს, გარდა იმისა, რომ **„ევროსტანოკისგან"** წამოყენებული აქვს 9-პუნქტიანი პირობა, სტრასბურგისკენ მიმავალ მოლიპულ გზაზე წინ ელოდება ახალ-ახალი უბინძურესი ულტიმატუმების შესრულება.

დღევანდელ 9-პუნქტიან მოთხოვნებს შორის ყველაზე უფრო საშინელია ორი — **ლგბტ პროპაგანდის ხელშეუხებლობა და ანტიდასავლური რიტორიკის აღკვეთა!** ეს იმას ნიშნავს, რომ ევროკავშირელების კრიტიკის გამო შესაძლოა დაგიჭირონ, ხოლო თუ რუსთაველის პროსპექტზე სოდომისტების პარადს ხელს შეუშლით, **ტერორისტად** ან **მოძალადედ** შეგვრაცხონ, ანგარიშები დაგვიყადაღონ და ვირის აბანოში გაგვამწესონ! სამწუხაროდ, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ **პეტერ სტანოების** მიერ გამზადებულ **„სტანოკში"** მოქცეულ საქართველოს იმაზე ბევრად უფრო მძიმე ხვედრი ელის, ვიდრე დიდი და სახელოვანი **მეფე ერეკლეს** სიკვდილის შემდეგ დაგვემართა.

**თუ 1801 წლის 12 სექტემბერს რუსეთმა მხოლოდ ტერიტორიებმორღვეული და სისხლმდინარი საქართველო ჩაიბარა, ახლა ყველა უბედურებასთან ერთად, ევროპელი გეიმანიფესტანტებისგან და მათი ქართველი მოკავშირეებისგან ნამუსახდილ და გაბახებულ ქვეყანას ჩაიბარებს!**

1783 წლის **გეორგიევსკის ტრაქტატის** ხელმოწერის დროს უბედური **მეფე ერეკლე** იმაზე ბევრად დიდ ტერიტორიას ფლობდა, ვიდრე დღევანდელი საქართველოა... **როცა გეორგიევსკის ტრაქტატს ხელს აწერდა, ერეკლეს რაღაცის იმედი მაინც ჰქონდა, მაგრამ ამის მიუხედავად, მაინც ცუდად დასრულდა ის ამბავი.** ახლა ევროკავშირის იმედი ჩვენ კი არა, ვინც ევროკავშირი შექმნა, იმასაც არა აქვს, მაგრამ მაინც ხბოს აღტაცებით ცხოვრებას გვაიძულებენ და თან ბინძური, საეჭვო და ქართული ცხოვრების წესისთვის მიუღებელი ულტიმატუმების შესრულებას გვავალებენ!

1952 წელს საფრანგეთთან, გერმანიასთან, ბელგიასთან, ლუქსემბურგთან და იტალიასთან ერთად, ე.წ. „სამთამადნო კავშირზე", ხელმომწერმა, ანუ, ფაქტობრივად, ევროკავშირის დამფუძნებელმა **ნიდერლანდებმა,** სადაც ხელისუფლებაში ულტრამემარჯვენეები მოვიდნენ, ამ დღეებში ოფიციალურად განაცხადა — **ქვეყანაში ევროკავშირიდან გამოსვლის შესახებ რეფერენდუმი უნდა ჩავატაროთო!** იმავე ევროპაში, სადაც საქართველოს ნამუსის ახდასა და მერე წიქარასავით დაკვლას უპირებენ, ყველა სერიოზული ექსპერტი








ამტკიცებს, რომ ევროკავშირი, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების მარიონეტი და დაცვედნებული დომინიონი, არსებობას სულ მალე შეწყვეტს.

საფრანგეთის დიდი პრეზიდენტი და ეროვნული გმირი, გენერალი **შარლ დე გოლი** სწორედ იმას შიშობდა, რაც დღეს ევროკავშირს სჭირს. მისი აზრით, დიდი ბრიტანეთი არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამხდარიყო ევროპული თანამეგობრობის წევრი. მიუხედავად იმისა, რომ 1961 წელს პრემიერ-მინისტრმა **ჰაროლდ მაკმილანმა** ევროპის წინაშე ეს საკითხი მწვავედ დასვა, 1963 და 1967 წლებში პრეზიდენტ **დე გოლის** აქტიური მეცადინეობით, ევროპულ თანამეგობრობაში **ბრიტანეთმა ცხვირი ვერ შეყო!**

**დე გოლმა** ძალიან კარგად იცოდა, რომ 1815 წლის ვენის კონგრესის შემდეგ დიდი ბრიტანეთის უზარმაზარი საზღვაო იმპერია მიხვდა, რომ კოლონიებს ვეღარ შეინარჩუნებდა, თუ იმპერიას ახალ სისხლს არ გადაუსხამდა. ახალი სისხლის გადასხმისა რა მოგახსენოთ, მაგრამ უესტმინსტერის ძველ სასახლეში მაშინ მიიღეს **ურთულესი პოლიტიკური გადაწყვეტილება და ფსონი დადეს ოკეანისგაღმა, ახალი იმპერიის მშენებლობაზე, რომელსაც მომავალში დიდი ბრიტანეთის სამხედრო-პოლიტიკური მისია უნდა ეტვირთა.** იმ დღიდან დიდი ბრიტანეთი ქმნიდა და ყოველმხრივ აძლიერებდა თავის პოლიტიკურ მემკვიდრეს — **ამერიკის შეერთებული შტატების მრისხანე იმპერიას,** რომელმაც 1945 წელს გაბედა და დედამიწაზე ატომური ბომბები ააფეთქა!

პოლიტიკიდან და ამქვეყნიდან დე გოლის წასვლის შემდეგ, კერძოდ, 1973 წელს, დიდი ბრიტანეთი ევროპული თანამეგობრობის წევრი გახდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში, ვიდრე ე.წ. „ბრექსიტის" გაყრამდე, ოფიციალური ლონდონი ევროკავშირში ამერიკის შეერთებული შტატების მეთვალყურის ფუნქციას ასრულებდა.

როცა ევროკავშირში წმინდა აღარაფერი დარჩა, როცა დიდი ემანუელ კანტის, ვიქტორ ჰიუგოს, რობერ შუმანისა და ჟან მონეს წმიდათაწმიდა იდეებისგან გაძარცვული ევროკავშირი ოდენ ლესბოსელების, გეი-კონჩიტებისა და ამერიკის შეერთებული შტატების წინაშე მუცელზე მფორთხავი მონების კლუბად გადაკეთდა, **ამერიკისავე ინსტრუქციით, ბრიტანეთმა იქაურობა დატოვა და წავიდა. არადა, ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში ემანუელ კანტი ევროპელებს მოუწოდებდა — ომების თავიდან აცილების მიზნით ევროპის სახელმწიფოთა კავშირში გაერთიანდითო!** იმავეს ამბობდა საფრანგეთის უდიდესი შვილი და ცნობილი კლასიკოსი **ვიქტორ ჰიუგო,** რომელმაც „ევროპის შეერთებული შტატების" შექმნის იდეა წამოაყენა. სხვათაშორის, 1946 წელს შვეიცარიაში, კერძოდ, ციურიხში გამოსვლის დროს, **უინსტონ ჩერჩილმა** ევროპელებს მოუწოდა, შეექმნათ **„ევროპის შეერთებული შტატები"!**

**„ევროპის შეერთებული შტატები",** ანუ ევროკავშირი ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მოკლა!

ვნახოთ, სადამდე იცოცხლებს **გეოპოლიტიკური მკვლელი,** რომელიც **ჩერნენკოს ფაზაში** შევიდა!

**ვიდრე სტანოსა და მისთანა სატანებს პირში საწოვარა ედოთ და ლაპარაკს სწავლობდნენ, მანამდე ქართველებს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დავიწყებას თინა ხიდაშელისა და დავით და ლევან ბერძენიშვილების მსგავსი მოღალატეებიც გვირჩევდნენ!**

**დიტო ჩუბინიძე**

## კვირგვინოსნები



**გია ვოლსკი**
*პარლამენტარი*

**ბიძინა ივანიშვილი** პოლიტიკურ პროცესში არ მონაწილეობს, მისი ჩამოყალიბებული **„ქართული ოცნება" სწორ გზაზე დგას.**

„რეზონანსი"



**გურამ მაჭარაშვილი**
*პარლამენტარი*

როცა **ნულოვანი ბარიერი** დავუშვით, **პოლიტიკური აჯაფსანდალი** მივიღეთ, ამიტომ **5-პროცენტიანი ბარიერი** იქნება არჩევნებისთვის.

„რეზონანსი"



**ანა დოლიძე**
*„ძალა ხალხისთვის" ლიდერი*

ვერ მომიძებნით ვერცერთ განცხადებას, სადაც **სალომე ზურაბიშვილს სასამართლო „კლანი"** ჰყავს გაკრიტიკებული.

„რეზონანსი"



**ალეკო ელისაშვილი**
*„მოქალაქეების" ლიდერი, პარლამენტარი*

კარგია, რომ **სალომე ზურაბიშვილს** ახლა აეხილა თვალები და **ყველაფერს თავისი სახელი დაარქვა.** „ოცნების" არ იყოს, მეც მაქვს კითხვა: **ამ დრომდე რატომ ვერ ხედავდა ამ ყველაფერს?**

„კვირის პალიტრა"



**გიორგი ვაშაძე**
*„სტრატეგია აღმაშენებელის" ლიდერი*

**სალომე ზურაბიშვილმა** თავის განცხადებებს კონკრეტული ქმედებები უნდა მოაყოლოს. **მიშა სააკაშვილის შეწყალების საკითხი** პირდაპირი ტესტია მისთვის, თუ სად დგას სინამდვილეში. „კვირის პალიტრა"



**ბაჩო ახალაია**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*

**ხაბეიშვილის მუქარა სერიოზულად რანაირად უნდა აღიქვა?**

„იმედინიუსი"

# ნაცენტრილები

*სლენგი „დაცენტრილი“ ქართულ ენაში არანორმალური, არაადეკვატური, ჭკუა-გონებასთან მწყრალად მყოფი ადამიანის დასახასიათებლად გამოიყენება და რაკი სააკაშვილის ნაცსექტა სწორედ ასეთი სუბიექტებისაგან შედგება, ზედგამოჭრილად მიგვაჩნია, მათ ნაცენტრილები დავუძახოთ.*










**ნაცენტრილებმა** 2023 წლის 23 ნოემბერს „ვარდების რევოლუციის“ 20 წლისთავი აღნიშნეს და **11-პუნქტიანი** პოლიტიკური მანიფესტი გამოაქვეყნეს, რომელშიც ნათქვამია:

> ***„ვარდების რევოლუციის“ იდეოლოგია ეფუძნება ქართველი ხალხის ძალისა და ბრძოლისუნარიანობის უსაზღვრო რწმენას და ევროპული კურსის ურყეობას.“***

ცხადია, ქართველმა ხალხმა ძალიან კარგად იცის, რომ **„ვარდების რევოლუციად“ წოდებული ბინძური სახელმწიფო გადატრიალების იდეოლოგია,** სინამდვილეში, ავტორიტარიზმს, ძალმომრეობას, სიკვდილის ბრიგადებს, უდანაშაულო ახალგაზრდების ხოცვას, მშვიდობიანი მანიფესტაციების სისხლში ჩახშობას, პატიმრების წამებასა და გაუპატიურებას, ბიზნესისა და მედიის ტერორს, პოლიციისა და მართლმსაჯულების პოლიტიზებას, ელიტურ კორუფციასა და ყველა იმ უბედურებას ეფუძნება, რაც საქართველოსა და ქართველ ხალხს ვარდებით ხელში მოსულმა ნაცენტრილებმა დამართეს!

შესაბამისად, **„ვარდების რევოლუცია“ და ევროპული ღირებულებები ისეთივე ოქსიმორონია, როგორიც კეთილი სერიული მკვლელი ან ქალწული მეძავი!**

თუმცა, **ნაცენტრილების** მიერ გამოქვეყნებულ მანიფესტში ამაზე უარესი რაღაცებიც წერია...

მაგალითად, **ნაცენტრილები** წერენ: **ჩვენ ავაშენებთ ისეთ სახელმწიფოს, სადაც თითოეული ადამიანი პატივს სცემს სხვის უფლებებსა და თავისუფლებებს!**

ღმერთი, ალბათ, არ გაიცინებს, მაგრამ ეშმაკი ნამდვილად სიცილით გაიგუდება, როცა ადამიანის უფლებების პატივისცემაზე ლაპარაკობს **ნაცენტრილი სააკაშვილის ბანდა,** რომლის მმართველობის დროსაც ადამიანის უფლებები არათუ ტოტალურად ირღვეოდა, არამედ საერთოდ არ არსებობდა!

ჰო, **გირგვლიანისა** და **რობაქიძის, ვაზაგაშვილისა** და **გამცემლიძის, თეთრაძისა** და **შავაძის, კრიალაშვილისა** და **შარაძის, ცინდელიანისა** და **ქარდავას, კვინტრაძისა** და **ასათიანის** მკვლელები, 7 ნოემბრისა და 26 მაისის მშვიდობიანი მიტინგების დამრბევები, **მეგის ქარდავას, კოხტა კოდუასა და ყავარჯნიანი გამაუპატიურებლის** სისტემური შემოქმედები გვპირდებიან ისეთი სახელმწიფოს აშენებას, სადაც ადამიანის უფლებები და თავისუფლებები ხელშეუხებელი იქნება!

თვითონ ხომ **ნაცენტრილები** არიან და, ეტყობა, ქართველი ხალხიც **დაცენტრილი** ჰგონიათ!

**ნებისმიერი ფორმის ოლიგარქია ქართული სახელმწიფოსა და მოქალაქეთა კეთილდღეობის მტერიაო** — ვკითხულობთ **ნაცენტრილების** მანიფესტში, არადა, ეს მანიფესტი სწორედ რომ პირწავარდნილი ოლიგარქის, ქართული ჯარისა და ევროპელი პენსიონერების ძარცვით გამდიდრებული **დავით კეზერაშვილის** დაკვეთით არის შედგენილი.

წარმოუდგენელი უტიფრობა და ქართველი ხალხის დაცინვაა, როცა ოლიგარქიის მიუღებლობაზე ლაპარაკობს **ნაცენტრილების პარტია,** რომლის მთავარი დამფინანსებელი და ჩრდილოვანი მმართველი ოლიგარქიის განსახიერება **კეზერაშვილი** გახლავთ!

ეს **ნაცენტრილების მანიფესტიც** იმისათვის დაიწერა, რომ ოლიგარქმა კეზერაშვილმა პარტიული ძალაუფლება ბოლომდე განიმტკიცოს და საბოლოოდ მოიშოროს **ნიკანორ მელია,** რომელიც **ნაცენტრილების პარტიას** შიგნიდან ანჯღრევს!

**ნაცენტრილების პარტია** დაშლის პირას რომ არის მისული და მის წიაღში ძაღლი პატრონს ვეღარ სცნობს, ეს ყველაზე კარგად მაშინ გამოჩნდა, როცა „ვივამედის“ ლუქს-პალატიდან სასამართლო სხდომაზე დისტანციური ჩართვისას **პატიმარმა სააკაშვილმა** განაცხადა — **ვინც პარტიას შიგნიდან ლანძღავს და ასუსტებს, ჯობს, ცალკე გავიდეს და თავის გზა ნახოსო!**

მართალია, ნაცენტრილების ბელადს კონკრეტული ადრესატები არ დაუსახელებია, მაგრამ **ნაცენტრილები, ოლიგარქ კეზერაშვილის მიერ ხელდასხმული ხაბეიშვილის თამადობით,** მაშინვე აყვირდნენ — სააკაშვილი **ნიკა მელიას** გულისხმობდაო! ამის კვალდაკვალ, სააკაშვილმა სოციალურ ქსელში დაწერა — **ჩემი განცხადება მელიას კრიტიკად ვინც აღიქვა, ძალიანაც შემცდარა, რადგან ნიკას დამსახურებასა და შესაძლებლობებზე მაღალი წარმოდგენის ვარო,** მაგრამ ნაცენტრილთა ბელადმა ეს პოსტი მეორე დღესვე წაშლა.

როგორც მოგვიანებით გაირკვა, **მელიასადმი** რევერანსის შემცველი განცხადების სოციალური ქსელიდან გაქრობა სააკაშვილს **კეზერაშვილმა და მისმა ამქარმა** მოსთხოვეს. მედიაში გაჟონა ინფორმაციამ იმის შესახებაც, რომ ოლიგარქმა კეზერაშვილმა პატიმარ ნაცბელადს კლინიკა „ვივამედში“ **პეტრე ცისკარიშვილის** ხელით შეუგზავნა წერილი, რო-

## ნაცენტრილების მანიფესტი „რუსი ოლიგარქი ივანიშვილისაგან“ საქართველოს გათავისუფლებას კი არა, მელიას საქათმიდან გაგდებას ემსახურება!

### კვირგვინოსნები

**ლევან ხაბეიშვილი**
*ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე*



**არ მოგენატრათ გამარჯვების გემო? გამარჯვების ყიჟინა?** რამდენიც არ უნდა გვეძახონ, რომ ცუდები ვართ, ავაშენებთ, ვემსახურებით ხალხს **წარსულის შეცდომებზე გამობრძმედილები** და ნასწავლები.

„პირველი არხი“

**თორნიკე შარაშენიძე**
*ანალიტიკოსი*



მიშას თუ ჰგონია, რომ **გამოვა და ისევ რევოლუციას მოაწყობს,** სასაცილოა. ვინ უნდა გამსხვილდნენ? არჩევნებს ფული სჭირდება, **ფული კიდევ კეზერაშვილის და „ოცნების“ გარდა „ლელოს“ აქვს.** მთელი ოპოზიცია „ლელოსთან“ უნდა გაერთიანდეს?

„ახალი თაობა“

**ალეკო ელისაშვილი**
*პარლამენტარი*



კოლექტიურ ნაციონალურ მოძრაობას **პოლიტიკური გვამის სუნი** უდის.

„ინტერპრესნიუსი“

**ნიკა მაჭუტაძე**
*ოპოზიციონერი პარლამენტარი*



ის ნიშნები, **რომლის გამოც აკრიტიკებ ხელისუფლებას,** შენ არ უნდა გჭირდეს თავად.

„TV იმედი“

**გიგი უგულავა**
*ოპოზიციონერი პოლიტიკოსი*



თუ გვინდა, რომ ვიბრძოლოთ და **ერთ ნავში ვიყოთ,** მაშინ ხელი უნდა ჩავკიდოთ ერთმანეთს, თუ არა, **მშვიდობით უნდა დავსვათ წერტილი** — ამ „ბარდაგს“ წერტილი უნდა დაესვას.

„ინტერპრესნიუსი“




მელშიც ეწერა: **საბოლოოდ გაირკვეს, ვინ ურევს სიტუაციას პარტიაში, ვის არ უნდა ერთობა და ვინ უნდა წავიდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, პროექტს დავხურავთ!**

ოლიგარქი კეზერაშვილი „პროექტის დახურვაში“, ცხადია, იმას გულისხმობს, რომ, თუ მელია და მისი გუნდი ნაცმოძრაობიდან არ წავლენ, პარტიის დაფინანსებას შეწყვეტს!

მოკლედ, ასეთი დომხალია **ნაცენტრილების პარტიაში** და ასე ჭამენ ერთმანეთს **კეზერაშვილისა და მელიას დაჯგუფებები!**

**ნაცენტრილებს** ამ უბადრუკი მანიფესტის გამოცხობაც სწორედ იმისათვის დასჭირდათ, რომ მასზე ხელის არმოწერის საბაბით მელია და მისი თანამოაზრეები პარტიიდან გარიცხონ!

აკი, **ნაცენტრილთა** მანიფესტის ბოლო აბზაცში წერია:

> ***„ამ მანიფესტზე ხელმოწერით ვადასტურებთ, რომ ჩვენი საქმიანობა მიმართული იქნება შიდაპარტიული ერთიანობისა და ძალების კონსოლიდაციისკენ!“***

შესაბამისად, თუ **ნიკა მელია და მისი დაჯგუფება** ამ მანიფესტს ხელს არ მოაწერენ, უკვე ოფიციალურად შეირაცხებიან შიდაპარტიული ერთიანობის მტრებად და გარიცხული იქნებიან ნაციონალური მოძრაობიდან!

ხოლო, თუ **მელია და მისი დაჯგუფება** ამ მანიფესტს ხელს მოაწერენ, გამოვა, რომ თავიანთი გადაფურთხებული ალოკეს და **კეზერაშვილ-ხაბეიშვილის** წინაშე კაპიტულაცია გამოაცხადეს!

ერთი სიტყვით, ნაცენტრილების მანიფესტი **„რუსი ოლიგარქი ივანიშვილისაგან“** საქართველოს გათავისუფლებას კი არა, მელიას საქათმიდან გაგდებას ემსახურება!

რა თქმა უნდა, საქართველოსა და ქართველი ხალხისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ნაცენტრილების პარტია მელიასთან ერთად დარჩება თუ მელიას გარეშე!

**ასეც და ისეც, ნაცენტრილების პარტიის ბოლო გაჩერება სოფო ჯაფარიძის მიერ გახსნილი მავზოლეუმი იქნება, სადაც სააკაშვილის პიჯაკები და ბოტასები ასვენია!**

***ჯაბა ხუბუა***

## თუ მელია და მისი დაჯგუფება ამ მანიფესტს ხელს მოაწერენ, გამოვა, რომ თავიანთი გადაფურთხებული ალოკეს და კეზერაშვილ-ხაბეიშვილის წინაშე კაპიტულაცია გამოაცხადეს!




*ეგრეთ წოდებული „ვარდების რევოლუციის“ მე-20 წლისთავისთვის ალგ ზნებულ ნაცსექტას ისეთივე კონვულსიები დაეწყო, როგორიც ვალპურგის ღამეს ემართებათ ხოლმე ალქაჯებსა და ავსულებს. ჰოდა, სააკაშვილმა 23 ნოემბრისთვის, არც მეტი, არც ნაკლები, ნაცმოძრაობის მანიფესტი შვა!*

# ჩამოაგდეთ წალენჯიხის ავტობუსიდან!

ვერ გეტყვით, „ვივამედის“ ლუქს-პალატაში ამ მანიფესტის წერისას თავად სააკაშვილი რამდენად იყო შთაგონებული მარქსისა და ენგელსის ცნობილი „კომუნისტური პარტიის მანიფესტით“, მაგრამ აშკარად ჩანს, რომ მასაც ძლიერ აწუხებს და შესაძლოა, ელანდება კიდეც ის აჩრდილი, მარქს-ენგელსის ეპოქაში, ევროპაში რომ დაძრწოდა კომუნისტური მოძრაობის სახით!

**„აჩრდილი დადის ევროპაში — აჩრდილი კომუნიზმისა!“** — სწორედ ასე იწყებოდა ის კომპარტიის მანიფესტი და სააკაშვილის (ნაც)კომუნისტურ მანიფესტსაც აშკარად ეს პერიფრაზი დაამშვენებდა: **„აჩრდილი დაძრწის საქართველოში — აჩრდილი (ნაც)კომუნიზმისა“!**

ფაქტობრივად, სააკაშვილმა, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ კვდებოდა და მშობლიურ უკრაინაში სიკვდილის ბოლო დღეების გასატარებლად იქ გაშვებას ითხოვდა, თავის ნაც-მანიფესტში **ნაცრევოლუციის გეგმა** ჩამოაყალიბა! აგერ, ბატონო, ამ მანიფესტის პირველივე პუნქტში უწერია კიდეც: ***„1. „ვარდების რევოლუციის“ იდეოლოგია ეფუძნება ქართველი ხალხის ძალისა და ბრძოლისუნარიანობის უსაზღვრო რწმენას და ევროპული კურსის ურყეობას“...***

ნაცსექტისთვის ერთობ სიმბოლურ მე-5 პუქტში კი ღიად წერია: ***„ჩვენ სისტემაზე ტოტალურ შეტევას განვახორციელებთ“...***

ის კი არა, მანიფესტის გამოქვეყნებამდე ორი დღით ადრე, თავის სასამართლო პროცესზე ვიდეოჩართვისას, ნაცთფიურერმა სავსებით ღიად და არაორაზროვნად განაცხადა: ***„მზად ვარ, მიუხედავად ფიზიკური სისუსტისა, ჩემს თავზე ავიღო ყველაფერი. ჩვენ დავადექით წალენჯიხის გზას და ეს გზა აუცილებლად ბოლომდე უნდა გავიაროთ“!***

მოკლედ, ყველაფერი დღესავით ნათელია: **სააკაშვილი აღარ კვდება და ისეთ გონორზეა, რომ კვლავაც „წალენჯიხის ავტობუსი“ ელანდება — ეს რევოლუციური გზა ბოლომდე უნდა გავიაროთო!** ის არც მალავს, რომ ხელისუფლების წინააღმდეგ ტოტალური შტურმი უნდა მოვაწყოთო, ანუ „ვარდების რევოლუციის“ მეორე სერია დავიწყოთო!

ახლა მარტივ რიტორიკულ კითხვას ვსვამ: **რა უნდა ამას „ვივამედის“ კლინიკის ლუქს-პალატაში?! რატომ უნდა იჯდეს არსება, რომელიც ხელისუფლების რევოლუციით დასამხობ გეგმებს თხზავს და აფრქვევს, ასეთ საკურორტო პირობებში?!**

პასუხი მოკლე და მარტივია: **ჩამოაგდეთ წალენჯიხის ავტობუსიდან და მოათავსეთ მის კუთვნილ საკანში — რუსთავის მე-12 სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში!**

მარქსისა და ენგელსის კომპარტიის მანიფესტს რაც შეეხება, მათი ზმანება ზმანებადვე დარჩა: **ევროპაში აჩრდილად მოწანწალე კომუნიზმი აჩრდილადვე დარჩა!**

ჰოდა, იგივე ელის სააკაშვილის **„წალენჯიხის ავტობუსსაც“ — უბილეთო მგზავრივით იქ შეხტომა მხოლოდ ღამის კოშმარებში თუ მოელანდება...** რუსთავის საპატიმროს საკანში!

***გიორგი გიგაური***

## კვირგვინოსნები



**რატი ბრეგაძე**
*იუსტიციის მინისტრი*

**ნაციონალურმა მოძრაობამ** ხელი მოაწერა რეზოლუციას, მტრის ნარატივს, **„ქვების გროვა“ უწოდა დაკარგულ ტერიტორიებს და ეს არის სირცხვილი,** რომელსაც ვერასდროს ჩამოირეცხავენ.

„ინტერპრესნიუსი“



**ელიზბარ ჯავახიშვილი**
*პოლიტიკოსი*

ნაციონალური მოძრაობა **გაყოფილ-დაქუცმაცებულია** და ჩამოყალიბებულია, როგორც სექტა. **ერთ სექტას** სათავეში **ხაბეიშვილი** უდგას, **მეორეს — სააკაშვილი, მესამეს — მელია.** ვერავითარი შეკრება და შერიგებ-შემორიგება ამას ვერ უშველის.

„რეზონანსი“



**გია ხარჩილავა**
*წალენჯიხის მერი*

**მიშა სააკაშვილი** არის სახელმწიფოს დამფუძნებელი **მამათგან ერთ-ერთი,** დიდი **მამებისგან ერთ-ერთი.**

„რუსთავი-2“



**იაგო ხვიჩია**
*„გირჩის“ წევრი, პარლამენტარი*

ნაცმოძრაობა ისე არ იქცევა, რომ **პირველი ადგილი უნდოდეს,** არსებულ კონსტრუქციაშიც **კომფორტულად გრძნობს თავს.**

„რეზონანსი“



**პაატა ზაქარეიშვილი**
*ექსპერტი, კონფლიქტოლოგი*

**სააკაშვილი** ციხეში **მეტ პოლიტიკურ წონას შეიძენს,** როგორც კი გამოვა, **მაშინვე განულდება.**

„ახალი თაობა“

# მამუკა ხაზარაძის უზორნიაში «საქართველოს დაცვის აქტი» დაიწერა!



**სულ გვქონდა წინათგრძნობა, რომ ერთ დღესაც ხაზარაძის უზორნიაში ლაშა ბუღაძის, რატი ამაღლობელისა და ზაზა ბურჭულაძის ნაწარმოებებზე უფრო გენიალური რამ დაიწერებოდა!**

***„კმარა პუტინის ჯიბის მთავრობა! დროა, მოვიდეს ეროვნული ხელისუფლება!“ — აცხადებს ქართული მართლმსაჯულების მიერ ჯგუფური თაღლითობისათვის გასამართლებული მამუკა ხაზარაძე, რომლის პარტია „ლელომ“ პარლამენტში განსახილველად წარადგინა 9-პუნქტიანი გეგმა სახელწოდებით — „საქართველოს დაცვის აქტი“.***

ვთქვათ, საქართველოს მართლაც **პუტინის ჯიბის მთავრობა** ჰყავს, რომელმაც რუსეთს უბრძოლველად ჩააბარა კოდორის ხეობა და ახალგორის რაიონი, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ კი საქართველოს სტრატეგიული ობიექტებიც რუსულ სახელმწიფო კომპანიებს მიჰყიდა; გარდა ამისა, **პუტინის ჯიბის მთავრობამ** ხელი მოაწერა ევროსაბჭოს რეზოლუციას, სადაც ცხინვალის რეგიონში ომის დამწყებად საქართველო იყო დასახელებული და ბოლოს რუსეთთან ცალმხრივი უვიზო რეჟიმიც დააწესა; ისიც გვახსოვს, **პუტინის ჯიბის მთავრობის** მეთაური **ბიძინა ივანიშვილი** რუსეთიდან უვიზოდ შემოსულ მოქალაქეებს ლარსის საბაჟო პუნქტზე პირადად რომ ხვდებოდა ყვავილებითა და შამპანურებით ხელში...

აჰ, **მერე რა, რომ** კოდორის ხეობა და ახალგორის რაიონი რუსეთს დღევანდელმა ხელისუფლებამ კი არა, სააკაშვილის რეჟიმმა ჩააბარა; **მერე რა, რომ** 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ საქართველოს სტრატეგიული ობიექტები რუსულ კომპანიებს ივანიშვილის კი არა, სააკაშვილის ხელისუფლებამ მიჰყიდა; **მერე რა, რომ** „ქართულმა ოცნებამ“ კი არა, ნაციონალურმა მოძრაობამ მოაწერა ხელი ევროსაბჭოს რეზოლუციას, რომლითაც ცხინვალის რეგიონში ომის დაწყება საქართველოს დაბრალდა; **მერე რა, რომ** 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ოკუპანტ ქვეყანასთან ცალმხრივი უვიზო რეჟიმიც ქოცებმა კი არა, ნაცებმა დააწესეს; **ან იმას რა მნიშვნელობა აქვს,** რუსეთიდან უვიზოდ შემოსულ მოქალაქეებს საზღვარზე ყვავილებითა და შამპანურებით ხელში ივანიშვილი კი არა, სააკაშვილი რომ ხვდებოდა...

**ხაზარაძე მაინც მართალია და მაინც ქოცები წარმოადგენენ პუტინის ჯიბის მთავრობას!**

ჰო, **განა ქოცებმა არ თქვეს უარი** უკრაინაში ომის დაწყების კვალდაკვალ, რუსეთის წინააღმდეგ მეორე ფრონტის გახსნასა და საქართველოს ომში ჩაბმაზე? **განა ქოცები არ იყვნენ,** ფეხებზე რომ დაიკიდეს უკრაინის ხელისუფლების უმაღლეს წარმომადგენელთა მოწოდებები აფხაზეთსა და სამაჩაბლოში „ტანკებით გასეირნების“ შესახებ? **განა ქოცები არ არიან დამნაშავე იმაში,** რომ დღეს ქართული ქალაქები ბახმუტად, ბუჩად და მარიუპოლად არ არის გადაქცეული?










**კი, საქართველოს ხელისუფლების ბრალია ეს ყველაფერი და ამიტომაც ბრძანებს მამუკა ხაზარაძე — პუტინის ჯიბის მთავრობა უნდა დამთავრდესო!**

მაგრამ ვინ უნდა მოვიდეს პუტინის ჯიბის მთავრობის მაგივრად?

როგორც **მამუკა ხაზარაძე** ამბობს, უნდა მოვიდეს ეროვნული მთავრობა!

სიტყვა „ეროვნული“ განსაკუთრებით შთამბეჭდავად ჟღერს **მამუკა ხაზარაძის** ბაგეთაგან!

**არავის ისე არ უხდება სიტყვა „ეროვნული“, როგორც საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის კომკავშირის**

## კვირგვინოსნები

### მამუკა ხაზარაძე
*„ლელოს“ ლიდერი, პარლამენტარი*



„ლელოს“ საპარლამენტო ფრაქცია პარლამენტში განსახილველად შეიტანს **„საქართველოს დაცვის აქტს“,** დროა, **მოვიდეს ეროვნული ხელისუფლება.**

„რეზონანსი“

### თაკო ჩარკვიანი
*ოპოზიციონერი პარლამენტარი*



**მე არ მომწონს და ერთი წამითაც არ მჯერა მამუკა ხაზარაძის,** არც იმას ვფიქრობ, რომ ის ოდესმე საქართველოს სათავეში უნდა მოვიდეს. **არამც და არამც!**

„ახალი თაობა“

### შალვა პაპუაშვილი
*პარლამენტის თავმჯდომარე*



თუკი ვინმე არის **რუსული სტილის პოლიტიკოსი საქართველოში,** ეს გახლავთ **„ლელოს“ ლიდერები — ხაზარაძეს** თავისი წარსულიდან გამომდინარე ვაშინგტონი მოსკოვში ერევა.

„ინტერპრესნიუსი“

### გიორგი გამსახურდია
*ზვიად გამსახურდიას შვილი*



მთავრობას, რომლის დამსახურებაა ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლა და კიდევ სხვა პროდასავლური სიკეთეები, **კამსამოლა, მევახშე, ხალხის მღლეტავი, მერაბ კოსტავაზე ხელის მომქნევი ხაზარაძე** საბჭოთა კავშირში დაბრუნებაში ადანაშაულებს.

„იმედინიუსი“

### სანდრო თვალჭრელიძე
*ექსპერტი*



სრულიად გაუგებარია **„ლელოს“** პოლიტიკა. **დადის ეს პარტია მოხეტიალე რაინდივით ხან მარჯვნივ, ხან — მარცხნივ...** თავისი ადგილი ვერ მონახა პოლიტიკაში... არ ვიცი, ეს გამოუცდელობით მოსდის, პოლიტიკური პრაგმატიზმის არქონით თუ იმით, რომ **ეს ძალა მხოლოდ მავანთა ბიზნესინტერესების დასაცავად შეიქმნა.** მოკლედ, ჩემთვის **„ლელო“** გაუგებარი წარმონაქმნია, **ნორმალური იდეოლოგიც არა ჰყავთ.**

„კვირის პალიტრა“

# მამუკა ხაზარაძემ „საქართველოს დაცვის აქტი“ მარტო პარლამენტში კი არ უნდა შეიტანოს განსახილველად, არამედ წიგნად გამოსცეს და „საბას“ პრემიაზე წარადგინოს!





სალომე სამადაშვილი, გრიგოლ გეგელია, ანა ნაცვლიშვილი

**მართლაც, იმაზე დიდი ბედნიერება რა უნდა ეღირსოს საქართველოს, ვიდრე მამუკა ხაზარაძის, ბადრი ჯაფარიძის, დავით უსუფაშვილის, სალომე სამადაშვილის, ანა ნაცვლიშვილის, გრიგოლ გეგელიას და, რაც მთავარია, საბაბუაძის ეროვნული მთავრობა?**




დავით უსუფაშვილი, საბაბუაძე

## ცხრა ლახვარი რომ დაგვარტყან ცხრაჯერ გულში, მაინც უნდა გავუშვათ პუტინის ჯიბის მთავრობა და მოვიყვანოთ მამუკა ხაზარაძის ეროვნული ხელისუფლება თავისი ცხრა პუნქტით, ცხრა პარტიამოვლილი დავით უსუფაშვილითა და, რაც მთავარია, საბაბუაძით!

### კომიტეტის ყოფილ მდივანს მამუკა ხაზარაძეს!

არავის პირიდან ისე ამაღელვებლად და დამაჯერებლად არ ამოდის სიტყვა „ეროვნული“, როგორც **1989 წლის 18 თებერვალს** ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიტინგის დარბევასა და საქართველოს ეროვნულ გმირზე — **მერაბ კოსტავაზე** ხელის აღმართვაში მხილებული **მამუკა ხაზარაძისაგან!**

შეუძლებელია, ვინმეს იმაზე მეტად ჰქონდეს გაცნობიერებული და გაძვალრბილებული, თუ რას ნიშნავს ეროვნულობა და როგორი უნდა იყოს ეროვნული მთავრობა, **ვიდრე აფხაზეთის ომისა და საქართველოს დაქცევის ფონზე შავი დედალივით გაკეთებულ მამუკა ხაზარაძეს!**

ბოლოს და ბოლოს, კაცს, რომელმაც **„სახალხო საინვესტიციო კორპორაციაში“** შენახული მოსახლეობის ანაბრები ეროვნულად მიითვისა და ისეთ დიდ ეროვნულ საქმეს მოახმარა, როგორიც **„თიბისი ბანკის“** დაარსებაა, მართლაც არ ესწავლება, რომ ეროვნულ მთავრობას არაფერი ჯობს!

**ჰოდა, უნდა მოვიდეს ეროვნული მთავრობა!**

რა ლაპარაკი უნდა, რომ **ეროვნულ მთავრობაში საკუთარ თავს და საკუთარ პარტია „ლელოს“ გულისხმობს მამუკა ხაზარაძე! ბადრი ჯაფარიძეს, გრიგოლ გეგელიას, დავით უსუფაშვილს, სალომე სამადაშვილს, ანა ნაცვლიშვილს** და, რაც მთავარია, **საბაბუაძეს** მოიაზრებს ეროვნულ ხელისუფლებად!

მართლაც, **იმაზე დიდი ბედნიერება რა უნდა ეღირსოს საქართველოს, ვიდრე მამუკა ხაზარაძის, ბადრი ჯაფარიძის, დავით უსუფაშვილის, სალომე სამადაშვილის, ანა ნაცვლიშვილის, გრიგოლ გეგელიას** და, რაც მთავარია, **საბაბუაძის** ეროვნული მთავრობა?

არა, ნაღდად მალე უნდა გადაშენდეს ეს **პუტინის ჯიბის მთავრობა** თავის **ღარიბაშვილიან-კალაძიან-გომელაურიან-დედიან-ბუდიანად** და რაც შეიძლება მალე უნდა მოვიდეს **ხაზარაძის, ჯაფარიძის, უსუფაშვილის, სამადაშვილის, ნაცვლიშვილის, გეგელიას** და, რაც მთავარია, **საბაბუაძის ეროვნული მთავრობა!**

მანამდე კი საქართველოს მომავალმა ეროვნულმა მთავრობამ — პარტია **„ლელომ“ „საქართველოს დაცვის აქტი“** უნდა მიაღებინოს ამ **პუტინის ჯიბის პარლამენტს!**

საქართველოს მომავალი ეროვნული მთავრობის მიერ შემუშავებული „საქართველოს დაცვის აქტი“, როგორც უკვე მოგახსენეთ, **9 პუნქტისაგან** შედგება და **9-ვე პუნქტი** იმას ეხება, რომ საქართველოში რუსეთის მოქალაქეების ფეხქვეშ მიწა უნდა იწვოდეს. კერძოდ, ეროვნული ლიდერის **მამუკა ხაზარაძის** მიერ შემუშავებული გეგმის თანახმად, **რუსეთის მოქალაქეებს საქართველოში სავიზო რეგულაციები უნდა დავუწესდეთ; რუსეთის მოქალაქეებს საქართველოში მიწის ყიდვა უნდა აეკრძალოთ; რუსეთის მოქალაქეებს საქართველოში პირდაპირი ავიარეისით ჩამოფრენაც უნდა აეკრძალოთ; რუსეთს მოქალაქეებს საქართველოში რუსულნომრიანი ავტომობილებით გადაადგილებაც უნდა აეკრძალოთ...** აეკრძალოთ ეს, აეკრძალოთ ის, აეკრძალოთ ყველაფერი...

საბოლოო ჯამში, **ხაზარაძის გეგმის მიხედვით,** საქართველო რუსეთის მოქალაქეებისათვის ნამდვილ ჯოჯოხეთად უნდა იქცეს და საქართველოში რუსეთის მოქალაქის ჭაჭანება აღარ უნდა იყოს!

**ეს ყოფილა საქართველოს დაცვის აქტი და ეს ყოფილა ეროვნული პოლიტიკა!**

**თუ** რუსეთიდან საქართველოში ტურისტი აღარ შემოვა, **თუ** რუსეთიდან შემოსული ტურისტების მიერ დახარჯული ფული ქართულ ეკონომიკაში აღარ დატრიალდება, **თუ** რუსეთში მცხოვრებ და რუსული პასპორტის მქონე მილიონამდე ქართველს საქართველოში პირდაპირი ავიარეისით ჩამოფრენისა და უვიზოდ შემოსვლის საშუალება აღარ ექნება, **თუ** საქართველოში მიწასა და ბინას რუსეთის მოქალაქეების მაგივრად ირანის, თურქეთის, საუდის არაბეთის, ერაყისა და ავღანეთის მოქალაქეებს მივყიდით, ამით საქართველოს დავიცავთ, გადავარჩენთ და გავაძლიერებთ!

**ამაზე უფრო გენიალური და ამაზე უფრო ეროვნული მამუკა ხაზარაძეს ჯერ არაფერი უთქვამს!**

**მამუკა ხაზარაძემ** თავისი შედევრი — **„საქართველოს დაცვის აქტი“** მარტო პარლამენტში კი არ უნდა შეიტანოს განსახილველად, არამედ წიგნად გამოსცეს და **„საბას“ პრემიაზე** წარადგინოს... **ლაშა ბუღაძე** რეცენზიას დაუწერს, **ლევან ბერძენიშვილი** საჯარო ლექციას მიუძღვნის და ეგ არის, მეტი არც არაფერია საჭირო იმისათვის, რომ მამუკა თავისივე დაფინანსებულ პრემიას დაეუფლოს!

ისე, სულ გვქონდა წინათგრძნობა, რომ ერთ დღესაც ხაზარაძის უბორნიაში **ლაშა ბუღაძის, რატი ამაღლობელისა და ზაზა ბურჭულაძის** ნაწარმოებებზე უფრო გენიალური რამ დაიწერებოდა და აჰა, ესეც ახდა — **მამუკა ხაზარაძემ თავის უბორნიაში საქართველოს დაცვის ცხრატომეული, უფრო სწორად, ცხრაპუნქტეული შექმნა!**

ცხრა ლახვარი რომ დაგვარტყან ცხრაჯერ გულში, მაინც უნდა გავუშვათ **პუტინის ჯიბის მთავრობა** და მოვიყვანოთ **მამუკა ხაზარაძის ეროვნული ხელისუფლება** თავისი **ცხრა** პუნქტით, **ცხრა** პარტიამოვლილი დავით უსუფაშვილითა და, რაც მთავარია, საბაბუაძით!

**საქართველოს უფლება არა აქვს, ეს უნიკალური შესაძლებლობა ხელიდან გაუშვას!**

**საქართველოვ, შენ ვინ მოგცა შანსი დასაკარგავი?!**

***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები

**ვახტანგ ძაბირაძე**
*ანალიტიკოსი*



ბახარიას ამბიცია, რომ **მარტო გადალახავს ბარიერს,** არარეალისტურია. აღარაფერს ვამბობ **„ლელოზე“,** რომელიც გულში მჯიღს იცემს — **ჩვენ ბარიერის გადალახვას კი არა, გამარჯვებას ვაპირებთო.**

„კვირის პალიტრა“

**გიორგი ჩაკვეტაძე**
*პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე*



ანეკდოტია, **მამუკა ხაზარაძემ** ერთ-ერთი ტელევიზიის პირდაპირ ეთერში თქვა, რომ მზად არის, სტუდენტებისთვის **სტაჟირება ანაზღაურებადი გახადოს** — საჯარო სამსახურში **სტაჟირება ანაზღაურებადი 2024 წლის 1 იანვრიდან ხდება.**

„იმედინიუსი“

**გია ცაგარეიშვილი**
*პარლამენტარი*



ფეხქვეშ მიწა გამოეცალათ იმის შემდეგ, რაც, **ფაქტობრივად, მივიღეთ კანდიდატის სტატუსი და 15 დეკემბერს ეს ყველაფერი დამტკიცდება ევროსაბჭოს მიერ.** საერთოდ, თემის გარეშე რჩებიან, ახალი მაცოცხლებელი ძალა სჭირდებათ და მიადგნენ ძველ თემას, **გააცოცხლეს და წინ წამოსწიეს ისევ ბარიერი.** ერთი, სამი, ექვსი თვის წინ **რატომ არავის ახსოვდა ბარიერი?**

„რეზონანსი“

**დავით ბერძენიშვილი**
*რესპუბლიკური პარტიის წევრი*



დღეს **პატარა პარტიების დიდი გაერთიანებაა** წამალი... მე შევთავაზებდი ასეთ გაერთიანებას, რომ სახელად დაირქვან **„პირველი ძალა“.** ვიყოთ ობიექტურები, **სალომეს შეწყალება მიშას ვერ გაათავისუფლებს!**

„ახალი თაობა“

# კოჭლამაზაშვილმა მოიკოჭლა!

***არიან ადამიანები, რომლებსაც შექება უხდებათ და არიან ადამიანები, რომლებსაც შექება სწყენთ; მაგალითად, ზოგი ისეთია, კარგ საქციელს რომ დაუფასებ და შეაქებ, ფრთები შეესხმება და კიდევ უფრო მონდომებული ხდება, კარგი საქმეები აკეთოს, ზოგი კი შექების კვალდაკვალ ისე აურევს, სინანულისგან იდაყვებს დაიკბენ — ენა რატომ არ გამიხმა, ამას რომ ვაქებდიო!***

აღმოჩნდა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე **ბადრი კოჭლამაზაშვილიც** ადამიანთა იმ კატეგორიას განეკუთვნება, რომელსაც შექება სწყენს!

ასე რომ არ იყოს, **მოსამართლე კოჭლამაზაშვილი** იმის საპირისპირო საქმეს არ იზამდა, რის გამოც სამიოდე კვირის წინათ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე შევაქეთ!

კერძოდ, **„ასავალ-დასავალის“ 2023 წლის 6-12 ნოემბრის 48-ე ნომერში გამოვაქვეყნეთ წერილი „სააკაშვილის გამორთვა“,** რომელშიც ვწერდით, რომ მოსამართლე **ბადრი კოჭლამაზაშვილმა** გაბედა ის, რაც აქამდე არცერთ ქართველ მოსამართლეს არ გაუბედავს — **სასამართლო პროცესზე სააკაშვილის დისტანციური ჩართვა შეწყვიტა, რადგან პატიმარი ნაცბელადი მხოლოდ პოლიტიკური განცხადებებით იქაფებდა პირს და არაფერს ამბობდა განსახილველ სისხლის სამართლის საქმეზე,** რომელიც მის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტიდან 9 მილიონი ლარის გაფლანგვას ეხება.

**მოსამართლე კოჭლამაზაშვილმა** საკუთარი გადაწყვეტილება — გამოერთო დისტანციური ჩართვის აპარატურა და სააკაშვილისათვის სასამართლო პროცესში მონაწილეობის უფლება აღარ მიეცა, **იმით დაასაბუთა, რომ ბრალდებული სხდომაზე პოლიტიკურ მიმომხილველად კი არ არის მოწვეული, არამედ ვალდებულია, მისთვის წაყენებული ბრალდების გარშემო ისაუბროს!**

ცხადია, **კოჭლამაზაშვილს** განსაკუთრებული და გასაოცარი არაფერი გაუკეთებია, მხოლოდ მოსამართლის ვალდებულება აღასრულა და კანონი დაიცვა, მაგრამ მაინც შევაქეთ, **რადგან სხვა მოსამართლეები, რომლებიც სააკაშვილის სხვადასხვა საქმეს განიხილავენ, ამდენსაც ვერ ბედავენ და ნაცბელადს სასამართლო პროცესზე არათუ პოლიტიკური განცხადებების ფრქვევას არ უკრძალავენ, მისგან შეურაცხყოფასა და დამცირებასაც კი უსიტყვოდ იტანენ.**

ამდენად, მოსამართლეს, რომელმაც სასამართლო პროცესზე პოლიტიკური დემაგოგიით დაკავებულ სააკაშვილს ხმა ჩააკმენდინა და დისტანციური ჩართვა გაუთიშა, საქციელი მოვუწონეთ და ვივარაუდეთ, რომ **ბადრი კოჭლამაზაშვილმა,** მისი ბევრი კოლეგისაგან განსხვავებით, წლების შემდეგ მაინც შეძლო საკუთარ თავში სააკაშვილ-ადეიშვილის უბოროტესი რეჟიმის დამარცხება!

იქვე ისიც აღვნიშნეთ, რომ **მოსამართლე კოჭლამაზაშვილის** მიერ ნაცბელადის გამორთვას პრეცედენტის ძალა უნდა ჰქონოდა და სისხლის სამართლის დამნაშავე სააკაშვილს ქართული სასამართლო პოლიტიკური დემაგოგიის ტრიბუნად ველარ უნდა გამოეყენებინა!


სააკაშვილის გამორთვა

მოსამართლე კოჭლამაზაშვილმა გაბედა ის, რაც აქამდე არცერთ ქართველ მოსამართლეს არ გაუბედავს!

როგორც ჩანს, მოსამართლე ბადრი კოჭლამაზაშვილმა, მოსამართლე ნინო ჩახნაშვილისა და მოსამართლე ლიანა ორკოდაშვილისაგან განსხვავებით, წლების შემდეგ მაინც შეძლო, საკუთარ თავში სააკაშვილ-ადეიშვილის რეჟიმი დაემარცხებინა!

იმედი გვაქვს, მოსამართლე კოჭლამაზაშვილის საქციელი მაგალითი იქნება მოსამართლე ჩახნაშვილის, მოსამართლე ორკოდაშვილისა და მათი სხვა კოლეგებისთვისაც, რომლებიც სააკაშვილის წინაშე კვლავ შიშით ძრწიან!

მოსამართლე ბადრი კოჭლამაზაშვ...

მოსამართლე კოჭლამაზაშვილის მიერ სააკაშვილის გამორთვას პრეცედენტის ძალა უნდა ჰქონდეს! ქართული სასამართლო აღარ უნდა იყოს პოლიტიკური დემაგოგიის ასპარეზი სისხლის სამართლის დამნაშავე სააკაშვილისათვის!

ჟაბა ხუბუა

„ასავალ-დასავალი“. 2023 წლის №48

## მოსამართლემ სააკაშვილი აღარ გამორთო!

თუმცა, კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო!

**მოსამართლე კოჭლამაზაშვილის სწორი და პრინციპული საქციელი სხვა მოსამართლეებისათვის კი არა, თავად მოსამართლე კოჭლამაზაშვილისთვისაც არ აღმოჩნდა სამაგალითო და მან მომდევნო სასამართლო პროცესზე სააკაშვილის პოლიტიკურ გაჭეჭყილებას ხელი აღარ შეუშალა!**

დიახ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან **9 მილიონი ლარის გაფლანგვის საქმეზე** მორიგ სასამართლო სხდომას, რომელიც 2023 წლის 20 ნოემბერს გაიმართა, **პატიმარი სააკაშვილი** კლინიკა „ვივამედის“ ლუქსპალატიდან კვლავ დისტანციურად ჩაერთო და ისევ ისე მოიქცა, როგორც მანამდე იქცეოდა — სასამართლოსა და კანონის სრული უპატივცემულობა და უგულებელყოფა, არცერთი სიტყვა წარდგენილი ბრალდების შესახებ და მხოლოდ პოლიტიკური განცხადებები!

**წინა პრეცედენტის გათვალისწინებით, ცხადია, მოლოდინი გვქონდა, რომ მოსამართლე კოჭლამაზაშვილი თავის მოვალეობას ისევ პატიოსნად შეასრულებდა, ისევ დაიცავდა კანონს და ისევ გამორთავდა სააკაშვილს, მაგრამ ჰოი, საკვირველებავ** — მოსამართლე კოჭლამაზაშვილმა თავისი მოვალეობა აღარ შეასრულა, კანონი აღარ დაიცვა და სააკაშვილს კარტბლანში მისცა, სასამართლო პროცესი პოლიტიკურ თოქ-შოუდ გადაექცია!

**კი მაგრამ, სად გაქრა მოსამართლე კოჭლამაზაშვილის სამი კვირის წინანდელი პრინციპულობა და პროფესიული კეთილსინდისიერება?**

**მოსამართლე კოჭლამაზაშვილი,** რომელმაც სამი კვირას წინათ გაბედა ის, რაც მანამდე სააკაშვილის საქმეების არცერთ მოსამართლეს არ გაუბედავს, **ახლა რატომ დამუნჯდა და მოიკუნტა ნაცბელადის წინაშე?**

თუ სააკაშვილი წინა სასამართლო პროცესზე არ იყო მიწვეული პოლიტიკურ მიმომხილველად, როგორც ეს **მოსამართლე კოჭლამაზაშვილმა** ბრძანა, **მაშინ მომდევნო სასამართლო სხდომაზე ვინ და რატომ მიიწვია პოლიტიკურ მიმომხილველად?**

ამ ეტაპზე მძაფრ შეფასებებს მოვერიდებით და მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ **კოჭლამაზაშვილმა მოიკოჭლა!**

**კოჭლამაზაშვილმა მოიკოჭლა** პრინციპულობაში!

**კოჭლამაზაშვილმა მოიკოჭლა** პროფესიონალიზმში!

**კოჭლამაზაშვილმა მოიკოჭლა** მოსამართლის მოვალეობის პირნათლად და ღირსეულად შესრულებაში!

**კოჭლამაზაშვილს ქებამ აწყინა!**

და მაინც, მიზეზი ხომ უნდა ვეძებოთ?

ხომ უნდა ვიკითხოთ, ერთი და იგივე მოსამართლე ერთი და იგივე ბრალდებულის ერთსა და იმავე ქმედებაზე სხვადასხვანაირად რატომ რეაგირებს?

**რამდენიც არ უნდა ვჩხრიკოთ და ვქექოთ, ლოგიკას მაინც ერთ ვარაუდამდე მივყავართ** — როგორც ჩანს, სასამართლო პროცესიდან სააკაშვილის გამორთვის შემდეგ **მოსამართლე კოჭლამაზაშვილს** ყური აუწიეს და მკაცრად გააფრთხილეს, მსგავსი რამ მეორედ აღარ გაეკეთებინა!

**ორი ვარიანტია:** მოსამართლე კოჭლამაზაშვილი, რომელიც ადეიშვილის „ჯიბის სასამართლოს“ ერთ-ერთი გადმონაშთია, ნაციონალურმა მოძრაობამ კომპრომატებით დააშანტაჟა ან ნაცბელადის სასამართლო პროცესიდან გამორთვა სულაც „ქართულმა ოცნებამ“ აუკრძალა, რადგან **ხელისუფლებას აწყობს, სააკაშვილმა რაც შეიძლება ბევრი სისულელე ილაპარაკოს!**

ასეა თუ ისე, სასამართლო მართლმსაჯულების ადგილი უნდა იყოს და არა პოლიტიკურ ინტერესთა ჭიდილის ასპარეზი!

**საქართველოს არ სჭირდება მოსამართლეები,** რომლებიც ან ოპოზიციის შანტაჟს დაემორჩილებიან ან — ხელისუფლების დირექტივას!

**საქართველოს არ სჭირდება კოჭლი სასამართლო და კოლექტიური კოჭლამაზაშვილები,** რომლებიც სამართლიანობაში, კანონის უზენაესობაში, პატიოსნებასა და ღირსებაში მოიკოჭლებენ!

**მოსამართლე კოჭლამაზაშვილი ან ნაციონალურმა მოძრაობამ დააშანტაჟა ან ნაცბელადის სასამართლო პროცესიდან გამორთვა „ქართულმა ოცნებამ“ აუკრძალა, რადგან ხელისუფლებას აწყობს, სააკაშვილმა რაც შეიძლება მეტი სისულელე ილაპარაკოს!**

***ჟაბა ხუბუა***

# ძაღლიან სამწუხაროა!

***2023 წლის 21 ნოემბერს სალომე ზურაბიშვილის მიერ „ფეისბუქში“ გამოქვეყნებული პოსტიდან შევიტყვეთ, რომ მას თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირისა და „მზიურის“ პარკის მიდამოებში, ძაღლი „გომბორა“ დაუკარგავს.***

## სალომე ზურაბიშვილმა დაკარგული ძაღლი მალევე დაიბრუნა, მაგრამ ვერასოდეს დაიბრუნებს ქართველი ხალხის ნდობასა და მხარდაჭერას, რომელიც ძაღლის დაკარგვამდე დაკარგა!




Salome Zourabichvili
3 h ·
ვ ი პ ო ვ ე თ!!!!!
მადლობა ყველას!

დაგვეკარგა გომბორა მზიური/ჭავჭავაძის მიდამოებში . ნაცრისფერი ყელსაბამი უკეთია
შეგვეხმიანეთ თუ ნახავთ
ტელ 599046707

**პრეზიდენტმა ზურაბიშვილმა** სოციალურ ქსელში დაწერა — **„გომბორას“ ნაცრისფერი ყელსაბამი უკეთიაო და იქვე საკონტაქტო ტელეფონის ნომერიც მიუთითა — თუ სადმე ნახავთ, შეგვეხმიანეთო!**

იმავე დღეს, რამდენიმე საათის შემდეგ, კვლავ **ზურაბიშვილის** ფეისბუქ-პოსტით გახდა ცნობილი, რომ **პრეზიდენტმა დაკარგული ოთხფეხა მეგობარი იპოვა, რაც ძალიან კარგია და რაკი საქმე კონკრეტულად დაკარგული ძაღლის პოვნას ეხება, შეიძლება ასეც ვთქვათ, რომ** ძაღლიან **კარგია!**

თუმცა, ძაღლიან ცუდი და ძაღლიან სამწუხაროა ის ამბავი, რომ სანამ **ძაღლს** დაკარგავდა, **სალომე ზურაბიშვილმა ბევრი სხვა რამ დაკარგა ისეთი, რასაც ვეღარასოდეს იპოვის და დაიბრუნებს!**

დიახ, სალომე ზურაბიშვილმა **დაკარგული ძაღლი** მალევე დაიბრუნა, მაგრამ ვერასოდეს დაიბრუნებს ქართველი ხალხის დიდი ნაწილის ნდობასა და მხარდაჭერას, რომელიც ჯერ კიდევ **ძაღლის დაკარგვამდე** დაკარგა.

კი, მართლაც ძაღლიან სასიამოვნოა **დაკარგული ძაღლის** პოვნა, მაგრამ ძაღლიან სამწუხაროა, როცა სალომე ზურაბიშვილი **ძაღლუმადურად** ექცევა იმ ხალხს, ვისი დიდი ბრძოლითა და ჭაპანწყვეტითაც საქართველოს პრეზიდენტობას ეღირსა.

პატრონს რომ ღრენასა და კბენას დაუწყებს, სწორედ ისეთი **უვარგისი ძაღლის** საქციელსა თუ უსაქციელობას ჰგავს **ძაღლდაკარგული** და **ძაღლნაპოვნი სალომე ზურაბიშვილის** ბოლოდროინდელი საქმიანობა, რომელიც არამხოლოდ ქართველ ხალხს სტკენს გულს, არამედ ქართულ სახელმწიფოს აზიანებს და საფრთხის ქვეშ აყენებს.

მაგალითად, ფრანგული მედიისათვის მიცემულ ინტერვიუში **სალომე ზურაბიშვილის** განცხადებამ — **რუსეთის პრეზიდენტთან ერთად ჩინეთის პრეზიდენტიც უნდა გასამართლდესო,** დიდ უხერხულობასა და სირცხვილში ჩააგდო ქართული სახელმწიფო, რომელსაც გეოპოლიტიკურ და ეკონომიკურ გიგანტთან — **ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან** სტრატეგიული პარტნიორობის ხელშეკრულება აქვს გაფორმებული.

აღარაფერს ვამბობთ **სალომე ზურაბიშვილის** ევროპულ ვოიაჟებზე, რომლებსაც იგი საქართველოს კონსტიტუციის ცინიკური დარღვევით მართავდა და რომელთა ერთადერთი მიზანიც საქართველოსათვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის დაბლოკვა იყო.

აბა, წარმოიდგინეთ, **პრეზიდენტი ზურაბიშვილი,** რომელიც ფრანგული ტელეარხის ეთერში თანხმობის მანიშნებელი დუმილით შეხვდა ჟურნალისტის ტუტუცურ რეპლიკას — **საქართველოს პრორუსი პრემიერ-მინისტრი ჰყავსო**, ევროპელ ლიდერებთან დახურულ კარს მიღმა რაებს ილაპარაკებდა საქართველოს მთავრობისა და პრემიერ-მინისტრის შესახებ? ან იგივე **ზურაბიშვილი,** რომელმაც ფრანგულ გაზეთთან ინტერვიუში განაცხადა — **ბიძინა ივანიშვილი საქართველოში ერთადერთი ოლიგარქია და თანაც, პრორუსი ოლიგარქიო,** ევროპელ ლიდერებს პრივატულ საუბრებში რა შხამსა და სამსალას ჩააწვეთებდა ივანიშვილის შესახებ?

ჰოდა, თავად განსაჯეთ, **პრეზიდენტი, რომელიც საკუთარი ქვეყნის მმართველ პოლიტიკურ ძალასა და მთავრობას რუსეთის მოკავშირედ აცხადებს, საქართველოსათვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭებაზე ზრუნავს თუ იმაზე, რომ ევროკავშირმა კანდიდატის სტატუსი არ მიანიჭოს საქართველოს, რომელსაც, მისივე პრეზიდენტის მტკიცებით, რუსული ხელისუფლება მართავს?**

დიახაც, სწორედ საქართველოსათვის კანდიდატის სტატუსის არმიცემას ემსახურებოდა **ძაღლ**დაკარგული და **ძაღლ**ნაპოვნი სალომე ზურაბიშვილის ევროპაში წანწალი, რაც **ძაღლიან** ჰგავს ქართულ ანდაზაში გადმოცემულ სიბრძნეს — **ძაღლი** შინ არ ვარგოდა, გარე-გარე დარბოდაო!

მართლაც ძაღლიან სამწუხაროა, რომ დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველმა ქალმა პრეზიდენტმა ასეთი პოლიტიკური სულ**ძაღლიანობა** გამოიჩინა და ასე ჩაუდგა კრიჭაში საკუთარ ამომრჩეველსა და ქვეყანას!

**ძაღლებმა** დიდი ერთგულება იციან და **ძაღლებს** არ უყვართ ორგული პატრონები!

ამ მხრივ

**იქნებ ნიშანდობლივიც არის, რომ სალომე ზურაბიშვილმა ერთგული ოთხფეხა მეგობარი მას შემდეგ დაკარგა, რაც ქართველ ხალხს უორგულა და იმ პოლიტიკურ ძაღლთაპირებს დაუმეგობრდა,**

რომლებიც არამხოლოდ საქართველოს მტრები არიან, არამედ გუშინ მისი პირადი პოლიტიკური მტრებიც იყვნენ!

იქნებ პატრონის პოლიტიკური ცხოვრების წესმა **ძაღლ „გომბორას“** აგრძნობინა, რომ იგი მის ერთგულებას არ იმსახურებს!

იქნებ სწორედ ამიტომ დაიკარგა „გომბორა“, რომელიც, კაცმა არ იცის, ბედნიერია თუ არა იმით, რომ იპოვეს და პატრონს დაუბრუნეს!

ყოველ შემთხვევაში, **სალომე ზურაბიშვილის დაკარგული ძაღლი** ორბელიანების სასახლეში თავისი ფეხით არ დაბრუნებულა! ასე რომ ყოფილიყო, ზურაბიშვილი დაწერდა — „გომბორა“ დაბრუნდაო, მან კი დაწერა — **ვიპოვეთო,** რაც იმას ნიშნავს, რომ **დაკარგულ ძაღლს** ვიღაც გადააწყდა და პატრონს მიჰგვარა!

ასეა თუ ისე, ერთი რამ ცხადზე უცხადესია — **ვისაც საკუთარი ხალხისა და ქვეყნის ერთგულება არ შეუძლია, ის ვერც საკუთარი ძაღლის ერთგული იქნება!**

ძაღლიან სამწუხაროა, რომ საქართველოს ჰყავს პრეზიდენტი, რომელსაც საკუთარი ხალხისა და ქვეყნის ერთგულება არ შეუძლია!



## ბოლოთქმა

2023 წლის 18 ნოემბერს, 3 დღით ადრე, სანამ საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი** თავის **ძაღლს — „გომბორას“** დაკარგავდა,

მოლდოვის პრეზიდენტის **მაია სანდუს ძაღლმა — „კოდრუტმა“** ავსტრიის პრეზიდენტ **ალექსანდერ ვან დერ ბელენს** ხელზე უკბინა,

ხოლო **ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯო ბაიდენის ძაღლს — „კომანდერს“** თეთრ სახლში, პატრონის ჩათვლით, ათამდე ადამიანი ჰყავს დაკბენილი!

როგორც ჩანს, **სალომე ზურაბიშვილის „გომბორა“ პრეზიდენტების ძაღლებს შორის ერთ-ერთი იშვიათი გამონაკლისია, რომელიც საკუთარ პატრონს არ კბენს, თუმცა, თავად „გომბორას“ პატრონი გამოირჩევა კბენაღრენით საკუთარი ქვეყნისა და ხალხის მიმართ, რაც, კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, ძაღლიან სამწუხაროა!**

***ჯაბა ხუბუა***

## ვისაც საკუთარი ხალხისა და ქვეყნის ერთგულება არ შეუძლია, ის ვერც საკუთარი ძაღლის ერთგული იქნება!

*— გამორიცხულია, საქართველო ოდესმე ევროკავშირის წევრი გახდეს და წინაპირობათა დათქმაც ფარსია! თუმცა, საქართველოს ტერიტორია მათ ნამდვილად სჭირდებათ, ქართველი ხალხისა და ეროვნული ეკონომიკის გარეშე! —* ***ამ სიტყვებით დაიწყო ჩვენთან საუბარი ისლამის კვლევის კავკასიური ცენტრის დირექტორმა, რუსეთის ფედერაციის მთავრობასთან არსებული საფინანსო უნივერსიტეტის ექსპერტმა, მოსკოველმა პოლიტოლოგმა შოთა აფხაიძემ:***







## შოთა აფხაიძე:

# ევროკავშირს ახლა ყველაზე ნაკლებად სჭირდება ისეთი ქვეყნების სარჩენად აკიდება, როგორებიც არიან მოლდოვა, საქართველო და ომით მიწასთან გასწორებული უკრაინა!

— ბალტიისპირეთის პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებისა და აღმოსავლეთ ევროპის იმ ქვეყნებისგან განსხვავებით, რომლებიც ევროკავშირში თავის დროზე ყოველგვარი წინაპირობის გარეშე გაერთიანდნენ, საქართველო ევროკავშირში ვერასოდეს მოხვდება, რადგან სულ სხვა გეოპოლიტიკური ადგილი უკავია მსოფლიო რუკაზე და არ ემეზობლება ევროკავშირის წევრი არცერთი ქვეყანა. გავითვალისწინოთ ისიც, რომ **ევროპის შუაგულში მდებარეობენ ქვეყნები, რომლებიც უკვე 2 ათეულ წელზე მეტია, ატარებენ კანდიდატის სტატუსს და აქამდე ამაოდ ელიან კავშირში გაწევრებას!** თუნდაც, თურქეთი, რომელსაც მძლავრი სახელმწიფო სტრუქტურები და მყარი ეკონომიკა გააჩნია, 30 წელია, კანდიდატია და არა და არ დაადგა საშველი ევროკავშირში მის მიღებას!

**— რატომ არ ღებულობენ ამ ქვეყნებს?**

— ევროკავშირში გაწევრების ან კანდიდატის სტატუსის შეთავაზების მიღმა არსებობს გარკვეული პოლიტიკური მოტივაციები. საქართველოსთან მიმართებაში ასეთი სტატუსი მითუფრო სპეკულაციური შეფერილობისა გახლავთ. **ევროკავშირი დაინტერესებულია, საქართველო მუდმივად იყოს ევროკავშირსა და ასევე ნატოში გაწევრების მოლოდინში და ასრულებდეს მათ დირექტივებს!** ეს ალიანსები მოწოდებული არიან, სხვადასხვა მიზნით, განსაკუთრებით კი, რუსეთის ფედერაციასთან და ირანთან დასაპირისპირებლად გამოიყენონ საქართველოს ტერიტორია. ევროკავშირი ამგვარადვე რუსეთის წინააღმდეგ სანქციების მისაღებად იყენებს, მაგალითად ჩერნოგორიას (მონტენეგროს). ფაქტობრივად, გაწევრების მომლოდინე ქვეყნებს ვასალის მდგომარეობაში ამყოფებენ, წევრობის არანაირ გარანტიას არ აძლევენ.

**— მაშ, რისთვის გვჭირდება ეს ეფემერული კანდიდატის სტატუსი?!**

— პოლიტიკური თვალსაზრისით, ევროკავშირი რუსეთთან დაპირისპირების ბანაკია და ჩამოკიდებულია სულ რამდენიმე მწარმოებელი ქვეყნის (გერმანია, იტალია, ესპანეთი, საფრანგეთი) ეკონომიკაზე. მერწმუნეთ, ევროკავშირს ახლა ყველაზე ნაკლებად სჭირდება ისეთი ქვეყნების სარჩენად აკიდება, როგორებიც არიან მოლდოვა, საქართველო და ომით მიწასთან გასწორებული უკრაინა.

**ევროკავშირში ბოლომდე იგნორირებულია ნაციონალური, სუვერენული სახელმწიფოს ინტერესები; სუვერენიტეტი, ფაქტობრივად, აღარ არსებობს!** უფრო მეტიც, ევროკავშირი არასოდეს იზრუნებს საქართველოს ეკონომიკაზე! ამას ვაცხადებ ამჟამინდელი წევრი ქვეყნების მდგომარეობის გათვალისწინებით. მაგალითად, **პოლონეთს, რომელიც ერთნაირსქესიანთა ქორწინების წინააღმდეგ და ლგბტ თემის უფლებებთან დაკავშირებით ეროვნული პოლიტიკის გატარებას ცდილობდა — შეუზღუდეს დაფინანსება. პრობლემების კასკადი შეუქმნეს უნგრეთსაც.**

საქართველოში საზოგადოების ერთი ნაწილი ხბოს აღტაცებით შეეგება ევროკომისიის რეკომენდაციებს, მაგრამ მათი ოვაციები ბრმა და გაუცნობიერებელია. სასიხარულო კი არაფერი გვაქვს.

**თუ სასწაული მოხდება და ოდესმე საქართველო ევროკავშირის წევრი გახდება, ქართული ეკონომიკის აქამდე სასწაულებრივად შემორჩენილ ნაშთებსაც კი სრული გაქრობა ემუქრება!**

**— რანაირად?**

— ევროკავშირს გააჩნია საკუთარი კონსტიტუცია, რომელშიც ჩაქსოვილია ეკონომიკის განვითარების თვალსაზრისით კონკრეტული შიდა რეგულაციები, ეკონომიკური კვოტები. ევროკავშირის წევრი თითოეული ქვეყანა ვალდებულია, უსიტყვოდ დაემორჩილოს ამ რეგულაციებს და შეუსაბამოს საკუთარი კანონები. მაგალითად, **ევროკავშირში შესვლამდე ბულგარეთი და რუმინეთი დიდი რაოდენობით სოფლის მეურნეობის პროდუქციას აწარმოებდნენ, ამჟამად კი ნაციონალური წარმოება თითქმის აღარ არსებობს.** ლატვიაც ევროკავშირში გაწევრებამდე რძის წარმოების მხრივ მოწინავე ქვეყანა გახლდათ. კავშირში შესვლის შემდეგ კი დაუწესდა კვოტები, რის შედეგადაც სოფლის მეურნეობა, ფაქტობრივად, ჩაკვდა. იგივე მოხდა ესტონეთსა და ლიტვაშიც!

ცალკე საკითხია, რომ ამ ეტაპზე საქართველოს ეკონომიკა, წარმოების სხვადასხვა დარგი, ევროკავშირის სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს. ავიღოთ თუნდაც ტურიზმის სფერო —

**ევროკავშირის წევრობის შემთხვევაში ჩვენ მოგვიწევს მათი რეგულაციების შესაბამისობის დამადასტურებელი, მრავალათასიანი ლიცენზიების მოპოვება თუნდაც მხოლოდ ჯიხურის გასახსნელად, რომელშიც ტურისტული სუვენირები უნდა გაიყიდოს!**

მრავალი დარგი, უბრალოდ, ჩაკვდება, რადგან ლიცენზიას ვერ ეღირსება. მეორე საკითხი განვიხილოთ საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული დარგის — მეღვინეობის მაგალითზე: რომელიმე ქართულმა ღვინომ თუნდაც სერტიფიკატი რომ მოიპოვოს, ევროპული ბაზარი იმდენად გაჯერებულია იტალიური და ფრანგული ღვინოებით, რომ ქართულ ღვინოს სერიოზულად გაუჭირდება ადგილის დამკვიდრება. ამის პარალელურად, ევროკავშირის რეგულაციები არ მოგვცემს იმაზე მეტი ღვინის წარმოების უფლებას, რაც მათ სჭირდებათ, რის შედეგადაც საქართველოში ღვინის წარმოება მინიმუმამდე შემცირდება.

**— მერე და, რა ბედი ეწევა ქართველ მევენახეს?**

— როგორც ჩანს, ასეთი „ევროპული ღირებულებების შესახებ“ მიგვანიშნა **ნიკა გვარამიამ,** რომელმაც კახელ მევენახეებს უწმაწურად მიაძახა — „ჩაგი...სით *(ცენზურა ჩვენია.* ***რედ.****)* ღვინოშიო!“ მან იცის, რომ ევროკავშირში ქართული ღვინო არ სჭირდებათ! ეს თავის დროზე კარგად იცოდა **შაქაბასმაც,** რომელმაც იმ მიზნით, რომ კახეთის ეკონომიკა წელში გაეტეხა, ადგილობრივ მოსახლეობას რამდენჯერმე აუჩეხა ზვრები! მეკითხებით — ევროკავშირში გაწევრების შემთხვევაში მევენახეს რა ბედი ეწევა? გპასუხობთ — თავის საქმეს ჩამოსცილდება და იძულებული გახდება, ან აქ ჩამოთესლილი უცხოტომელის მომსახურე პერსონალად გადაიქცეს, ან მშობლიური კერა მიატოვოს და ოჯახის გამოკვების მიზნით უცხოეთში ეძებოს სამუშაო. შედეგი? **საქართველოდან გადასახლებული ქართველების ნაცვლად აქ დასახლდებიან ირანელები, არაბები, ინდოელები, ჩინელები და სხვა უცხოტომელები, რომელთათვისაც ქართული მიწა არ იქნება თავგანწირვის საფუძველი! ამის შედეგად რამდენიმე ათეული წლის შემდეგ ჩვენი ქვეყანა პოლიტიკური და გეოგრაფიული რუკებიდან სამუდამოდ წაიშლება, როგორც სახელმწიფო!** მერე, ქართულ-ხალხურ ლექსში გაჟღერებულ მთავარ კითხვასაც ველარავინ დასვამს: **„მოდი, ვნახოთ ვენახი, რამ შეჭამა ვენახი?!“**

**— როგორც ვხვდები, მარტო ვენახზე არ გაქვთ აქცენტი. სხვა დარგებსაც იგივე ელით?**

— რა თქმა უნდა! რუსეთში პროდუქტის გატანა აგვიკრძალეს, ხოლო ევროკავშირში არავის დასჭირდება ქართული წარმოების თაფლი ან ციტრუსი! იქ ბაზარი უკვე გაჯერებულია. გაიხსენეთ ელდარ შენგელაიას უკვდავი ფილმიდან ეპიზოდი: — ვის რად უნდა შენი ვაშლი ბაღდადში, თავისი ვაშლიც ბევრი აქვთო, — მისძახის ტრიფონი ფეხმსუბუქ ცოლს, რომელიც შერეკილ თანამგზავრებთან ერთად უცხოეთში აპირებს გაფრენას... **ელემენტარულად, ქართველი გლეხი საკუთარ ბოსტანში მოყვანილ კიტრსა და პომიდორს ველარ გაიტანს გასაყიდად, თუ რეგულაციები არ იქნება დაცული,** ხოლო პროდუქტი უცხოეთიდან ათმაგ ფასად შემოვა!

მოკლედ, გლეხი ბოლომდე გაკოტრდება და საკუთარ ქვეყანაში მონად, ტუალეტის მხეხავ იაფ მუშახელად ან სექსტურიზმის მომსახურე პერსონალად გადაიქცევა.

**— სად არის ამ სავალალო პერსპექტივის შემაკავებელი ფაქტორი?**

— რუსეთში! **გვინდა ეს ჩვენ თუ არ გვინდა, რუსეთი გახლავთ თითქმის ერთადერთი ბაზარი მთელ მსოფლიოში, სადაც სოფლის მეურნეობის ქართულ პროდუქციას რეკლამაც არ სჭირდება.** რუსეთი გახლავთ ევროკავშირისა და ნატოს საპირწონე ის მეორე პოლუსი, რომელიც მის ორბიტაზე ყოფნის სანაცვლოდ ჩვენგან არ მოითხოვს ეროვნული იდენტობის, ტრადიციების, სარწმუნოებისა და სექსუალური ორიენტაციის შეცვლას! **რუსეთი გახლავთ საქართველოს წინაშე არსებული ისლამური საფრთხის შემაკავებელი ერთადერთი ქვეყანა!** რუსეთისა და საქართველოს ინტერესები თითქმის თავიდან ბოლომდე ემთხვევა ერთმანეთს და მისი დახმარებით შეიძლება, ეროვნული განადგურებისგან ვიხსნათ თავი!

*ესაუბრა*
***ზაზა დავითაია***

## კვირგვინოსნები

**ვლადიმერ ბოჟაძე**
*თბილისის საკრებულოს წევრი*



ქართველმა ხალხმა ყველაზე მძიმედ გადაიტანა **2003-2012 წლები,** სწორედ ამიტომ გაუშვა ისინი **პოლიტიკურ მოუსვლელში** და არასდროს დააბრუნებს ხელისუფლებაში.

„იმედინიუსი“

**ირაკლი ლეჟავა**
*ექსპერტი*



**2003-დან 2012-მდე** საქართველო ნამდვილად იყო პირველ ადგილზე ქვეყნის **ღალატით ჩადენილი დანაშაულების რაოდენობით** — კიდევ რამდენ რამეში იყვნენ პირველები და ამას ზეიმობენ?

„იმედინიუსი“

**დაჩი ბერაია**
*„ხალხის ძალის“ წევრი, პარლამენტარი*



პატიმარი **სააკაშვილი დაუბრუნდეს იმ ადგილს,** სადაც ის კანონით უნდა იყოს — **პენიტენციურ დაწესებულებას ვგულისხმობ.**

„იმედინიუსი“

**ბექა ოდიშარია**
*დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე*



**7 ნოემბერი** დააბრალო **ბადრი პატარკაციშვილს,** მორიგი უსინდისობაა, მაგრამ **სააკაშვილისგან** ეს არ მიკვირს.

„რეზონანსი“

**კონსტანტინე ჯანდიერი**
*მწერალი*



**არჩევნები საქართველოში არ უნდა გაყალბდეს,** ვინაიდან მმართველ ძალას ეს არ სჭირდება. მას ისედაც **მნიშვნელოვანი უპირატესობა** აქვს.

„კვირის პალიტრა“

**ვახტანგ მეგრელიშვილი**
*„გირჩის“ წევრი, პარლამენტარი*



პარლამენტში **ჩვეულებრივი საგიჟეთია.** ბავშვები რომ მოჰყავთ, **ზოოპარკში ჰგონიათ თავი.** როგორ შეიძლება იქ ბავშვების ტარება. **ჩვეულებრივი ზოოპარკია.** ძაღლი პატრონს ვერ ცნობს. „კვირის პალიტრა“

№65 (233) ★ 2023 წლის 27 ნოემბერი ★ გამოდის 2003 წლიდან

სტრატეგმა, არამედ მან თავი გამოიჩინა, როგორც უდიდესმა დიპლომატმა, რომელსაც ჰქონდა კომუნიკაციის შესანიშნავი უნარი, ადამიანებზე ზემოქმედებისა და მოთმინების არნახული ძალა. გასაოცარია, **მართლაცდა რას უძლებდა 64 წლის კაცი მაშინ, როცა 19 წლის სერგო ბერიას ჩერჩილისა და რუზველტის ფარული მიყურადებისგან არაქათი ჰქონდა გამოცლილი.**

**თეირანის კონფერენციაზე** ყველაზე მთავარი მოხდა — შეთანხმდნენ, რომ, ბოლოს და ბოლოს, **მეორე ფრონტი** ევროპაში 1944 წლის მაისში გაიხსნებოდა!

მეორე ფრონტი გაიხსნა და ოპერაცია „ოვერლორდი“ დაიწყო დაგვიანებით, 1944 წლის 6 ივნისს, რომელმაც ფაშიზმის დასამარება დააჩქარა!

**დღეს იმ ამბიდან 80 წლის შემდეგ, ევროპა და ამერიკა პატარა საქართველოს რუსეთის წინააღმდეგ სთხოვენ მეორე ფრონტის გახსნას, რაც ერთხელ და სამუდამოდ დაგვასამარებს!**

ამ უბედურებაში გარევას ბელადი ქართველებს არ გვირჩევდა!

**სტალინმა** მაშინ თეირანში კაცობრიობის ბედი გადაწყვიტა!

**სამწუხაროდ, თანამედროვე კაცობრიობის ბედი გაურკვეველია, რადგან მსოფლიოს სტალინი აღარ ჰყავს!**

# ხვალ, 28 ნოემბერს, 80 წლის წინათ, თეირანში კაცობრიობის ბედი გადაწყდება!



## სხვისი ხელების შემყურე, რომლის პოლიტიკური კარიერაც განწირულია!

**სწორედ თეირანის კონფერენციის შემდეგ დაიწყო მსოფლიო პრესამ და, უპირველესად, ამერიკულმა და ბრიტანულმა გაზეთებმა სტალინისთვის ხოტბის შესხმა, თორემ მანამდე ბელადს ისე უყურებდნენ, როგორც მონსტრს.**

თეირანი ერთადერთი კონფერენციაა, სადაც დადასტურებულად შეიძლება იმის თქმა, რომ **სტალინმა** თვითმფრინავით იმგზავრა და ბაქოდან, სადაც მოსკოვიდან მატარებლით ჩავიდა, თეირანში გადაფრინდა!

თეირანში **სტალინმა** გაიბრწყინა არა როგორც უდიდესმა

**1943 წლის 28 ნოემბერს** ირანის დედაქალაქ **თეირანში** დაიწყო და **1 დეკემბერს** დასრულდა **თეირანის ისტორიული კონფერენცია,** სადაც სტალინური დიპლომატია სამთელქვეყნოდ გაბრწყინდა. ფაქტია: ბელადმა სამივე საერთაშორისო კონფერენცია — **თეირანშიც, იალტაშიც და პოტსდამშიც** — საბჭოთა ჯარის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ჩაატარა! **თეირანი, 1941 წლის 25 აგვისტოს შემდეგ, როცა იქ 45-ე არმია შეიჭრა, საბჭოთა კავშირის მიერ იყო ოკუპირებული. ასევე 1945 წლის თებერვალში იალტას აკონტროლებდნენ საბჭოთა ჯარები, ხოლო 1945 წლის 17 ივლისს, როცა პოტსდამის კონფერენცია გაიხსნა, აღმოსავლეთ გერმანია და ბერლინი თავიდან ბოლომდე საბჭოთა ჯარებით იყო გადაჭედილი.**

1943 წლის 28 ნოემბერს **თეირანის კონფერენციამ** შეაჯამა და დააგვირგვინა სამი უდიდესი საერთაშორისო მოვლენა, რომელმაც გერმანია ხერხემალში გადატეხა და ომის ბედი მოკავშირეების სასარგებლოდ შემოატრიალა.

**პირველი და ყველაზე მთავარი** ეს გახლდათ **სტალინგრადის ბრძოლა,** რომელიც 1943 წლის 2 თებერვალს საბჭოთა კავშირის ძლევამოსილი გამარჯვებით დასრულდა. **სტალინგრადის გამარჯვებამ ჰიტლერი დაანგრია, ფაშისტურ გერმანიაში გლოვა იყო... სტალინგრადს მოჰყვა კურსკის უდიდესი სატანკო შერკინება და ტრიუმფი, როცა 1943 წლის 25 აგვისტოს ორმოცდაათდღიან ბრძოლაში გერმანელები სასტიკად დამარცხდნენ.** სწორედ კურსკის გამარჯვების შემდეგ გაბატონდა საბჭოთა ავიაცია ჰაერში. **1943 წლის 9 ოქტომბერს ასევე ტრიუმფალური გამარჯვებით დასრულდა კავკასიის დაცვა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი ბრძოლა გახლდათ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ლენინგრადის 900-დღიან ბლოკადას.** კავკასიის გამარჯვებას მოჰყვა 1943 წლის 7 ნოემბერი, როცა საბჭოთა ჯარმა კიევი გაათავისუფლა. **სწორედ ამ გამარჯვებების შემაჯამებელი კონფერენცია გაიმართა თეირანში 1943 წლის შემოდგომის მიწურულს და, ალბათ, შემთხვევითი არც ის გახლდათ, რომ კონფერენციის მსვლელობა, კერძოდ, 30 ნოემბერი, დაემთხვა უინსტონ** ჩერჩილის დაბადების დღეს. რაც ყველაზე მთავარია —

## თეირანში სტალინი ჩავიდა ნელგამართული! ჩერჩილისა და რუზველტის წინაშე იგი წარსდგა როგორც გამარჯვებული მთავარსარდალი და არა დახმარების მძებნელი ან



1943 წლის 29 ნოემბერი. თეირანი.

**ჩერჩილის** მიერ სტალინისათვის **სტალინგრადის მახვილის** გადაცემის ცერემონიალი, რომელიც გამოჭედილი იქნა პირადად დიდი ბრიტანეთის მეფე **გეორგ VI-ის** სპეცგანკარგულებით. **სტალინი** ემთხვია საჩუქარს და, როგორც **რუზველტმა** თავის დღიურში ჩაწერა — ბელადს თვალებზე ცრემლი მოადგა.



1943 წლის 28 ნოემბერი.

საბჭოთა დელეგაციის გადაფრენა **ბაქოდან თეირანში** **სტალინის** მეთაურობით

ფოტოსურათიდან ამოჭრილია ბერიას გამოსახულება

**ასე შეიცვალა ისტორიის მდინარება**

*დიტო ჩუბინიძე*

# ზუსტად 85 წლის წინათ, 1938 წლის 25 ნოემბერს, სტალინმა ლავრენტი ბერია საბჭოთა კავშირის №1 ჩეკისტი გახადა!



მას შემდეგ, რაც 1938 წლის 22 აგვისტოს **ლავრენტი ბერია** საბჭოთა კავშირის **შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის ნიკოლოზ ეჟოვის** პირველი მოადგილე გახდა, სულ რაღაც 3 თვეში, იმავე 1938 წლის 25 ნოემბერს, **სტალინმა საკუთარი ხელით** (უკვე მეორედ!) **დაწერა ისტორიული დოკუმენტი,** რომლის ძალითაც მერხეულიდან კრემლში აღზევებულმა ქართველმა საბჭოთა სოციალისტური იმპერიის **შინაგან საქმეთა სახალხო კომისრობაც** დაირტყა,



## ხელნაწერი ბრძანება ★

ამასთანავე შეინარჩუნა **სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველოს უფროსის თანამდებობაც,** რომელიც სამ კვირაში, 1938 წლის 17 დეკემბერს, თბილისიდან გადაყვანილ თავის ფავორიტს — **ვსევოლოდ მერკულოვს** გადაულოცა.

***ნატო ფოცხიშვილი***

1938 წლის 22 აგვისტო



2. Утвердить первым заместителем народного комиссара внутренних дел СССР тов. Берия.

Предрешить назначение

1. народным комиссаром военно-морского флота тов. Фриновского с освобождением его от обязанностей первого заместителя наркома внутренних дел СССР.

3. Вопрос о первом секретаре ЦК КП(б) Грузии решить в трехдневный срок, предложив тов. Берия представить кандидата на утверждение ЦК ВКП(б).

1938 წლის 25 ნოემბერი



О Народном Комиссаре Внутренних Дел СССР

Назначить тов. Берия (Л.П.) Народным Комиссаром Внутренних Дел СССР.

За И. Ст.

К. Ворошилов

В. Молотов

***პროფესორი სიმონ მასხარაშვილი მეორე მსოფლიო ომის შესახებ დამკვიდრებულ სტერეოტიპებსა და კლიშეებს არღვევს და აცხადებს, რომ მეორე მსოფლიო ომი რადიკალურად განსხვავებულ ორ ეტაპად იყოფა. პირველი ეტაპი მოიცავს 1939 წლის 1 სექტემბრიდან 1941 წლის 22 ივნისამდე პერიოდს, რომელიც, რა თქმა უნდა, „მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტად" წოდებული სტალინ-ჰიტლერის ალიანსის შედეგია! მაგრამ ომის მეორე ეტაპის ავტორი, რომელიც 1941 წლის 22 ივნისს დაიწყო და 1945 წლის 2 სექტემბერს დასრულდა, თავიდან ბოლომდე დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი უინსტონ ჩერჩილია:***



# სიმონ მასხარაშვილი: სტალინმა მშვენივრად უწყოდა, რომ «ომის მანიაკი» სინამდვილეში არა ჰიტლერი, არამედ ჩერჩილი იყო!

— 1940 წლის ზაფხულში დიუნკერკის ბრძოლიდან ერთ თვეზე ცოტა მეტი იყო გასული, როცა 19 ივლისს **ჰიტლერი** რაიხსტაგში გამოვიდა და ოფიციალურად მიმართა როგორც გერმანელებს, ისე ბრიტანელებს. ფიურერმა თქვა — **მიუხედავად იმისა, რომ გამარჯვებული ვარ, საღი აზრი მკარნახობს, განვაცხადო, რომ გერმანიასა და დიდ ბრიტანეთს შორის ომის გაგრძელება მხოლოდ და მხოლოდ დამატებითი მსხვერპლისა და დიდი ნგრევის მომტანი იქნება. ამიტომ ერთადერთ სწორ ნაბიჯად მიმაჩნია ისეთი ზავის გაფორმება, რომელიც ყველასთვის მომგებიანი იქნებაო!**

**— ვის გულისხმობდა ჰიტლერი „მხარეებში" და როგორ აპირებდა ის „ყველასთვის მომგებიანი ზავის" გაფორმებას?**

— **ვალტერ შელენბერგისა და ერიხ ფონ მანშტაინის** მოგონებებიდან ჩანს, რომ **ჰიტლერი** „მხარეებში" გულისხმობდა გერმანიას, დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთს, ბელგიას, ნიდერლანდებს, ლუქსემბურგს, დანიასა და ნორვეგიას. **ცნობისათვის,** 1940 წლის ზაფხულის მდგომარეობით, დიდი ბრიტანეთის გარდა, გერმანიის არმიას ყველა ეს სახელმწიფო უკვე ოკუპირებული ჰქონდა. რაც შეეხება „ყველასთვის მომგებიან ზავს", ჰიტლერი ფიქრობდა, რომ ბრიტანეთთან საზავო ხელშეკრულების გაფორმებისთანავე სასწრაფოდ უნდა მომხდარიყო ყველა ზემოჩამოთვლილი სახელმწიფოს დეოკუპაცია, მათ უნდა შეენარჩუნებინათ კოლონიები და თავიდან აეცილებინათ



იოსებ სტალინი და უინსტონ ჩერჩილი

## ისტორიკოსის თვალით ★

## „ჩერჩილს ადოლფ ჰიტლერის 1940 წლის 19 ივლისის შეთავაზება რომ მიეღო, შესაძლოა, მსოფლიოს ლიდერები დღესაც ინგლისელები და გერმანელები ყოფილიყვნენ დანარჩენ ევროკავშირელებთან ერთად!“

ამ კოლონიების შესაძლო ოკუპაცია საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და იაპონიის მიერ. **ჰიტლერის აზრით, უნდა შექმნილიყო ევროპის სახელმწიფოთა ეკონომიკური კავშირი ზუსტად იმ ურთიერთმომგებიან პრინციპებზე დაყრდნობით, რომელზეც თანამედროვე ევროკავშირია აგებული.**

თანამედროვე ევროკავშირისგან განსხვავებით, ჰიტლერის ევროკავშირში უნდა ყოფილიყო ორი ლიდერი — **გერმანია,** როგორც კონტინენტური დომინანტი, ხოლო **ბრიტანეთი** — როგორც საზღვაო ჰეგემონი! ფიურერის გათვლით, **მაქსიმუმ, ათ წელიწადში ჰიტლერული ევროკავშირი თავისი ეკონომიკური და სამხედრო მაჩვენებლებით მსოფლიოს ლიდერად უნდა ქცეულიყო,** რომელიც უკან ჩამოიტოვებდა ამერიკის შეერთებულ შტატებს, საბჭოთა კავშირსა და იაპონიის იმპერიას! რაც შეეხება სოციალურ საკითხებს, ჰიტლერი ფიქრობდა, რომ ეს პრობლემა მისი გეგმით შექმნილ ევროკავშირში შემავალ თითოეულ სახელმწიფოს ინდივიდუალურად და ტრადიციულ გამოცდილებაზე დაფუძნებით უნდა გადაეჭრა!

**— რა პასუხი მიიღო 1940 წლის 19 ივლისის განცხადებაზე ჰიტლერმა დიდი ბრიტანეთისგან?**

— 1940 წლის 20 ივლისს ბრიტანული რადიო „ბი-ბი-სი“-ს დიქტორმა **ჰიტლერის** შემოთავაზებას მოკლე განცხადებით უპასუხა — **ჰერ ფიურერ, ამ თქვენს განცხადებას უკან გესვრით თქვენსავე აყროლებულ ხახაში შესატენად!** დიდი ალბათობით, ამ სიტყვების ავტორი მსოფლიოში უპირველესი გერმანოფობი, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი **უინსტონ ჩერჩილი** იყო! წინა ინტერვიუში ჩვენ ვთქვით, რომ გერმანიისა და ინგლისის აღმავლობა მე-18-მე-19 საუკუნეებში ყოველთვის განპირობებული იყო მათი ალიანსით. ვატერლოოს ბრძოლაშიც კი, სადაც **ნაპოლეონის** მზე საბოლოოდ ჩაესვენა, ბრიტანელები სწორედ გერმანელებმა იხსნეს და გამარჯვებამდე მიიყვანეს. დიახ, **არავინ უწყის, როგორ განვითარდებოდა კაცობრიობის მომავალი, ვატერლოოსთან ნაპოლეონის მიერ ალყაში მოქცეულ ინგლისელ ჰერცოგ ველინგტონს მოულოდნელ მხსნელად ფელდმარშალ ბლიუხერის პრუსიული — გერმანული არმია რომ არ მოვლინებოდა!** მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთად 1945 წლის მაისში ფაშისტური გერმანიის განადგურებაში დიდმა ბრიტანეთმაც მიიღო მონაწილეობა, აშკარაა, რომ ამ დროისათვის ბრიტანეთი მსოფლიოს ლიდერ სახელმწიფოთა შორის უკვე აღარ მოიაზრებოდა. ამიერიდან მსოფლიოში ორი ზესახელმწიფოს — **საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების** ჰეგემონია დამკვიდრდა. **ჩერჩილს** ადოლფ ჰიტლერის 1940 წლის 19 ივლისის შეთავაზება რომ მიეღო, შესაძლოა, მსოფლიოს ლიდერები დღესაც ინგლისელები და გერმანელები ყოფილიყვნენ დანარჩენ ევროკავშირელებთან ერთად!

**— ჰიტლერის წინადადება ბრიტანეთს რომ მიეღო და ფაშისტურ გერმანიასთან ზავი გაეფორმებინა, როგორ ფიქრობთ, სტალინი და რუზველტი ამას რეაქციის გარეშე დატოვებდნენ?**

— 1940 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში იზოლაციონიზმის იდეოლოგია ბატონობდა. უფრო მეტიც, 1940 წლის ნოემბერში **პრეზიდენტმა რუზველტმა** არჩევნები კიდევ ერთხელ სწორედ იმიტომ მოიგო, რომ ამომრჩევლებს დაჰპირდა — **მინიმუმ, ოთხი წლის განმავლობაში ამერიკა მსოფლიო ომში არავითარ შემთხვევაში არ ჩაერევაო!** ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამ პერიოდში ამერიკას სახმელეთო ჯარი, ფაქტობრივად, არ ჰყავდა და ამოდენა ქვეყანა მხოლოდ 50-ათასიან სამხედრო შენაერთზე იყო დამოკიდებული. რაც შეეხება **სტალინს,** მიუხედავად პერსონალურად მისი გენიალურობისა და საბჭოთა ეკონომიკის საოცრად სწრაფად ზრდის ტემპებისა, **1940 წელს საბჭოთა კავშირის, როგორც სახმელეთო, ისე საზღვაო ოფიცერთა კვალიფიკაცია და ბრძოლისუნარიანობა ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებდა!** შესაბამისად, ნაკლებად სავარაუდო იყო, რომ სტალინს ბრიტანულ-გერმანული ალიანსის წინააღმდეგ თავი გამოედო და ომი წამოეწყო! ხოლო, თავის მხრივ, ბრიტანეთ-გერმანიის ალიანსს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ სამხედრო დაპირისპირება არაფერს აძლევდა!

**— საინტერესოა, ასეთ სიტუაციაში, როცა დიუნკერკთან მხოლოდ ჰიტლერის კეთილი ნების წყალობით გადაურჩა არმია, რისი იმედი ჰქონდა ჩერჩილს, როცა ფაშისტურ გერმანიას ზავზე უარი უთხრა და ჰიტლერის 1940 წლის 19 ივლისის შეთავაზებას 20 ივლისს ფიურერის შეურაცხყოფით უპასუხა?**

— **უინსტონ ჩერჩილი** ფიქრობდა, რომ გერმანიას ბრიტანეთის კუნძულების ოკუპაციაც რომ მოეხერხებინა, უახლოეს წლებში ვერაფრით მისწვდებოდა კანადასა და ავსტრალიას, რომლებიც მაშინ დიდი ბრიტანეთის დომინიონები იყვნენ. **ჩერჩილი** აპირებდა, როგორც მეფის, ისე პარლამენტის ევაკუაციას კანადაში და გერმანიასთან ზავზე არდათანხმებას. ბრიტანული ფლოტის წყალობით, **ჩერჩილი** იმედოვნებდა, რომ ლათინური ამერიკიდან, აფრიკიდან და აზიიდან გერმანელებს ენერგორესურსებსა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე წვდომის შესაძლებლობას მაქსიმალურად შეუზღუდავდა. ამ დეფიციტის შევსების მოტივაციით, **ჩერჩილი** ფიქრობდა, რომ გერმანიას საბჭოთა კავშირზე თავდასხმას აიძულებდა, რათა ჰიტლერს უკრაინის პურისა და კავკასიის ნავთობის ხელში ჩაგდებით შეევსო დეფიციტი! კაცმა რომ თქვას, ყველაფერი სწორედ ისე წარიმართა, როგორც **ჩერჩილს** სურდა. უფრო მეტიც, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს კანადაში გაქცევაც კი არ დასჭირვებია, რადგან 1941 წლის 22 ივნისს გერმანია საბჭოთა კავშირს თავს დაესხა! მოკლედ, რომ არა ჰიტლერის პოლიტიკური სიბეცე, რა თქმა უნდა, ჩერჩილი თავის მიზანს ვერ მიაღწევდა!

**— ე.ი. რა გამოდის, სტალინის აგრესია და სრული უნდობლობა ჩერჩილისადმი სწორედ ამ უკანასკნელის შავბნელი გეგმებით იყო განპირობებული, რასაც ბელადი კარგად ხედავდა?**

— ცხადია, სტალინმა მშვენივრად უწყოდა, რომ „ომის მანიაკი“ სინამდვილეში არა ჰიტლერი, არამედ სწორედ **ჩერჩილი** იყო! ამას არათუ სტალინი, არამედ თვით უდიდესი ანტიკომუნისტი, ამერიკის პრეზიდენტი **ჰარი ტრუმენიც** მშვენივრად ხედავდა. სწორედ ამის დასტურია ის ფაქტი, რომ 1946 წლის 5 მარტს ამერიკის ქალაქ ფულტონში ჩერჩილის მიერ გაკეთებულ პროვოკაციულ განცხადებას, რომელიც „ცივი ომის“ ათვლის წერტილად ითვლება, **პრეზიდენტი ტრუმენი** კატეგორიულად და ოფიციალურად გაემიჯნა. მეტიც, **ტრუმენმა ჩერჩილის პოზიცია საჯაროდ დაგმო...** მოგეხსენებათ, 1946 წლის 5 მარტს **ჩერჩილმა,** რომელიც მაშინ უკვე პრემიერ-მინისტრი აღარ იყო, მთელ ანგლოსაქსურ სამყაროს მოუწოდა, სტალინისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ახალი ჯვაროსნული ლაშქრობა წამოეწყოთ! **1939 წლის 1 სექტემბერს დაწყებული ომი 1941 წლის 22 ივნისის უბედურებით რომ არ გაგრძელებულიყო, ამ ომს „მეორე მსოფლიო ომი“ არავითარ შემთხვევაში არ დაერქმეოდა და 1939-1940 წლების მოვლენები მსოფლიო ისტორიაში შევიდოდა „ვერსალის ზავის მიერ შექმნილი მახინჯი საერთაშორისო-პოლიტიკური სისტემის დემონტაჟის“ სახელით!**

**— ძალიან საინტერესოა ჰიტლერის მიერ საფრანგეთის ოკუპაციის საკითხი. ცნობილია, რომ ჰიტლერი ამ ოკუპაციისგან გაცილებით მეტს ელოდა, ვიდრე მიიღო. მაინც რა მოხდა?**

— მოხდა ის, რომ ევროპის უდიდესი ქვეყანა — საფრანგეთი, ფაქტობრივად, ცარიელი ყულაბა აღმოჩნდა და ოკუპირებული საფრანგეთი ჰიტლერისთვის ზედმეტ ბარგი-ბარხანად იქცა. საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ, თურმე, საფრანგეთი მხოლოდ კოლონიების ხარჯზე ცხოვრობდა და თვითონ არაფერს აწარმოებდა. ქვეყანაში პურიც კი არ მოჰყავდათ და ვიდრე ჰიტლერმა უკრაინა არ დაიკავა, ოკუპირებულ საფრანგეთში პურის პრობლემა ვერ გადაიჭრა. უფრო მეტიც, ჰიტლერმა ფრანგ ავიაკონსტრუქტორებსა და საავიაციო ქარხნებს, რომლებსაც ფულს კარგად უხდიდა, წელიწადში 3 ათასი თვითმფრინავის დამზადება დაავალა. მთელი ომის განმავლობაში საფრანგეთში სულ ოთხმოცამდე საღი თვითმფრინავი დაამზადეს, დანარჩენი უვარგისი იყო!

**— საინტერესოა, ჩერჩილი ბუნებით მამაცი კაცი იყო?**

— ჩერჩილი ძალიან მამაცი და ვერაგი კაცი იყო... ის მთელი ერის მიტოვებას და კანადაში გაქცევას საკუთარი ტყავის გადასარჩენად კი არ აპირებდა, უბრალოდ, შავი დღისთვის ასეთი სტრატეგია ჰქონდა შემუშავებული. ცნობილია, რომ ლონდონის დაბომბვის დროს, ჩერჩილი ბუნკერში არ ჩადიოდა და პრემიერ-მინისტრის რეზიდენციის სახურავზე იდგა. ჩერჩილი არ იყო ის ტიპაჟი, რომელიც მოსალოდნელი დიდი მსხვერპლის გამო თავის იდეა-ფიქსზე უარს იტყოდა. მსგავსი სენტიმენტები მისგან ძალიან შორს იყო. მის აგრესიულ და ცბიერ ბუნებას კვებავდა ის ფაქტორიც, რომ ლორდის შვილს დედა ამერიკელი ჰყავდა და ამერიკაც თავის სამშობლოდ მიაჩნდა. ის არ ფიქრობდა, რომ ჰიტლერი ამერიკის ოკუპაციას შეძლებდა. ამიტომ იყო, რომ ჩერჩილი ფიურერს არ „დაუწვა“ და გერმანიისთვის საოცნებო ზავზე ხელი არ მოაწერა.

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***



**„მეორე მსოფლიო ომის მსხვერპლთა 99 პროცენტი სწორედ ომის მეორე ეტაპზე მოდის და მისი ავტორია არა ადოლფ ჰიტლერი, არამედ „ყველა დროის უდიდეს ინგლისელად“ გამოცხადებული უინსტონ ჩერჩილი!“**



**„ჩერჩილი ძალიან მამაცი და ვერაგი კაცი იყო...“**







**„არავინ უწყის, როგორ განვითარდებოდა კაცობრიობის მომავალი, ვატერლოოსთან ნაპოლეონის მიერ ალყაში მოქცეულ ინგლისელ ჰერცოგ ველინგტონს მოულოდნელ მხსნელად ფელდმარშალ ბლიუხერის პრუსიული — გერმანული არმია რომ არ მოვლინებოდა!“**

## ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲑᲔᲖᲘᲠᲒᲐᲜᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲡ ★

### ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲒᲕᲐᲠ ᲓᲐ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲠᲘᲪᲮᲝᲕᲐᲜ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐᲨᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲗᲐᲕᲒᲐᲛᲝᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲫᲐᲒᲔᲑᲚᲔᲑᲘᲪ ᲙᲘ (ᲢᲠᲝᲪᲙᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ – ᲕᲝᲚᲙᲝᲒᲝᲜᲝᲕᲘᲗ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲣᲚᲘ), ᲣᲪᲕᲚᲔᲚᲐᲓ ᲓᲐᲓᲔᲑᲘᲗᲐᲓ ᲘᲮᲡᲔᲜᲘᲔᲑᲔᲜ ᲑᲔᲚᲐᲓᲘᲡ ᲛᲔᲣᲦᲚᲔᲡ ᲜᲐᲓᲔᲟᲓᲐ ᲐᲚᲘᲚᲣᲔᲕᲐᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲬᲔᲡᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲛᲓᲐᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲮᲘᲔᲠᲔᲑᲐᲡ. ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲘᲥᲕᲔ ᲣᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲔᲑᲔᲜ ᲥᲛᲐᲠᲡ ᲓᲐ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛ Ნ. ᲐᲚᲘᲚᲣᲔᲕᲐᲡ ᲗᲕᲘᲗᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲐ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲢᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲒᲐᲛᲝᲮᲐᲢᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲘ ᲘᲧᲝ. ᲡᲘᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲔᲨᲘ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲘᲧᲝ ᲡᲐᲥᲛᲔ?






ნადეჟდა ალილუევას თავმდაბლობისა და წესიერების შესახებ სრულ სიმართლეს ბრძანებთ. მეტსაც გეტყვით, მისი ამ თვისებების დამადასტურებელი ფაქტები დღეს ნამდვილ ფანტასტიკად შეიძლება მოგეჩვენოთ. აი, მხოლოდ ორი მაგალითი: ქმრისათვის მიწერილ ერთ-ერთ წერილში (სტალინი ამ დროს სოჭში ისვენებდა) **ალილუევა** წერს, რომ სამრეწველო აკადემიაში გამოცდაზე მიიჩქაროდა და ტრამვაიში ჩაჯდა, მაგრამ **„ტრამვაი გაფუჭდა. ავტობუსს დავუწყე ლოდინი — არ გამოჩნდა. რომ არ დამგვიანებოდა, ტაქსით წასვლა გადავწყვიტე, მაგრამ ცოტა ხანში იმასაც რაღაც გაუფუჭდა და გაჩერდა.“** **შედეგად გენმდივნის ცოლი, როგორც ახლა იტყოდნენ, „პირველი ლედი“,** აკადემიამდე ფეხით მივიდა. **„ეს ყველაფერი ძალიან სასაცილო იყო,** — **წერს ალილუევა,** — **საბოლოოდ სამრეწველო აკადემიაში ორი საათი ველოდე გამოცდის დაწყებას.“** ეს წერილი **1929 წლის 2 სექტემბრით** არის დათარიღებული, ანუ იმ დროით, როდესაც მისი ქმარი მხოლოდ სკპ (ბ) ცკ-ის გენერალური მდივანი კი არ იყო, უკვე მსოფლიო პროლეტარიატის ბელადად იწოდებოდა. დავამატებთ, რომ იმ პერიოდში ტრამვაი ულმერთოდ გაჭედილი დაიარებოდა და მგზავრები მას, როგორც წესი, შტურმით იღებდნენ. კომენტარისაგან თავს შევიკავებთ. მხოლოდ ვეცდებით, ამ სიტუაციაში უკანასკნელი გენმდივნის **გორბაჩოვის** მეუღლე — **რაისა მაქსიმოვნა** წარმოვიდგინოთ.

რა თქმა უნდა, ყველაფერი მხოლოდ ცოლის თავმდაბლობაზე კი არა (ეს ისედაც აშკარაა), ქმრის მიერ მიცემულ მკაცრ მითითებებზეც იყო დამოკიდებული, რომელმაც, როგორც ჩანს, ცკ-ის გარაჟის ავტომობილებით სარგებლობა აუკრძალა. პირად ავტომანქანაზე ხომ ლაპარაკიც არ შეიძლებოდა.




მეორე მაგალითი. წერილი იმავე წლის სექტემბრის ბოლოთია დათარიღებული. სიტყვასიტყვით გთავაზობთ მის ამონარიდს: **„იოსებ, თუ შეგიძლია, 50-იოდე მანეთი გამომიგზავნე. ფულს** (სტიპენდია) **მხოლოდ 15-ში მომცემენ, მანამდე კი უკაპიკოდ ვზივარ. თუ გამომიგზავნი, კარგი იქნება.“**

ვფიქრობთ, კომენტარი აქაც ზედმეტია.

რაც შეეხება **ნადეჟდა ალილუევას** თვითმკვლელობას, ცოლ-ქმარს შორის არანაირი კონფლიქტი, მითუმეტეს, პოლიტიკურ ნიადაგზე, არ მომხდარა. **ალილუევა სტალინის** საქმეებში არასოდეს ერეოდა და მათი მიმოწერა, რომელიც რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის არქივშია დაცული, ამის ნათელი დადასტურებაა. თუ მათ შორის უთანხმოება წარმოიშობოდა, მისი საბაბი მხოლოდ **ალილუევას** ავადმყოფური ეჭვიანობა ხდებოდა. ბევრი მისი ახლო ნაცნობი (მოლოტოვი, მისი ცოლი პოლინა ჟემჩუჟინა, მარია სვანიძე და სხვ.) ადასტურებს, რომ **ნადეჟდას** ფსიქიკური გადახრა ჰქონდა და ნაადრევი კლიმაქსისაგან (30 წლის ასაკში!) იტანჯებოდა, რომელსაც თავის საზარელი ტკივილი ახლდა და სიგიჟემდე მიჰყავდა. როგორც ჩანს, სწორედ ერთ-ერთ ასეთ ღამეს (1932 წლის 9 ნოემბერი) გადაწყვიტა მან, საბედისწერო ნაბიჯი გადაედგა.

### 1964 ᲬᲚᲘᲡ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲖᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲜᲘᲙᲘᲢᲐ ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲞᲝᲡᲢᲘᲓᲐᲜ ᲛᲝᲮᲡᲜᲐ, ᲘᲡ „ᲕᲝᲚᲣᲜᲢᲐᲠᲘᲖᲛᲡᲐ“ ᲓᲐ „ᲡᲣᲑᲘᲔᲥᲢᲘᲕᲘᲖᲛᲨᲘ“ ᲓᲐᲐᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲔᲡ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲔᲡ ᲝᲠᲘ ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲑᲔᲕᲠᲡ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲡ ᲒᲕᲔᲣᲑᲜᲔᲑᲐ. ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝᲐ, ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚᲐᲓ ᲠᲐ ᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲔᲑᲘ ᲬᲐᲣᲧᲔᲜᲔᲡ ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲡ?



კონკრეტულად — სახალხო მეურნეობის დაშლა, საერთაშორისო მდგომარეობის გამწვავება, რამაც კინაღამ ბირთვული ომი გამოიწვია (კარიბის კრიზისი), სახელმწიფო სახსრების ურცხვად დატაცება, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება. **ᲛᲐᲠᲢᲘᲕᲐᲓ ᲠᲝᲛ ᲕᲗᲥᲕᲐᲗ, ᲙᲠᲔᲛᲚᲘᲡ ᲢᲐᲮᲢᲖᲔ ᲐᲗᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐᲨᲘ ᲐᲑᲡᲝᲚᲣᲢᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲤᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲔᲚᲔᲛᲔᲜᲢᲐᲠᲣᲚᲘ ᲥᲣᲠᲓᲘ ᲘᲯᲓᲐ.** აი, ამონარიდი საგანგებო ცნობიდან, რომელიც პლენუმზე წაიკითხეს: **„1953 წელს ნ. ს. ხრუჩოვმა ქვეყნის ფარგლებში და საზღვარგარეთ მოგზაურობაში 170 დღე გაატარა. იმავე წელს ჩატარდა 128 საზეიმო მიღება, სადილი, საუზმე და ა. შ. 1964 წელს (ოქტომბრის ჩათვლით) 150 დღის განმავლობაში სხვადასხვა მიზეზით (მოგზაურობა, დასვენება) სამუშაო ადგილზე არ ყოფილა. მგზავრობისას თან ახლდა პრაქტიკულად ყველა ნათესავი და ახლო მეგობარი 200 ადამიანის ოდენობით (აშშ-ში, გდრ-ში, არაბეთის გაერთიანებულ რესპუბლიკაში, ინდოეთში, ინდონეზიაში და სხვა ქვეყნებში). ამ მოგზაურობებში ძვირფასი საჩუქრები მიაქვს — თვითმფრინავები, ავტომობილები, ბეწვეული, შეკვეთით დამზადებული იარაღი და ა. შ. მაგალითად, სეკუ ტურეს** *(გვინეის ლიდერი — რედ.)* **ხრუშჩოვმა „ილ-18“ უფეშქაშა, ნასერს** *(ეგვიპტე — რედ.)* **და მის ვაჟიშვილებს — ორი ავტომანქანა „ჩაიკა“ და რამდენიმე „მოსკვიჩი“. ხრუშჩოვის პირადი მითითებით მის აგარაკზე ყირიმსა და ბიჭვინთაში უზარმაზარი აუზები ააგეს, რომელთა მშენებლობა 5 მილიონი მანეთი დაჯდა. ხრუშჩოვის ოჯახში მანქანების მთელი ავტოფარეხია. ვაჟიშვილს პირად სარგებლობაში სახელმწიფო სახსრებით შეძენილი 4 ავტომობილი ჰყავს. სიძეს — ა. აჯუბეის — 2 ავტომობილი, ცოლს და ქალიშვილს — თითო-თითო, ამასთან, ოჯახს ემსახურება კიდევ 4 სახელმწიფო ავტომანქანა (იმათ გარდა, რომლებიც პირადად მას ემსახურება). ყველა პუნქტში, სადაც ჩადის, ის მრავალრიცხოვან საჩუქრებს იღებს, რომლებიც მოსკოვში ვაგონებით ჩამოაქვთ და აღრიცხვას არ ექვემდებარება. მიმდინარე წლის აპრილში, მისი განცხადების შემდეგ, რომ სიამოვნებით მიიღებს საჩუქრებს მოკავშირე რესპუბლიკებიდან 70 წლის იუბილესთან დაკავშირებით, მოსკოვისკენ ე. წ. „საჩუქრების“ უწყვეტი ნაკადი წამოვიდა, თანაც, თითოეული რესპუბლიკა ცდილობს, მათი ორიგინალობითა და ფასით სხვებს აჯობოს. ნ. ხრუშჩოვის პირადი მითითებით, მის არაფრით გამორჩეულ ვაჟიშვილს — სერგეის — დოქტორის ხარისხი, სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა და ლენინის პრემია გადაეცა. ლენინის პრემია მის სიძეს ა. აჯუბეისაც მიენიჭა...“**

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ცნობაში ასახული ქმედებანი (ჩვენ მხოლოდ მცირე მონაკვეთის ციტირება მოვახდინეთ) სასჯელით ისჯებოდა რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 193-17 მუხლის „ბ“ პუნქტს, რომელიც სოციალისტური დაცვის უმაღლეს ზომას, ანუ სიკვდილით დასჯას ითვალისწინებდა.

### ᲠᲐᲓᲘᲝᲡ ᲓᲘᲥᲢᲝᲠᲘ ᲚᲔᲕᲘᲢᲐᲜᲘ, ᲩᲔᲛᲘ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲝᲛᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲡ ᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲖᲔ ᲜᲐᲙᲚᲔᲑ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ ᲠᲝᲓᲘ ᲐᲙᲔᲗᲔᲑᲓᲐ. ᲧᲝᲕᲔᲚ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ, ᲩᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ, ᲣᲤᲠᲝᲡᲘ ᲗᲐᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲘᲡ ᲘᲛ ᲔᲞᲝᲥᲘᲡ ᲡᲘᲛᲑᲝᲚᲝᲓ ᲘᲥᲪᲐ. ᲓᲐᲬᲕᲠᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲒᲕᲘᲐᲛᲑᲔᲗ ᲐᲛ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐᲖᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ ᲓᲘᲓᲐᲓ ᲐᲤᲐᲡᲔᲑᲓᲐ, ᲤᲐᲨᲘᲡᲢᲔᲑᲡ ᲙᲘ ᲡᲫᲣᲚᲓᲐᲗ.

უნიკალური ხმისა და უდავო მსახიობური ნიჭის მქონე სტალინელი დიქტორის **ᲘᲣᲠᲘ ᲑᲝᲠᲘᲡᲘᲡ ᲫᲔ ᲚᲔᲕᲘᲢᲐᲜᲘᲡ** (1914-1983) ბიოგრაფია მოვლენებით საკმაოდ ღარიბია. მთელი შეგნებული ცხოვრება (1931 წლიდან) ამ ადამიანმა საკავშირო რადიოში იმუშავა და მისი ხმა გვაუწყებდა ცნობებს ფრონტებიდან, უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებებს, პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებს. **1941 წელს** ის სკპ (ბ)-ში შევიდა. მინიჭებული ჰქონდა სსრკ სახალხო არტისტის წოდება, თუმცა, თეატრალურ სცენაზე არასოდეს უთამაშია და არც კინოში გადაუღიათ. აი, ვგონებ, სულ ეს არის. თუმცა, თქვენ მართალი ბრძანდებით — ეს ადამიანი უზარმაზარ საქმეს აკეთებდა, გამარჯვებაში მისი წვლილი უდავოა. როდესაც **ლევიტანი** წარმოთქვამდა — **„მძიმე თავდაცვითი ბრძოლების შემდეგ ჩვენმა ჯარებმა დატოვეს...“**, ამას კი ქალაქების ჩამოთვლა მოსდევდა, მისი სიტყვები ყელში სპაზმს იწვევდა, მტრისადმი სიძულვილს აღვივებდა და ბრძოლისაკენ მეთაურის ბრძანებაზე უკეთ მოუწოდებდა. სამაგიეროდ, სულ სხვაგვარად ჟღერდა ცნობა ფრონტის ხაზზე თუნდაც სულ მცირე წარმატების შესახებ: **„წარმატებით განხორციელებული კონტრშეტევის შედეგად ჩვენმა ჯარებმა ქალაქი ტორჟოკი გაათავისუფლეს“.** და, თუმცა, ქალაქი ტორჟოკი რუკაზეც კი არ იყო აღნიშნული და მისი აღება ფრონტზე მდგომარეობას არ ცვლიდა, მსმენელთა გულებში მტერზე გამარჯვების რწმენა ღვივდებოდა. **ᲚᲔᲕᲘᲢᲐᲜᲘᲡ** მნიშვნელობაზე ის ფაქტიც ღაღადებს, რომ მისი დატყვევებისთვის ფაშისტებმა ჯილდოდ 50 ათასი მარკა დააწესეს. **რაიხსმინისტრ ᲒᲔᲑᲔᲚᲡᲡ** იდეა წარმოეშვა, რომ სწორედ **ᲚᲔᲕᲘᲢᲐᲜᲡ** უნდა გამოეცხადებინა **ვერმახტის ნაწილების მიერ მოსკოვის აღების შესახებ. ᲚᲔᲕᲘᲢᲐᲜᲘᲡ** ტყვედ ჩაგდება ვერ მოხერხდა. მაშინ მოსკოვის რადიოცენტრის დაბომბვის ბრძანება გაიცა. ლუფტვაფეს ერთ-ერთმა ასმა **1941 წლის** შემოდგომაზე რადიოცენტრზე პირდაპირი მოხვედრებით ჩამოაგდო ბომბი. გერმანული რადიო ზეიმობდა — **„სტალინის კარის ლაქია, ბინძური ებრაელი ლევიტანი სამუდამოდ დადუმდა.“** მაგრამ სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა. გავიდა სულ რაღაც ნახევარი საათი და ეთერში გაისმა: **„ყურადღება, ყურადღება. ლაპარაკობს მოსკოვი. მუშაობს საბჭოთა კავშირის ყველა რადიოსადგური...“**

პატივი მერგო, **ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ** ლეგენდარულ დიქტორს შევხვედროდი. პირადად მისგან მოვისმინე, როგორ წარმოთქვა **1941 წლის 3 ივლისს ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲛᲐ** თავისი ცნობილი სიტყვა (ლევიტანი ამ მოვლენას ესწრებოდა). დიქტორის თქმით, ბელადი აბსოლუტურად მშვიდი იყო და, თუმცა, რადიოჯიხურში რაღაც ჩანაწერებით გამოცხადდა, ლაპარაკის დროს ქაღალდში თითქმის არ ჩაუხედავს. **„უცებ ვხედავ,** — მიყვებოდა **ᲚᲔᲕᲘᲢᲐᲜᲘ,** — **სტალინი ლაპარაკს აგრძელებს და თან ფურცელზე რაღაცას წერს, მერე კი ეს ფურცელი მე გამომიწოდა. ავიღე, ვკითხულობ: „ამხანაგო ლევიტან, თუ შეიძლება, ერთი ჭიქა წყალი მომიტანეთ.“ რა თქმა უნდა, მყისვე გავიქეცი, თან ვფიქრობდი, ეს როგორ დაგვემართა, რომ ორატორს წყალიც კი არ დავუდგით. სტალინმა თავისი დაქნევით გადამიხადა მადლობა და ლაპარაკი განაგრძო. მე კი ამასობაში მიხარია — ჯიბეში უნიკალური რელიკვია მიდევს — თავად სტალინის ავტოგრაფი. აი, გამოსვლა დასრულდა. სტალინმა ხელი ჩამომართვა და გასასვლელისკენ გაემართა. უცებ მკვეთრად შეჩერდა: „ამხანაგო ლევიტან“. „დიახ, ამხანაგო სტალინ“. „ბარათი დამიბრუნეთ, გეთაყვა“.** აი, ასე დავრჩი რელიკვიის გარეშე.“



2023 წლის 27 ნოემბერი, №65 (233)

სარედაქციო კოლეგია

„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი. ვებ-გვერდი ინტერნეტში: www.asavali.com ელ-ფოსტა: mail@asavali.com ფეისბუქი: www.facebook.com/Asavali.com გამოდის 2003 წლის 7 აპრილიდან.

# მო გელა ნდებით!



## მოგზაურობა ქართულ პოლიტიკაში გელა ზედელაშვილთან ერთად




## მოუშორებელი ჭირი

# დროზე მია-ციხ-ცუხეთ!

**მიხამ** ისევ გარეკა. მოსამართლე **კოჭლამაზაშვილმა** აღარ გაუთიშა. ეტყობა, იფიქრა — ამას თავისი გაჭირვებაც ეყოფა, დაე, იყბედოს, რაც მეტ სისულელეს იტყვის, ერის ხეირიაო.

ესეც გადმოდგა და ამ ქვეყანაში ყველაფერზე პასუხისმგებლობას მე ვიღებ, აქ მეორე ადგილისთვის არ ჩამოვსულვარ, გამარჯვებისთვის ჩამოვედი და „ქართული ოცნება" უნდა დავამარცხო-ვო!

ეხლა **სოფო** დადის სოფელ-სოფელ, ქალაქ-ქალაქ, ევროპა-ევროპა, აშშ-აშშ, ხალხს მოაბილიზებს და გამარჯვების ფორმულაც მზად იქნებაო... არა, ფორმულა კი მზად არის, მაგრამ პრაქტიკაში ხომ უნდა დაინერგოსო?

**ჩვენ რო მოვალთ ხელისუფლებაში, სუ სხვანაირი ცხოვრება იქნებაო... არის უკუნი და ეგრევე იქმნება ნათელიო!**

☺

**გადაიყვანეთ ციხეში, ეს დედამილეწილი, რა გახდა ამისთანა, რაზე გვიშლით ნერვებს და ფაქიზ გრძნობებს?** ცოტა იჯღავლებს, დორბლებსაც გადმოჰყრის, კუდუსუნის ძვალსაც აიტკიებს, მაგრამ მერე მიეჩვევა და მხოლოდ საკუთარ თავთან გამართავს თათბირებს.

**იუსტიციის მინისტრმა თქვა,** როცა ექიმების დასკვნა იქნება, მაშინ გადავიყვანთო.

**რომელი ექიმების დასკვნა?** მე მაგასთან შესული და დასკვნის ნორმალურად დამწერი ექიმი არ მინახავს, მაგან ექიმებიც, ლობისტებიც, ადვოკატებიც და მოსაფერებლებიც თავისზე უარესები აიყვანა! **მაქსიმუმ კურკლი ან სპერმა გამოიტანონ!**






როცა მიხას ხროვა მოიყვანეს ხელისუფლებაში, ამ გაიძვერას მთავრობის სახლში კაბინეტი მიუჩინეს, სახელმწიფო საკითხები აწყვეტინეს და დიდი ფულიც აშოვნინეს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, 2008 წლის ომი ამის კისერზეც არი.

მოკლედ, ქართველი ხალხის ხარჯზე **თემურ ალასანიამ** იმდენი დააგროვა, ჯერ ნიუ-იორკში დასახლდა, მერე აქ ვიღაც ჩათლახები აფინანსა, ბოლოს იმავე **ქართველ ხალხს აგინა!** და ისიც კი გაბედა — **მილიონ დოლარს გადავუხდი, ვინც ბიძინა ივანიშვილს ტყვიას დააჭედებსო.**

☺

როცა ამისი დისშვილი დააპატიმრეს, ეგრევე ჩამოტორღიალდა, ჩემი გავლენა და ავტორიტეტი უნდა გამოვიყენო, მის დასახსნელადო.

როცა პროკურატურაში დაიბარეს და ჰკითხეს — **რა გინდა, რას დაბოდიალობო** — ეგრევე გაითურქეთა — გული გამიხდა ცუდად და უნდა ვიმკურნალო-ვო.

გული არა, კუდუსუნი და ელენთა, უბრალოდ, შეეშინდა — ემანდ მეც არ მიმსვან დისშვილის გვერდითო.

☺

ერთ ხანობას ჩათლახ**ბუბაზას** ჩაუძმაკაცდა, ურეკავდა და დირექტივებს აძლევდა — **მსოფლიო ლიდერებს მიმართეთ, რომ საქართველოში ძალაუფლებას ჩვენ ვიღებთ, მხარს თუ არ დაგვიჭერენ, ხელს მაინც ნუ შეგვიშლიანო.**

გაიგონეთ?

**ბუბაზას და გიულას** უნდა მიემართათ მსოფლიო ლიდერებისთვის და მსოფლიო ხალხებისთვის — ძალაუფლებას ხელში ჩვენ ვიღებთ, არავითარი დათმობა და უკან დახევაო...

ერთ-ერთ ფარულ ჩანაწერში, თავის ლაყე დისშვილს რომ ელაპარაკება, იძახის — **რა ვქნა, ველარ ვითმენ, საქართველოში ოპოზიციამ რამე უნდა ქნას, დავიღალე ლოდინითო.**

არადა, რამდენჯერ ყარა მწვანე უზალთუნები, რამდენჯერ სცადა ყიტეებზე დაყრდნობით ხელისუფლების დამხობა?

არც ერთხელ არ გამოუვიდა, ყოველ ჯერზე ჩაფლავდა!

როგორც ჩანს, ცოტა ხნის დუმილის შემდეგ ისევ აუდგა და ისევ მობოდა — **ტერიტორიები ომით, ანუ არამშვიდობიანი გზით უნდა დავიბრუნოთო!**

განა რამე? განა ამის სიტყვას აქვს ფასი და წონა? მაგრამ იქით აფხაზები დაგვემდურებიან, აქეთ ოსები დაიწყებენ — თქვენ თუ მშვიდობა გინდათ, აბა, ეს ჩვენალალა რეებს ლაპარაკობსო?

განა არ იციან, რომ **ჩუტრუკის პრუწუნსა და თემურ ალასანიას სიტყვას** ერთი ფასი აქვს?

იციან, მაგრამ საბაბად მოიტანენ, აქეთ დაგვამუნათებენ და რუსებსაც მიზეზი მიეცემათ, რომ თავიანთებურად იმოქმედონ.

ეგ არი!

☺

ეს **შაშა და კოლა** რუსების დავალებას ასრულებს, ყოფილი „კაგებეშნიკები", ყოფილი აგენტები და ყოფილი ჩათლახები რომ არ არსებობენ. ეს მე არ მითქვამს, ჩემზე გაცილებით ჭკვიანმა ხალხმა თქვა.

# როგორ აიცილა ზურაბ ნოღაიდელმა საზურაბქვანიე საფერფლე

ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა **ზურაბ ნოღაიდელმა** გარეჯის საქმეზე ხელი **მიხეილ სააკაშვილს** დაადო — **ყველაფერზე პასუხისმგებელი ეგ იყო და გადაწყვეტილებებსაც ეგ იღებდა, ჩვენ ერთი დოკუმენტიც არ გვქონია, რომელიც სამონასტრო კომპლექსის საკითხს საჩვენოდ გადაწყვეტდაო.**

ამ დროს პროკურორი ამტკიცებს — **ჰქონდათ, როგორ არა, პირადად ივერი მელაშვილს ეჭირა ხელში, მაგრამ ზემოდან დავალება იყო გაცემული, დაემალაო.**

☺

**ნოღაიდელი** როგორი ვირეშმაკაც ბრძანდება, ვიცით, მაგრამ ამ შემთხვევაში სიმართლეს ღაღადებს — **მე კი ვესწრებოდი უშიშროების საბჭოს სხდომებს, სადაც გარეჯის საკითხი იხილებოდა, მაგრამ იქ პარადი სააკაშვილს მიჰყავდა, მე არაფერს მეკითხებოდნენო. თანაც საჩვენო დოკუმენტი არ მინახავს, თორემ სხვანაირად მოვიქცეოდიო.**





ჩემ ფეხებს მოიქცეოდა სხვანაირად, ეგრევე მიიღებდა საფერფლეს საფეთქელში, თუ გადარჩებოდა, კაი ხანს მოუწევდა საავადმყოფოში კოტრიალი **მგალობლიშვილივით.** ნუ, შეიძლება, **გაზითაც** გაგუდულიყო, მაგრამ მე უფრო **საფერფლეს** ვვარაუდობ.

ჰო, კიდე **ის არი ჩასალპობი ციხეში, მეორე სურათზე ნიკაპი თავის ბინძურ ხელებზე რომ ჩამოუდვია** და იყურება უცოდველი მელას შვილივით!



# საუნიტაზე დოკუმენტი მიღებულია!

**მამუკა ხაზარაძისა და ბადრი ჯაფარიძის** შეგირდები დამსხდარან და შეუმუშავებიათ **საქართველოს დაცვის აქტი.** ძალიან კარგადაც იციან, რომ უმრავლესობა ამას არ მიიღებს, მაგრამ მაინც აცხადებენ — ეს დოკუმენტი აშშ-ის ელჩს სამუშაო მაგიდაზე უდევსო.

☺

უკაცრავად კი ვარ ახალ ელჩთან, მაგრამ შენ, კაცო თუ ქალო, ქართველად რომ მოგაქვს თავი, თან ევროპიელობას აწვები, **ვინ ჩემი ფეხებია იგივე აშშ-ის ელჩი, ჩემს სამშობლოში გადამიწყვიტოს, რომელ ქვეყანასთან როგორი ურთიერთობა მექნება და ფრენებს გავაუქმებ თუ არა?**

იყო დრო, ძვირფასო მეგობრებო, ამათი წინაპრები ისპაჰანში დარბოდნენ თხოვნით — **საქართველოს ვკარგავთ, გვიშველეთ რამეო...** მერე ამათი მშობლები დარბოდნენ რუსეთში — არიქა, ქვეყანას ვკარგავთ, გვიშველეთ რამეო... ახლა თვითონ დარბიან ამერიკებში — **სამშობლოს ვკარგავთ, გვიშველეთო...** ამათი დამრიგებელი **მამუკა ხაზარაძე** დასდევდა მერაბ კოსტავას გადაჭრილი სკამის ფეხით და „ჩერეზ" კრემლი სამშობლოს იცავდა.

☺

**ვიცი, ესენი არ მოისვენებენ, ხვალ თავიანთი მთავარი წინაპრის ვლადიმერ ულიანოვის ნაშრომებიდან წამოიღებენ თეზისებს და აშშ-ის ელჩის სამუშაო კაბინეტში სამუშაო მაგიდაზე დაუდებენ.**

შემდეგ... აშშ-ის ელჩი ტაშს შემოჰკრავს, ამათ თავის სამუშაო კაბინეტში დაიბარებს და ესენიც თავებს არ დაზოგავენ — **ჩაუშვებენ და ჩაუშვებენ** საკუთარ ქვეყანას. არადა, ვერ ხვდებიან, რომ საქართველომ ისინი რახანია, თავადაც **ჩაუშვა** ტუალეტის მჯღაბნელთა უნიტაზში, რომლის საპატიო ყარაულშიც **ლაშა ბუღაძე** და **რატი ამაღლობელი** დგანან!

გაგრძელება მე-20 გვერდზე

# მო გელა ნდებით!



## მოგზაურობა ქართულ პოლიტიკაში გელა ზედელაშვილთან ერთად

დასაწყისი მე-19 გვერდზე

# 20-ნაკრავები

**იაგო ხვიჩიამ** ნაციონალებს ურჩია, **ვარდების რევოლუციის 20 წლისთავი** კი არ იზეიმონ, არამედ შავები ჩაიცვან და ისე იარონ!

**რა ეზეიმებათო? მაგათ წესით არც ახალ წელს უნდა იზეიმონ, არც აღდგომას და არც საკუთარ დაბადების დღეებზეო.**

ვეთანხმები!

ჯერ ერთი, **ნაციონალების უმფროსს** თავზე ბადრაგი ადგას და მეორეც — რად და როდის გადაათრევენ ნახმარი ჩემოდანივით, არავინ იცის.

თუმცა!

**ხვიჩიასაც და მეც კინაღამ დაგვავიწყდა,** რომ **ნაცმაცუნები** სწორედ მაშინ ზეიმობენ, როცა მარცხდებიან. რა, ეგრე არ იყო **2008 წლის აგვისტოში, რუსეთს ომი რო მოუგეს?**










## დემურ გიორხელიძე:

# ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი საქართველოს უარეს პრობლემებში გახვევს!

***ცნობილი ანალიტიკოსი, პროფესორი დემურ გიორხელიძე საქართველოში შექმნილ უმძიმეს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, დემოგრაფიულ და ეკონომიკურ სიტუაციას მიმოიხილავს და განგაშის ზარებს არისხებს:***

— ის, რასაც დღეს **სალომე ზურაბიშვილი** ლაპარაკობს და აკეთებს, ქართული სახელმწიფოსათვის რაიმე სარგებლის მოტანას გამორიცხავს. მისი განცხადებები პუტინთან და **სი ძინპინთან** დაკავშირებით იმის აშკარა დასტურია, რომ საქართველოს პრეზიდენტს პოლიტიკური აზროვნების უნარი არ გააჩნია და არც ის იცის, მსოფლიოში რა ხდება!

**— იქნებ, სალომე ზურაბიშვილმა ყველაფერი მშვენივრად იცის და შლეგად მოაქვს თავი?**

— სალომე ზურაბიშვილმა რა იცის და რა — არა, ნაკლებად მნიშვნელოვანია. მთავარი ის გახლავთ, რომ ოცდაათი წლის განმავლობაში ქართველები თავის სამშობლოს უდიერად ეპყრობიან. დღეს სალომე ზურაბიშვილი ყველაზე დიდი მარიონეტია. აკი, ამერიკაც პირდაპირ გვეუბნება, რომ მის ინტერესებში არ შედის საქართველოს ნორმალური ურთიერთობა რუსეთთან, ჩინეთთან, ირანთან და თურქეთთან.

**— თუ ჩვენ ამერიკელების ამ მოწოდებებსა და გაფრთხილებებს არ გავითვალისწინებთ, მაშინ რა შეიძლება მოხდეს?**

— მაშინ მოხდება ის, რომ საქართველოდან მოსახლეობის გასვლის ტენდენციები კიდევ უფრო გაძლიერდება და ერთ მშვენიერ დღეს მივაღწევთ ე.წ. „არდაბრუნების წერტილს“, როცა ქართველები ოფიციალურად გათავისუფლდებიან ამ ქვეყნის მოვლა-პატრონობისაგან!

**— ასე ცუდად არის ჩვენი საქმე?**

— ჩვენი საქმე ცუდად კი არა, კატასტროფულად არის! **შარშან საქართველოში ორსული ქალების მხოლოდ 30 პროცენტი იყო ქართველი! ეს, იცით, რას ნიშნავს?** საქართველოში ყოველი სამი დაბადებული ბავშვიდან მხოლოდ ერთია ქართველი, ხოლო ორი — არაქართველი! ქართველები ვერა და ვერ ხვდებიან, თუ რატომ უპირისპირდებიან რუსები და ამერიკელები ერთმანეთს. მიმდინარეობს დაუნდობელი ბრძოლა, რათა რუსეთი კავკასიიდან და შუა აზიიდან გააძევონ. ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობა, ე.წ. „ვარდების რევოლუცია“, 2008 წლის აგვისტოს ომი და უკრაინის ომი ამ დიდი გეოპოლიტიკური ჩანაფიქრის შედეგია.

**— ფაქტია, რომ 2019 წლის 20-21 ივნისის ღამეს და 2023 წლის 7-8 მარტს ამ ხელისუფლებას სწორედ ამერიკელების ხელდასხმით ამხობდნენ. როგორ ფიქრობთ, ხელისუფლების დამხობის გეგმა ისევ ძალაშია?**

— გადატრიალების გეგმა ძა-

# კარგად დაახვიეთ ეგ მანიფესტი!



**ვინიტუ მიხჩუჩუნას** საშინაო და საგარეო წარმომადგენელს ჰკითხეს — **მანიფესტში „ნაცმოძრაობის“ მიერ დახოცილ ხალხზე საერთოდ არაფერია ნათქვამი, ცოტა უხერხული ხომ არ არის, თქვენ და სააკაშვილი ადამიანის უფლებებზე რომ ლაპარაკობთო?**

ამანაც თავი შორს დაიჭირა — ახლა მაგაზე საუბრის დრო არ არის, სხვა დროისთვის გადავდოთო.

☺

აბა, უყურეთ! — **დღეს ვზეიმობთ, მაგ თემაზე ნუ ვილაპარაკებთო...**

მაშ, კაცო, ახლა რა დროს **ბუტა რობაქიძე და სანდრო გირგვლიანია?** რაღა დროს ის **აჭარელი ბიჭებია,** ნავთლუღში რომ ჩახოცეს ახალაიებმა? რაღა დროს ის **170 ახალგაზრდაა,** ქუჩაში რომ ჩააჭედეს ტყვიები? **რაღა დროს ის პატიმრებია, პირდაპირ ციხეებიდან რომ გაისტუმრეს საიქიოში?**

ჰა, ვიღას რაში სჭირდება იმათი გახსენება, ახლა ხომ ჩვენი ევროპული მომავლის ბედი წყდება?

დიახ, სწორედ ასე უპასუხა **ვინიტუ მიხჩუჩუნას** წარმომადგენელმა ჟურნალისტებს — **ჩვენ ხომ ახლა მხოლოდ ევროპულ მომავალზე ვსაუბრობთო? ჩემი და თქვენი შვილები ხომ იმსახურებენ ევროპულ მომავალსო?**

ჯაფარიძის ქალოოოოოო!

**განა ბუტა რობაქიძე არ იმსახურებდა ევროპულ მომავალს?**

**განა სანდრო გირგვლიანი არ იმსახურებდა ევროპულ მომავალს?**

**განა სხვები არ იმსახურებდნენ ევროპულ მომავალს?**

იმსახურებდნენ იმაზე მეტად, ვიდრე შენ და შენი ნაცილაკები!

ჰოდა, უკაცრავად, მაგრამ **კარგად დაახვიეთ ეგ მანიფესტი...**




# არსაყურებლები

წინა რიგში **ზუბაზ სანიკიძე** ესვენა. წამყვანმა ამოიკვნესა — **არცერთი დარბაზი არ მოგვაქირავეს იმიტომ, რომ ქოცების რეჟიმში ვცხოვრობთ, მაგრამ არაუშავს, ჩვენ ქუჩაზე ისევ დადგება გაზაფხულიო.**

**თინა ბოკუჩავამ** ამოიჩხავლა — **მე ვარდების რევოლუციას ვუყურე მასაჩუსეტში, აღვფრთოვანდი და ამიტომაც დავბრუნდი სამშობლოშიო.**

შემდეგ **კუბილიუსის** კუბო შემოაგორეს — **სტატუსი იქნება არა მთავრობისთვის, არამედ ხალხისთვისო.** (წატი, შენი-მეთქი!)

**ანა ფოტიგამაც** დაახლოებით იგივე იბლაყუნა — **სააკაშვილის მმართველობის პერიოდი იყო დაუჯერებელი იმედისა და სიხარულის დრო-ვო.**

**გია ჭანტურიამ** კვლავ წამოაწვინა არაერთი გამოკვლევებულობა — **მოდით, წარსული დავივიწყოთ** და ქვეყანას მივხედოთო. თუმცა, ორიოდ წუთის მერე დაიწყო... ამ ხელისუფლებამ ბევრ რამეს ბოლო მოუღო, მაგრამ უამრავი რამეა, რასაც ძვრა ვერ უყო, ვერ მოერიაო. ესენი რუსები არიან, მაგრამ მოსახლეობის 80 პროცენტს მაინც ევროპა უნდა, ესენი იანუკოვიჩობას ვერ ბედავენ, არ გამოსდითო.

(ტიპი რაღაცას აწვება, მაგრამ იმდენად იდიოტია, რომ ვერ აწვება).

ვინმე **ალ. კრევო-ასათიანი,** ზურაბიშვილის მრჩევლობიდან გამოქცეული იძახის, საქართველოში დაბრუნება ვარდების რევოლუციამ შთამაგონა, მაშინ პატარა ვიყავი, მაგრამ წალენჯიხიდან წამოსული ავტობუსი დღესაც უკან დამდევსო.

ლოთი **გია ხარჩილავაც** გამოეთრა სცენაზე — წალენჯიხის უმფროსი. მისი ღრმა რწმენით, 2003-ში წალენჯიხის მოსახლეობის ურყევი ნებით გამარჯვება დადგა, რის გამოც დღეს ოლიგარქიაზე გამარჯვებაც შესაძლებელია.

**კურკუმალ ვაითმა** — **რამდენიც არ უნდა გვეძახონ, რომ ცუდები ვართ, ჩვენ მაინც კარგები ვართო!**

**ჭიჭე ვაშაძემ — მიშა, ვიცი, გვიყურებ, შენთან ერთად მთელი საქართველო გავიმარჯვებთ... ამ დარბაზში ვერ ვეტევით, სპორტის სასახლე არ მოგვცეს, ვერის საკალათბურთო დარბაზზეც უარი გვითხრეს, მაგრამ არაუშავს, ჩვენი გამარჯვების ჟინს ვერავინ შეგვიჩერებსო.**

„კაროჩე“, რაააააააა!

ალბათ, შეამჩნიეთ, როგორ ჩაბნელებულ და ჩასისხლიანებულ დარბაზში ისხდნენ.. აბა, მკვლელებს და უქარქაშოებს სხვა გარემო მოუხდებოდათ?



გიორგი ხარჩილავა, გიორგი ვაშაძე, გიორგი ჭანტურია

# „ევროკავშირის 9 მოთხოვნა 9 ლახვარივით 9-ჯერ ჩაგვარტყეს მწარედ გულში და ამაზე ღირსეული პასუხია გასაცემი!“




ლოზუნგი თბილისში 2023 წლის 7-8 მარტს გამართული აქციიდან



**რამაზ გაგნიძე:**

# ევროკავშირის წევრობა ქართველი ერისათვის უმძიმესი სასჯელი იქნება!

*„დაიმახსოვრეთ — ევროკავშირის წევრობა ქართველი ერისთვის უმძიმესი სასჯელი იქნება!“* ***— ამ სკანდალური განცხადებით დაიწყო ჩვენთან საუბარი ორგანიზაცია „ქართული მისიის“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, სააკაშვილის რეჟიმის მიერ პოლიტრეპრესირებულმა რამაზ გაგნიძემ:***

— თითქმის 2 ათეული წელია, ჩვენზე გაცილებით უკეთესი მონაცემების მქონე ევროპის ქვეყნები დგანან ევროკავშირის კარიბჭესთან. მათ არ აღირსეს წევრის სტატუსი და ჩვენ რისი იმედი გვაქვს? და მეორეც — რა უხარიათ? **ნატოსაც და ევროკავშირსაც ჩვენ მხოლოდ საზარბაზნე ხორცად ვჭირდებით!** ისინი დასცინიან ქართულ ტრადიციებს, ცხოვრების წესს, დაუფარავად გვიკრიტიკებენ მართლმადიდებელი სარწმუნოების მიმართ ერთგულებას, ურტყამენ ჩვენს აგრობაზარს, მთლიანად ქართულ ეკონომიკასა და განათლებას... ვიზალიბერალიზაციის შემდეგ ევროკავშირს საქართველოს მოსახლეობისთვის მოსაწონი ნაბიჯი ერთხელაც არ გადაუდგამს და ეს ნაბიჯიც ზიანის მომტანი აღმოჩნდა, რადგან ხელი შეუწყო სამშობლოდან მოსახლეობის მასობრივად გახიზვნას!

**— რამდენად დაცული იქნება საქართველოს სუვერენიტეტი ევროკავშირში?**

**– საქართველო ევროკავშირში ვერასოდეს გაწევრდება, რადგან თავად მათ ჩვენ არ ვუნდივართ!**

ამას გარდა, არავინ გვპირდება ტერიტორიების აღდგენაში დახმარებას და სასწაული რომც მოხდეს და მიგვიღონ, იქ შესვლა სამაჩაბლოს და აფხაზეთის გარეშე მოგვიწევს, **იმის აღიარება მოგვიწევს, რომ ეს ტერიტორიები საქართველოსთვის სამუდამოდ დაიკარგა!**

წარმოგიდგენიათ — კანონი ვერ მიგვიღია, რომელიც ქვეყანაში უცხოეთის დაფინანსებულ აგენტურას გამოავლენს! ნებისმიერი ქვეყნისათვის ნებისმიერ კავშირში გაერთიანება რაღაც პრობლემებისგან თავის დაცვას ემსახურება, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში ისე გამოდის, თავი ევროკავშირისგან გვაქვს დასაცავი! საბჭოთა კავშირის კონსტიტუციაშიც კი, რომლის შემადგენლობაშიც, სულ რაღაც, 35 წლის წინათ ვიყავით, გარკვევით ეწერა, რომ ყველა ერის ტრადიციები, ცხოვრების წესი, ღირებულებები, სარწმუნოება, ისტორიული და ეროვნული კულტურის ყოველი მონაპოვარი სახელმწიფოს მხრიდან ხელშეუხებელი, მეტიც — დაცული და მოფრთხილების ობიექტი უნდა ყოფილიყო. ასე იყო კიდეც!

დღეს ჩვენ თავს გვახვევენ, დავუშვათ მამათმავლური აღლუმები, რაც პრინციპულად მიუღებელია ქართული ეროვნული მენტალიტეტისა და მართლმადიდებელი სარწმუნოების მიმდევარისთვის! უფრო მეტიც, ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსს 9 იმგვარი მოთხოვნა მოაყოლეს, რაც პირდაპირ ლახავს ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტს.

ზოგადად, ევროკავშირის ეს **9 მოთხოვნა** არის ნებისმიერი თავმოყვარე ქართველის, მისი ცხოვრების წესის გაუკუღმართების მცდელობა! ევროკავშირის **9 მოთხოვნა 9 ლახვარივით 9-ჯერ ჩაგვარტყეს** მწარედ გულში და ამაზე ღირსეული პასუხია გასაცემი! ჩვენ კი ვყრიამულობთ — აქაოდა, კანდიდატის სტატუსს გვაძლევენ! რაც ჩვენს თავს ხდება, დემოკრატიასთან არაფერი აქვს საერთო, ეს პირდაპირ უზნეობის დიქტატურაა, რომლის საქართველოში განვრცობა არ უნდა დავუშვათ. ევროკავშირი თავისი წესებით — პედორასტული *(ცენზურა ჩვენია. რედ.)* კავშირია, სადაც არაფერი გვესაქმება! სწორედ ამიტომ

**კანდიდატის სტატუსი წახალისებად კი არა, სასჯელად უნდა მიგვაჩნდეს!**

**— გამორიცხავთ, რომ ევროკავშირი სამართლიანობის აღდგენაში ქართველ ხალხს ამ კავშირში გაწევრების მერე მაინც დაეხმაროს?**

— პირდაპირ გეუბნებით — ევროკავშირი თავად არის ქართველი ხალხის წინააღმდეგ განხორციელებული რეპრესიების თანამონაწილე, რომელიც სათავეს სააკაშვილისა და მისი პატრონების ბინძურ წარმოსახვებში იღებს.

ათასწლეულების განმავლობაში ჭირვარამგამოვლილ, სამართლიანობაზე და ზნეობაზე ორიენტირებულ გმირ ქართველ ერს იმ უზნეო ჯოჯოხეთში არაფერი ესაქმება!

*ესაუბრა*
***ზაზა დავითაია***




# „ნატოსაც და ევროკავშირსაც ჩვენ მხოლოდ საზარბაზნე ხორცად ვჭირდებით!“

ლაშია და მას კანდიდატის სტატუსის მონიჭებაც ვერ შეაჩერებს, რადგან, ამერიკელთა გეგმით, საჭიროა ისეთი ხელისუფლება, რომელიც აბსოლუტურად მართვადი და მარიონეტი იქნება! დღევანდელი ხელისუფლება ორ სკამზე ზის და კარგად ვერ აცნობიერებს მთავარ გეოპოლიტიკურ მოთამაშეთა ინტერესებს. უფრო მეტიც, 700 წელია, საქართველოს საგარეო პოლიტიკა კატასტროფულად მცდარია და მას საფუძვლად გეოპოლიტიკური უვიცობა უდევს, რომელმაც ქვეყანა საშინელ დანაკარგებამდე მიიყვანა!

**— მაშინ როგორი უნდა იყოს ჩვენი საგარეო პოლიტიკური ვექტორი?**

— საქართველომ ნეიტრალიტეტი შეინარჩუნა უკრაინის ომში და ქვეყანა უბედურებაში არ გაეხვია, რაც ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება იყო. ამდენად, ამ გეოპოლიტიკურ დაპირისპირებაში ევროპა აქეთ შეგვეხვეწება, ევროსტატუსი მივიღოთ! მთავარი ის არის, ეს სტატუსი რაში გვჭირდება? ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი არაფრის მომცემია, რომელიც საქართველოს კიდევ უარეს პრობლემებში გახვევს! არსებობს ერთი მყარი მოცემულობაც — **ისეთ გეოპოლიტიკურ ჯუჯასა და მარიონეტს, როგორიც ევროკავშირია, სამხრეთ კავკასიაში, რომელიც რუსეთისა და ამერიკის დაპირისპირების ერთ-ერთი ცენტრალური არეალია, არავინ შემოუშვებს!**

**— მაშინ რა გამოდის, ოპოზიციაც და ხელისუფლებაც ხალხს ატყუებენ?**

— ამერიკელებმა და ევროპელებმა შესანიშნავად იციან, რომ საქართველოს ნატოში არასდროს მიიღებენ ისევე, როგორც არ მიიღებენ უკრაინას, მაგრამ ისინი შეგნებულად მიდიან ტვინების გამორეცხვის პოლიტიკაზე. მათ დაღუპეს ამოდენა უკრაინა და არ არსებობს კაცი, რომელიც სერიოზულად დაგვითვლის, რა სარგებელს მოუტანს საქართველოს ან ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი, ანდა თუნდაც მისი წევრობა? მიმოიხედეთ ირგვლივ — უკვე 2 მილიონზე მეტი ქართველია ქვეყნის გარეთ! 2021 წლის მონაცემებით, საქართველოში ცხოვრობდა 3 მილიონ 703 ათასი კაცი. 2022 წელს ეს რიცხვი გაზრდილია 40 ათასით. **როგორ ფიქრობთ, ქართველმა ქალებმა დაბადეს ეს 40 ათასი ბავშვი?** ოჯახები ყველაფერს უცხოელებზე ყიდიან და საქართველოდან მიდიან. როგორ ფიქრობთ, ევროკავშირი ასეთი პრობლემების წინაშე მდგარ ქვეყანას იმის საშუალებას მისცემს, რომ საკუთარი დემოგრაფია გამოასწოროს და მეცნიერება განავითაროს? **ბოლონიის სისტემამ ხომ საერთოდ დაანგრია ქართული განათლება!** ქართველი კაცი ისე გამოტვინდა, მიწას უცხოელზე ყიდის და თავს ინუგეშებს — მიწას ზურგზე ხომ ვერ მოიკიდებენო?!

**— ანუ გადატრიალების მცდელობათა კასკადს ისევ უნდა ველოდოთ?**

— დიახ, გეგმა გადატრიალების შესახებ ძალაშია, რადგან დასავლეთსა და რუსეთს შორის რეალური დაპირისპირება ახალი დაწყებულია და ომის უმწვავესი ფაზები ჯერ კიდევ წინა გვაქვს! რაკი საკუთარ ქვეყანას ვერ ვუვლით, ამერიკასაც და რუსეთსაც ყოველთვის ექნებათ მცდელობა, მოაწყონ გადატრიალება და ხელისუფლებაში მოიყვანონ მარიონეტები, რომლებსაც ყველაფერს გააკეთებინებენ!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

*დასაწყისი იხ. „ა–დ“. 2023 წლის №11–50*



***ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ИГОР КВЕСЕЛАВА***

# იგორ კვესელავა:

# უნდა დაწყებულიყო წყალსადენის მშენებლობა და 1 ლიტრი ქართული მტკნარი წყალი გაცვლილიყო 1 ლიტრ არაბულ ბენზინში!

***იმ წინააღმდეგობასა და დაპირისპირებაზე საუბრობს, რომელიც ხუნტის ბუნაგში შევარდნაძეს, სიგუას, კიტოვანსა და იოსელიანს შორის თავიდანვე არსებობდა:***

— **შევარდნაძე** თავადაც იბრალებდა და დღემდე სხვებიც აბრალებენ ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობას, მაგრამ სინამდვილეში ეს პროექტიც **ზვიად გამსახურდიას** სახელთან გახლავთ დაკავშირებული. იმ უმცირეს და დაძაბულ დროში, როცა საქართველოს მართავდა, **ზვიად გამსახურდიამ** საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარეს **ვარძელაშვილს** დაავალა, ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის საკითხი გაეაქტიურებინა. პარალელურად **საქართველოში ჩამოვიდნენ არაბთა გაერთიანებული საამიროების ოფიციალური წარმომადგენლები – მილიარდერები და მილიონერები და ზვიად გამსახურდიას შესთავაზეს უზარმაზარი წყალსადენის მშენებლობა, რომელსაც, ფაქტობრივად, მთელი არაბული სამყარო ქართული მტკნარი წყლით უნდა მოემარაგებინა!**

**მომზადდა პროექტი, რომლის თანახმადაც აწყურში არაბებს უნდა აეშენებინათ ულტრათანამედროვე, ევროპული ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასმელი წყლის ჩამოსასხმელი ქარხანა.** დისტრიბუციასა და რეალიზაციას თავის თავზე იღებდა არაბული მხარე. პარალელურად უნდა დაწყებულიყო წყალსადენის მშენებლობა და **1 ლიტრი ქართული მტკნარი წყალი უნდა გაცვლილიყო 1 ლიტრ არაბულ ბენზინში.** მოკლედ, საქართველოში საწვავის პრობლემა იხსნებოდა და ქვეყანას უდიდესი პერსპექტივები უჩნდებოდა. რაც მთავარია, აწყურის ქარხანაში დაახლოებით 2 ათასზე მეტი ქართველი უნდა დასაქმებულიყო მაღალი ხელფასით. **როგორც კი საქართველოში სიტუაცია აირია და ქვეყანას ბანდიტები დაეპატრონნენ, ეს პროექტი ჩავარდა!**

**— რა ფუნქციები ჰქონდათ ჯაბა იოსელიანსა და თენგიზ კიტოვანს შევარდნაძის გარემოცვაში?**

— წინა კვირას კიტოვანი მოკვდა. საქართველოში ადამიანი ამ ქვეყანას როცა ტოვებს, იმაზე იტყვიან, გარდაიცვალაო! კიტოვანიც, იოსელიანიც, სიგუაც და შევარდნაძეც არ გარდაცვლილან, ისინი სიცოცხლეშივე მოკვდნენ. რაც შეეხება თქვენს შეკითხვას, **ჯაბა იოსელიანი** თავიდან ბოლომდე შევარდნაძისა და მისი ხელისბიჭის, აბაშის რაიკომის ყოფილი მდივნის, შევარდნაძის „მოლარის“ **გურამ მგელაძის** პროექტი იყო.

შევარდნაძის დავალებით, გურამ მგელაძე „მხედრიონს“ ჯერ ეროვნული მოძრაობის კრიმინალიზაციისა და შემდეგ სამეგრელოს გადაჯეგვის მიზნით აძლიერებდა. ჯაბასგან განსხვავებით, **თენგიზ კიტოვანმა,** რომელსაც კარგი და ღირსეული მამა ჰყავდა, ზვიად გამსახურდიას გარემოცვაში შეღწევა შეძლო. თენგიზის მამა — **შოთა კიტოვანი** თამარ მეფის საფლავს მცხეთის ჯვრის მიდამოებში ეძებდა და არქეოლოგიური გათხრების წარმოებას გეგმავდა. კიტოვანს სიგუამ აურია გონება, თორემ ის **ზვიად გამსახურდიასთან** დათმობაზე წამსვლელი იყო... ეს კარგად ჩანს აკადემიკოს **ელიზბარ ჯაველიძის** მოგონებებიდანაც, როცა ის, **ლერი გამრეკლიძე, ჯემალ გოლეთიანი** და კიდევ რამდენიმე პიროვნება რკონის ტყეში გასულ კიტოვანთან მივიდნენ და განდგომილ სარდალს შეხვდნენ. რამდენიმესაათიანი მოლაპარაკების შემდეგ იგი **ელიზბარ ჯაველიძესა** და დანარჩენ დეპუტატებს მანქანაშიც კი ჩაუჯდა და ზვიადთან მოსალაპარაკებლად გაჰყვა, მაგრამ მოულოდნელად მანქანა გააჩერეს და ერთ-ერთმა გვარდიელმა კიტოვანს გადასცა **სიგუას წერილი** — *„არ წახვიდე, თორემ ზვიადი დაგაპატიმრებს!“*



ფაქტობრივად, შემორიგებული კიტოვანი ზვიად გამსახურდიას მიერ რკონში წარგზავნილ შუამავლებს მანქანიდან გადმოუხტა და ყველაფერი თავდაყირა დადგა. **აკაკი ასათიანის** შუამავლობით, თბილისის ზღვაზე გასული კიტოვანი ზვიად გამსახურდიას ერთხელ კაბინეტშიც კი შეხვდა და სიგუას დანაბარები გადასცა — თბილისის მერად დამნიშნოსო! თბილისს მერი უკვე ჰყავდა და ეს წინადადება ზვიად გამსახურდიას მიერ უარყოფილი იქნა.

ცნობისათვის, **თენგიზ კიტოვანი და ჯაბა იოსელიანი** ერთმანეთს ვერ იტანდნენ. ჯაბამ, რომელიც თავიდან ბოლომდე შევარდნაძის სამსახურში იდგა და მის ყველაზე ერთგულ დასაყრდენად რჩებოდა, თბილისში, რიყეზე, ერთ-ერთ რესტორანში, სადაც **კიტოვანი** ხშირად ქეიფობდა, მოსასმენი აპარატურა დაამონტაჟებინა! **კიტოვანი** რასაც იტყოდა, ჯაბამ და შევარდნაძემ ყველაფერი იცოდნენ. აი, ამ დონეზე იყო მათ შორის ვითარება დაძაბული.

**— რა იყო ამ დაძაბულობის მიზეზი?**

— დაძაბულობის მიზეზი, ალბათ, მაინც ის იყო, რომ **თენგიზ კიტოვანი** არა შევარდნაძის, არამედ უშუალოდ **თენგიზ სიგუას** ფრთას წარმოადგენდა. ისინი ერთად აუჯანყდნენ ზვიადს. 1990 წლის 29 ოქტომბერს, ისტორიული არჩევნების მეორე დღეს, ქართველი ხალხისთვის მადლობის გადასახდელად გამართულ მიტინგზე „მხედრიონის“ წევრებმა გამსახურდიაზე იერიში მიიტანეს და გაისროლეს. აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ 1990 წლის 14 ნოემბერს, როცა უზენაესი საბჭოს პირველი სესია გაიხსნა, „მხედრიონმა“ მთელი კახეთი დააწიოკა და მილიციის რაიონულ განყოფილებებზე თავდასხმაც განახორციელა. საქართველოს დამაქცევრებს შორის მოსკოვიდან შევარდნაძის თბილისში ჩამოყვანას **ჯაბა იოსელიანზე** უფრო გულმხურვალე მხარდამჭერი არ ჰყოლია, რასაც **თენგიზ სიგუაზე** ვერ ვიტყვით. სიგუას, რომელიც ჯერ მეტალურგიის ინსტიტუტის დირექტორი იყო და შემდეგ ცეკამ „რუსთაველის საზოგადოებაში“ გადმოიყვანა, რათა ეროვნულ მოძრაობაში შემოეპარებინათ, გადატრიალების შემდეგ საქართველო თავისთვის უნდოდა და არა შევარდნაძისთვის.

ძალიან ახლოს ვმეგობრობდი თენგიზ სიგუას სიმამრთან, პროფესორ **გრიგოლ ჟვანიასთან.** ამავდროულად სიგუა ჩემი მეზობელიც იყო და ხშირად მიწევდა მის ოჯახში სუფრასთან ყოფნა, სადაც მისი დიდებული მეუღლე, ქალბატონი **ნინო ჟვანია** შესანიშნავ მასპინძლობას გვიწევდა.

**გრიგოლ ჟვანიამ** იცოდა ჩემი უარყოფითი დამოკიდებულების შესახებ სისხლით მოსულ ხელისუფლებაზე და სულ მაფრთხილებდა — **შეეშვი, თავი გაანებეო!** ეტყობა, ის თავის სიძეს — **თენგიზ სიგუას** ჩემი პოლიტიკური მრწამსის შესახებ არაფერსეუბნებოდა, რაც საშუალებას მაძლევდა, ახლოს გავცნობოდი სტუმართა იმ სპექტრს, რომელიც სიგუას ოჯახში იყრიდა თავს. ამ მხრივ გამოვარჩევ მწერალ **გურამ გეგეშიძეს,** მწერალ **გურამ ფანჯიკიძეს, ვახუშტი კოტეტიშვილს,** მღვდელ **როსტომ ლორთქიფანიძეს,** რომელიც კომუნისტების სიით საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრი იყო. ერთ-ერთი ასეთი შეხვედრის დროს **თენგიზ სიგუა** წამოდგა და მაჩვე-



> **„ჯაბა კიტოვანს თავიდან ბოლომდე დაეთანხმა, მაგრამ დაამატა – აფხაზეთში შესვლა საჭიროა იმიტომ, რომ მაგათ ჭკუა ვასწავლოთ სამეგრელოში!“**

## კვირგვინოსნები

**ზურაბ ნოღაიდელი**
*საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი*



2005 წელს საკითხი იქნა განხილული უშიშროების საბჭოს სხდომაზე ჩემი თანდასწრებით. შესაბამისად, **იქ დაისვა საკითხი, რომ დავითგარეჯის ის ნაწილები, რომელზეც აქ მიმდინარეობს საუბარი, არის შანსი თუ არა, რომ იყოს საქართველოს შემადგენლობაში.** კომისიის თავმჯდომარემ უშიშროების საბჭოს მაშინ მისცა განმარტება, რომ, **ჩვენს ხელთ არსებული ყველა საბუთის, დოკუმენტის და რუკის მიხედვით, ნებისმიერ შემთხვევაში ეს რჩება აზერბაიჯანის მხარეს. მალხაზ მიქელაძე** იყო თავმჯდომარე. ჩვენი ამოცანა გახდა, რომ მონასტერი შენარჩუნებულიყო როგორც ქართული მონასტერი, ეს იყო ჩვენს წინაშე დაყენებული ფაქტობრივი ამოცანა. **უშიშროების საბჭოს მართავდა მაშინდელი პრეზიდენტი, ეს იყო მისი უფლებამოსილება, პასუხისმგებლობა და გადაწყვეტილებას მხოლოდ პრეზიდენტი იღებდა.**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**მიხეილ სალუქვაძე**
*მელაშვილისა და ოქრუაშვილის საქმის პროკურორი*



**ზურაბ ნოღაიდელის** ჩვენება ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რადგან დაიკითხა ყოფილი პრემიერ-მინისტრი, რომელმაც **ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად განაცხადა, რომ დავითგარეჯის კომპლექსის მიმდებარე ტერიტორიის და, მთლიანად, სასაზღვრო ზოლის საკითხები საქართველოს იმჟამინდელი პრეზიდენტის ექსკლუზიური კომპეტენცია, უფლებამოსილება იყო.**

„ინტერპრესნიუსი“

**პაველ ჰერჩინსკი**
*საქართველოში ევროკავშირის ელჩი*



**სააკაშვილის** თუ სხვების **შეწყალების ან არშეწყალების** გადაწყვეტილება მხოლოდ **საქართველოს პრეზიდენტის ხელშია.**

„რეზონანსი“

**ზაალ ანჯაფარიძე**
*ანალიტიკოსი*



**სალომე ზურაბიშვილი** სწრაფი ტემპით ეშვება **პოლიტიკურ ჭაობში.** ვფიქრობ, მას დახმარება სჭირდება, ოღონდ **არა ჭაობიდან ამოსაყვანად, არამედ ბოლომდე ჩასაძირად!**

„საერთო გაზეთი“

# „1992 წლის 2 აგვისტოს სტენოგრამის თანახმად, საიდუმლო თათბირზე შევარდნაძემ იკითხა — „შევიდეთ თუ არა აფხაზეთში?“ შეკითხვას კიტოვანმა უპასუხა — იქ ზვიადისტები არიან, მათი განადგურება და წესრიგის დამყარება აუცილებელია!“

ნა ელცინთან ერთად გადაღებული ფოტოსურათი. სიგუამ გაიხსენა — ეს ფოტო მოსკოვში მაშინ გადავიღეთ, როცა გამსახურდიას ხელისუფლების პრემიერ-მინისტრი ვიყავი. მაშინ ბევრ რამეზე ვილაპარაკეთ და **ბორის ელცინმა** პირდაპირ მითხრა — **ზვიად გამსახურდიასთან რაიმე სახის ურთიერთობა შეუძლებელია, ხოლო შენთან ყველაფერი შესაძლებელიაო!**

**— როდის შედგა ეს ლაპარაკი?**

— როგორც **სიგუა** მეუბნებოდა, ეს მოხდა მის გადადგომამდე დიდი ხნით ადრე. სხვათაშორის, ზვიად გამსახურდიას დამხობამდე, მაშინ, **როცა საქართველოს დამოუკიდებლობა სულ ახალი გამოცხადებული ჰქონდა, მოსკოვში ზვიად გამსახურდიას მკვლელობა დაიგეგმა.** ამ გეგმის დეტალები ჩემთვის უცნობია და არც ის ვიცი, იყო თუ არა ამ ყველაფერში გარეული ედუარდ შევარდნაძე, მაგრამ ინფორმაციამ მოსალოდნელი ტერაქტის შესახებ გაჟონა და საფრანგეთის დაზვერვამ ზვიად გამსახურდია შუამავლების მეშვეობით გააფრთხილა.

ერთი სიტყვით, როგორც **სიგუას** ნაამბობიდან ჩემთვის ცნობილი გახდა, მისი გადაბირება ლოთმა **ბორის ელცინმა** მოახერხა, როცა მასში პირველკაცობის ამბიციები გააღვიძა და უთხრა — გამსახურდიასთან დალაპარაკება შეუძლებელია, მაგრამ შენთან შესაძლებელიაო! სიგუას საქართველოს პრეზიდენტობის ამბიცია ჰქონდა და ამ ბრძოლაში კიტოვანი მისი ერთგული მოკავშირე იყო. როცა შევარდნაძე საქართველოში ჩამოიყვანეს, უნდოდა თუ არა, მაშინვე შეუდგა „მხედრიონისა“ და ჯაბა იოსელიანის გაძლიერებას. ჯაბა მას სამეგრელოს ასაწიოკებლად და მიტინგების დასარბევად სჭირდებოდა. რაც შეეხება კიტოვანს, იგი შევარდნაძეს თავიდანვე აგდებულად ეკიდებოდა და ედუარდის მიერ დანიშნულ თათბირებზე განგებ აგვიანებდა. ზუსტად ვიცი, რომ **ყოფილა შემთხვევები, როცა შევარდნაძე ორი-სამი საათის განმავლობაში ელოდებოდა თათბირზე კიტოვანის მისვლას, რომელიც განგებ აგვიანებდა და ამით შევარდნაძეს აბუჩად იგდებდა.** მსგავს რამეს შევარდნაძეს კომუნისტების დროს ვერავინ გაუბედავდა, მაგრამ ახლა უბედავდნენ, რადგან კიტოვანიც და სიგუაც მიიჩნევდნენ, რომ ედუარდი სწორედ მათ ჩამოიყვანეს!

**— თქვენ დიდი ხანია, საუბრობთ „კაგებეს“ ორასკაციან კარტოთეკაზე, რომელიც გაქვთ! მთლიანად თუ არა, პორციობით, ნელ-ნელა მაინც გამოვაქვეყნოთ ეს სია, რათა საზოგადოებამ გაიგოს, ვინ სად იდგა და რას ემსახურებოდა!**

— კიდევ ერთხელ გიდასტურებთ, რომ „კაგებეს“ ორასკაციანი სია ნამდვილად მაქვს და მზად ვარ, ნებისმიერ დროს გადმოგცეთ გამოსაქვეყნებლად! მივუბრუნდეთ „მხედრიონს“, რომელიც შევარდნაძეს არა საომრად, არამედ ზვიადისტური ძალების დასარბევად და ამოსაშანთად ჰყავდა შექმნილი... ედუარდმა „მხედრიონის“ ლაშქრობების შედეგად სამეგრელოზე კონტროლი დაამყარა, მაგრამ ზვიადისტური ძალები ვერ გაანადგურა, რადგან ისინი აფხაზეთში გადავიდნენ და ხუნტის ძალებს იქიდან დაუწყეს ბრძოლა. ხუნტის ჯარების მიერ ზუგდიდის აღების შემდეგ სოხუმი გახდა ზვიადისტური ძალების მთავარი შტაბი. სოხუმში მყოფ ზვიადისტებს **არძინბას** ლეგიტიმური ხელისუფლებაც უჭერდა მხარს, რადგან არძინბას ზვიადის შიში ჰქონდა. ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ

**აფხაზები, ზოგადად, გამსახურდიას დიდ პატივს სცემდნენ და „ნაშ პრეზიდენტს“ ეძახდნენ. აუცილებელი იყო ისეთი სცენარის შემუშავება, რომელიც შევარდნაძეს ლეგიტიმურ საფუძველს მისცემდა, თავისი ბანდები ენგურს გაღმა, აფხაზეთშიც გადაესროლა და სამეგრელოს მსგავსად, ზვიადისტები აელაგმა.**

ამ მიზნის მისაღწევად **შევარდნაძემ** თავის უშიშროების სამსახურებს საიდუმლო განკარგულება მისცა და დაავალა, დივერსიული და ბანდიტური ჯგუფების შექმნა, რომლებიც აფხაზეთში რუსეთიდან სომხეთისა და აზერბაიჯანისკენ მომავალი სარკინიგზო ტვირთების ძარცვა-გლეჯასა და გატაცებას დაიწყებდნენ ანდა რკინიგზაზე აფეთქებებს მოახდენდნენ. ეს ყველაფერი უნდა დაბრალებოდა **ზვიად გამსახურდიასა და მის მომხრეებს,** რის საფუძველზეც შევარდნაძე აფხაზეთში შევიდოდა და „რკინიგზაზე წესრიგს დაამყარებდა!“ თუ სამეგრელოში „წესრიგის დამყარების“ მისია შევარდნაძემ **ჯაბა იოსელიანს** დააკისრა, აფხაზეთში ეს ფუნქცია **თენგიზ კიტოვანს** უნდა ეტვირთა!

**— თუმცა, შევარდნაძემ საერთაშორისო ნიადაგიც მოუმზადა აფხაზეთში ლაშქრობის დაწყებას!**

— დიახ, რუსებიც, სომხებიც და აზერბაიჯანელებიც მან ძალიან ადვილად „დაარწმუნა“, რომ აფხაზეთში „რკინიგზის გასაკონტროლებლად“ აპირებდა შესვლას!

**— შევარდნაძე აფხაზეთის ომის შემდეგ მთელი დარჩენილი ცხოვრება ამტკიცებდა, რომ კიტოვანმა არ დაუჯერა და აფხაზეთში თვითნებურად შეიჭრა!**

— ეს ტყუილია! არსებობს სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 2, 10 და 14 აგვისტოს სხდომების სტენოგრამა, სადაც შავით თეთრზე წერია, რომ აფხაზეთში ომის გაჩაღების ინიციატორი სწორედ შევარდნაძე იყო. მას მხარს უჭერდნენ **კიტოვანი და იოსელიანი,** ხოლო ეწინააღმდეგებოდა **სიგუა!** 1992 წლის 2 აგვისტოს სხდომის სტენოგრამა ჩემს არქივში ინახება. ეს გახლდათ ძალიან გასაიდუმლოებული შეკრება, რომელსაც ესწრებოდა საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის თავმჯდომარე, უწესიერესი და უვაჟკაცესი კაცი, ნამდვილი მამულიშვილი **რემი ვაშაკიძე.** 1992 წლის 2 აგვისტოს სტენოგრამის თანახმად, საიდუმლო თათბირზე შევარდნაძემ იკითხა — **„შევიდეთ თუ არა აფხაზეთში?“** შეკითხვას კიტოვანმა ასე უპასუხა — **იქ ზვიადისტები არიან, მათი განადგურება და წესრიგის დამყარება აუცილებელია! ზვიადს იქ ბევრი მომხრე ჰყავს, ზვიადს მომხრეები ჰყავს იქაურ მთავრობაშიც, ამიტომ აფხაზებს ჭკუა უნდა ვასწავლოთ!**

**— ჯაბა იოსელიანის პასუხი როგორი იყო?**

— ჯაბა კიტოვანს თავიდან ბოლომდე დაეთანხმა, მაგრამ დაამატა — **აფხაზეთში შესვლა საჭიროა იმიტომ, რომ მაგათ ჭკუა ვასწავლოთ სამეგრელოში!** სამეგრელოში არის ზვიადისტების დიდი გუნდი, რომლებიც მიდიან და მოდიან და იარაღებით მარაგდებიან. სანამ ზვიადისტები სამეგრელოსა და აფხაზეთში იქნებიან, შესაძლოა, ზვიად გამსახურდიამ აღადგინოს თავისი ხელისუფლება, ამიტომ აფხაზეთში უნდა შევიდეთ!

**— სიგუამ რა თქვა?**

— **თენგიზ სიგუამ** განაცხადა: **აფხაზეთში შესვლა არ შეიძლება, რადგან ეს პრობლემა რუსეთთან არის დაკავშირებული!** აფხაზეთში ჯარის შეყვანას მხარი არ დაუჭირა არც **რემი ვაშაკიძემ,** რომელმაც რკინიგზაზე წესრიგის დასამყარებლად შევარდნაძეს მხოლოდ 25 ერთეული ავტომატი მოსთხოვა და განუცხადა — ამდენი იარაღი მომეცით და ჩემი, რკინიგზის ძალებით აღვადგენ რკინიგზაზე წესრიგსო! აზრი გამოთქვა გენერალური შტაბის უფროსმა, გენერალმა **ავთანდილ ცქიტიშვილმაც,** რომელიც აფხაზეთში შესვლას დაეთანხმა!

1992 წლის 10 აგვისტოს **შევარდნაძემ** მეორე საიდუმლო სხდომა მოიწვია, სადაც მოისმინეს 2 აგვისტოს მიღებული გადაწყვეტილების შესრულების მიმდინარეობა. ყველაზე საინტერესო ამ დროს იცით, რა მოხდა? **1992 წლის 2 აგვისტოდან 10 აგვისტოს ჩათვლით** აფხაზეთის რკინიგზაზე თავდასხმებმა ტოტალური და შეუჩერებელი სახე მიიღო. ცხადია, ამას შევარდნაძე აკეთებდა, რომელსაც თავისი საიდუმლო სამსახურებისთვის დავალება ჰქონდა მიცემული — ასე და ასე მოიქეცითო! სწორედ 1992 წლის 10 აგვისტოს საიდუმლო სხდომაზე შევარდნაძემ მიიღო გადაწყვეტილება და გენშტაბის უფროსს, გენერალ **ავთანდილ ცქიტიშვილს** დაავალა, აფხაზეთში შესასვლელად ლაშქარი მოემზადებინა! ამავე სხდომაზე **კიტოვანს** მიეცა განკარგულება, ახალციხის დივიზიის 32 ტანკი ჩამოეყვანა და მოემზადებინა აფხაზეთში შესასვლელად! **აი, ასე გადაწყდა 1992 წლის 14 აგვისტოს აფხაზეთში ტანკებით შესვლა და უბედურების დაწყება!**

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***





**„ყოფილა შემთხვევები, როცა შევარდნაძე ორი-სამი საათის განმავლობაში ელოდებოდა თათბირზე კიტოვანის მისვლას, რომელიც განგებ აგვიანებდა და ამით შევარდნაძეს აბუჩად იგდებდა!“**



## კვირგვინოსნები

**ელი ბაბაევი**

*საქართველოს აზერბაიჯანელთა ეროვნული კონგრესის თავმჯდომარე*



**ომები უნდა დასრულდეს დედამიწაზე.** ყველანაირი საკითხი უნდა გადაწყდეს მოლაპარაკების მაგიდასთან და, რა თქმა უნდა, **ჩვენც უნდა დავიწყოთ ნელ-ნელა მოლაპარაკება აფხაზ და ოს ძმებთან,** სხვა გზა არა გვაქვს!

„საერთო გაზეთი“

**ვახტანგ მაისაია**

*ექსპერტი*



**ჩინეთი დღეს ერთადერთი ძალაა, რომელსაც შეუძლია რუსეთის ფედერაციის გაწონასწორება** და მასთან გარკვეულწილად მკაცრად დალაპარაკება, მითუმეტეს, რომ **სამხრეთ კავკასიაში რუსეთისა და ჩინეთის ინტერესები აღარ ემთხვევა ერთმანეთს.**

„თბილისელები“

**მაია ნადირაძე**

*ნაციონალური მოძრაობის ყოფილი წევრი*



წესით, დღეს უკვე უნდა ვყოფილიყავით **ნატოშიც და ევროკავშირში.** და სად ვართ?! **რუსის ჩექმის ლანჩზე!**

„აიპრესი“

**მამუკა გიორგაძე**

*„ახალი პარტიის“ ლიდერი*



ბოლო 12 წელიწადია, **„ქართული ოცნების“ გამარჯვება ნაციონალურ მოძრაობაზეა დამოკიდებული.**

„ახალი თაობა“

*დასაწყისი იხ. „ა–დ“. 2023 წლის №48–50*



# „ვისაც კიბო აქვს, აუცილებლად დაუნიშნეთ კოფერმენტი Q10!“




## კახა საბახტარიშვილი:

# კიბოთი ყველაზე ხშირად გულჩახვეული, დარდიანი და ტკივილიანი ადამიანები ავადდებიან!



# «შაქარი ნებისმიერი დოზით საწამლავია!»

***ცნობილი ჰომეოპათი, ექიმი კახა საბახტარიშვილი აცხადებს, რომ სიმსივნურმა პაციენტებმა, თუნდაც ერთწუთიანი ინტენსივობით, დღეში რამდენჯერმე მაინც უნდა ივარჯიშონ:***

— ბევრმა არაფერი უწყის იმის შესახებ, რომ ვარჯიშით პროსტატის, მკერდის, კუჭის, ფილტვის, საკვერცხისა და მსხვილი ნაწლავის კიბოს პროფილაქტიკა და რისკ-ფაქტორის შემცირება შეიძლება. ამთავითვე ვიტყვი: კიბოს უჯრედი ჯანმრთელი უჯრედისგან იმით განსხვავდება, რომ ჯანსაღი უჯრედი ჟანგბადს იყენებს, ხოლო კიბოს უჯრედს ჟანგბადი არ სჭირდება, ანუ გლუკოზის ფერმენტაციას ჟანგბადის გარეშეც ახერხებს. ამდენად, ჯანმრთელ უჯრედში ჟანგბადი გაცილებით მეტია, ვიდრე სიმსივნურში. აქედან გამომდინარე, კიბოს უჯრედი უკვდავია, განუწყვეტლივ მრავლდება და ვრცელდება, ხოლო ჯანსაღი უჯრედი გარკვეული პერიოდის შემდეგ კვდება და მის ადგილს ახალი უჯრედი იკავებს.

**— როდის მცირდება უჯრედში ჟანგბადის მიწოდება, რაც სიმსივნის განვითარებას უწყობს ხელს?**

— უჯრედში ჟანგბადი მცირდება ქრონიკული სტრესის, შაქრიანი დიაბეტის, სიგარეტის, ანთებითი პროცესებისა და ინფექციების ზემოქმედების შედეგად.

**გამოთქმა — „ნერვიულობისგან კიბო დაემართა!“ — აბსოლუტურად სწორია, რადგან გახანგრძლივებული სტრესი და ნერვიულობა კიბოს იწვევს!** იგივე შეიძლება ითქვას გახანგრძლივებულ ანთებით პროცესზეც. აბსოლუტურად არ აქვს მნიშვნელობა, სად მიმდინარეობს ეს ანთება — ღვიძლზე, თირკმელზე, კუჭ-ნაწლავში თუ სხვაგან... ყველა ამ შემთხვევში უჯრედებში ჟანგბადის დეფიციტია. **გვახსოვდეს: კიბოს შაქარი და უჟანგბადო გარემო უყვარს!** ზედმეტ შაქარს თავი როგორ უნდა დავაღწიოთ, ჩვენ ამის შესახებ არაერთხელ ვისაუბრეთ და მიმაჩნია, რომ ცნება — **„ზედმეტი შაქარი“** უადგილოა, რადგან შაქარი ნებისმიერი დოზით საწამლავია!

რაც შეეხება იმის მეცნიერულ დასაბუთებას, თუ რატომ ზემოქმედებს სპორტი კიბოზე დადებითად, ამის უმთავრესი მიზეზი ის გახლავთ, რომ ორგანიზმის ფიზიკური დატვირთვა უჯრედების ჟანგბადით მომარაგებას მნიშვნელოვნად ზრდის. ერთ-ერთ ამერიკულ კვლევაში წავაწყდი ძალიან საინტერესო ფაქტებს: **კვირის განმავლობაში, საერთო ჯამში, 2-2,5 საათით სიარული სიკვდილიანობას 20 პროცენტით მაინც ამცირებს! ერთწუთიანი ინტენსიური დატვირთვა, თუნდაც დღეში სამ-ოთხჯერ, სიკვდილიანობას ამცირებს 40 პროცენტით, ხოლო, თუ ერთწუთიან ინტენსიურ დატვირთვას დღის განმავლობაში თერთმეტჯერ მაინც მივიღებთ, გულ-სისხლძარღვთა პრობლემებით გარდაცვალების მიზეზი 65 პროცენტით შემცირდება. ამავე ხერხით კიბოს განვითარების რისკი 50 პროცენტით კლებულობს.**

აუცილებელი არ არის დღის განმავლობაში ბევრი ვივარჯიშოთ. საკმარისია, ერთი წუთის განმავლობაში კიბეზე ავირბინოთ და ჩამოვირბინოთ, ანდა სულაც გავიქცეთ და ველოსიპედით გავისეირნოთ, რომ კიბოს განვითარების რისკს მნიშვნელოვნად შევამცირებთ. გვახსოვდეს, რომ ძალიან ბევრი დაავადება, მათ შორის, კიბოც, **მიტოქონდრიებთან** არის დაკავშირებული. ჯანსაღ უჯრედში, როგორც წესი, დაახლოებით 2 ათასამდე მიტოქონდრიაა, ხოლო სიმსივნურ უჯრედში — რამდენიმე ათეული და ისიც დაზიანებული. **თუ გვინდა, ჯანმრთელი ვიყოთ და კიბო არ დაგვემართოს, უჯრედის მიტოქონდრია წესრიგში უნდა გვქონდეს!**

***— რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რათა უჯრედის მიტოქონდრიამ ნორმალურად იფუნქციონიროს?***

— პირველ რიგში, მიტოქონდრიას უნდა მივაწოდოთ ჟანგბადი, რასაც, როგორც მოგახსენეთ, სპორტი უზრუნველყოფს! დღის განმავლობაში რამდენჯერმე შესრულებული ერთწუთიანი და ინტენსიური ფიზიკური დატვირთვაც კი კიბოს გავრცელებას სერიოზულად აფერხებს და სიმსივნური პაციენტის სიცოცხლის ხანგრძლივობას ზრდის! ამასთან, აბსოლუტურად ყველა სიმსივნურმა პაციენტმა უნდა მიიღოს **კოფერმენტი Q10.** სწორედ მისი ნაკლებობით არის გამოწვეული ის, რომ ზოგიერთი ადამიანი უჩივის მუდმივ დაღლილობას, მოთენთილობას, კუნთების ტკივილს, მეხსიერებისა და კონცენტრაციის დაქვეითებას და ჰგონია, რომ ვიტამინების ან მიკროელემენტების დეფიციტი აქვს. **ასეთი ადამიანები უამრავ ფულს ხარჯავენ, ათასნაირ გამოკვლევას იტარებენ, ექიმიდან ექიმთან დადიან, მაგრამ ვერავითარ შედეგს ვერ აღწევენ.** ისიც გვახსოვდეს, რომ ასაკის მატებასთან ერთად ორგანიზმში კოფერმენტ Q10-ის გამომუშავება მცირდება. ამიტომაა, რომ, რაც უფრო ასაკოვანია ადამიანი, მით უფრო ღონემიხდილია... **კოფერმენტ Q10-ს ამცირებს:** კიბო, ასაკი, ქრონიკული დაავადებები, დიაბეტი, ანთება, სტრესი, ვიტამინB6-ის ნაკლებობა და სტატინები. არადა, ძალიან ბევრი ადამიანი ე.წ. „ცუდი ქოლესტერინის“ დასაწევად იძულებულია, მუდმივად მიიღოს სტატინები. მკითხველს შევახსენებთ, რომ სტატინებში იგულისხმება ცუდი, ანუ დაბალი სიმკვრივის ქოლესტერინის დამწევი ქიმიური მედიკამენტები. ბევრი სტატინების მიღებას გვერდითი მოვლენების გამო უფრთხის. ერთ-ერთი ასეთი გვერდითი მოვლენა გახლავთ ტოქსიკური ზემოქმედებით გამოწვეული კუნთის ტკივილი და მოძრაობის გართულება. გახსოვდეთ — სტატინები ახდენენ ღვიძლში კოფერმენტ Q10-ის გამომუშავების ბლოკირებას. ამიტომ ყველას, ვინც სტატინებს ღებულობს, პარალელურად კოფერმენტი Q10 უნდა დაენიშნოს. **გაოცებული ვარ იმ ფაქტით, რომ ჩემთან ხვდებიან ისეთი პაციენტები, რომლებსაც გულის უკმარისობა აწუხებთ და ამ დროს მათ დანიშნულებაში კოფერმენტ Q10-ის შესახებ არაფერია ნახსენები.**

***— რომელი საკვებია მდიდარი კოფერმენტ Q10-ით?***

— მას დიდი რაოდენობით შეიცავს საქონლის გული, ღვიძლი, მწვანილი, ზეითუნის ზეთი და ცხიმიანი და წითელი თევზი. **სიმსივნურ პაციენტებს კოფერმენტ Q10-ის დონის ასამაღლებლად და კიბოს საწინააღმდეგო ეფექტის მისაღწევად ვურჩევ შემდეგ რეცეპტს:** *ავიღოთ 1 კბილი ნიორი, გავსრისოთ და ასე გავაჩეროთ დაახლოებით 10 წუთის განმავლობაში. ამ პერიოდში ნიორში არსებული კიბოს საწინააღმდეგო ნივთიერება ალიცინი სრულად გამოთავისუფლდება. გაჭყლეტილი ნიორი 10 წუთის შემდეგ ჩავყაროთ 200 გრამ წყალში, დავუმატოთ 1 ჩაის კოვზი ცივი გაწურვით მიღებული ზეითუნის ზეთი „ექსტრა ვირჯენ“, კარგად მოვურიოთ და მიღებული ნაყენი დღეში თუნდაც ერთხელ დავლიოთ!* ეს რეცეპტურა მისწრებაა არამარტო სიმსივნური პაციენტებისთვის, არამედ ნებისმიერი ადამიანისთვის, რომელსაც ჯანმრთელობის მხრივ სხვადასხვა პრობლემა აქვს.

**საერთოდ, გვახსოვდეს, რომ კიბო განაჩენი არ არის და მის არსს თუ სწორად ჩავწვდებით, შიმშილობით, ანტისიმსივნური პროდუქტებითა და კოფერმენტ Q10-ის დონის დარეგულირებით სიცოცხლის გახანგრძლივებას დიდი ხნის განმავლობაში შევძლებთ.** არაერთხელ გვითქვამს, რომ კიბოს ძველ საქართველოში **„არამს“** ეძახდნენ... **„არამის“** მსგავსია **„ვარამი“,** რომელიც მოუშორებელ დარდსა და სევდას აღნიშნავს. ამიტომ ადამიანის განწყობას ამ საშიშ და ჯერჯერობით მოუხელთებელ სენთან ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა აქვს. **როგორც წესი, კიბოთი ყველაზე ხშირად გულჩახვეული, დარდიანი და ტკივილიანი ადამიანები ავადდებიან!** როგორც ნევროპათოლოგი და ჰომეოპათი, რომელსაც „კატრექსის“ შემქმნელ დიდ **ალექსანდრე გაჩეჩილაძესთან** მოუწია მუშაობა, გავიხსენებ მისსავე სიტყვებს — **კიბო სხვა არაფერია, თუ არა იმუნოდეფიციტი. ამიტომ კიბოს მკურნალობა სწორედ იმუნომოდულატორების შექმნით და გამოყენებით უნდა დავიწყოთ!**

ეს სიტყვები ალექსანდრე გაჩეჩილაძემ დაახლოებით 40 წლის წინათ წარმოთქვა და, როგორც ვხედავთ, არც შემცდარა, რადგან დღესდღეობით კიბოს მკურნალობაში ყველაზე უფრო პერსპექტიულ მიმართულებად სწორედ იმუნოთერაპია მიიჩნევა. **დარწმუნებული ვარ, უახლოეს ათ-თხუთმეტ წელიწადში ქიმიოთერაპია თავის თავს ამოწურავს და კიბოს დასამარცხებლად იმუნოთერაპიას ალტერნატივა არ ექნება!**

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***




## კვირგვინოსნები

**გია დევითიანი**
*მომღერალი*



ნათქვამია — **თუ გინდა, ადამიანი გაიცნო, ფული უნდა ასესხო.** ამიტომ, როცა საჭიროა და როცა საშუალება მაქვს, **ვცდილობ, ვაჩუქო.**

„თბილისელები“

**ნუცა შანშიაშვილი**
*მომღერალი, მსახიობი*



თუ ავფეთქდი, არ ვიცი, **შეიძლება, ადამიანს ფიზიკური ზიანიც მივაყენო,** რაც დაუშვებელია. ჩემი თავის ყველაზე დიდი **მწამებელი და მტანჯველი** მე თვითონ ვარ.

„თბილისელები“

**გუგა კუზანოვი**
*პლასტიკური ქირურგი*



**საკმაოდ ბევრი პაციენტი მყავს,** ვინც პირდაპირ მოდის და მეუბნება, რომ **მონიკა ბელუჩისნაირი ცხვირი უნდა.**

„სარკე“

**თამაზ ელიზბარაშვილი**
*ბიზნესმენი*



ჩემს შვილს ყაზახმა **ბინძური ქართველი ღორი** უწოდა. **გურამი ქართველი ვაჟკაცია და ასეთ რამეს არავის გაუტარებს!** იცის, როგორ უნდა დაიცვას თავისი, ოჯახის და ერის ღირსება.

„სარკე“



როგორც მოგეხსენებათ, ყოველივე გენიალური სიმარტივეშია, ჰოდა, ზუსტად ეს გააკეთეს კანადაში, სადაც ერთი ხელის მოსმით უდედმამო ბავშვებსაც გაუთბეს გული და მოხუცებულებსაც!

# კანადაში უდედმამო ბავშვთა სახლები და მოხუცებულთა თავშესაფარი გააერთიანეს!

## ეს საქართველოშიც უნდა დაინერგოს!

რა მძიმე ხვედრია უდედმამო ბავშვების პანსიონებში ცხოვრება, ვგონებ, ხანგრძლივ ახსნა-განმარტებას არ უნდა საჭიროებდეს! რაც არ უნდა მზრუნველობით ეპყრობოდნენ აღმზრდელები აღსაზრდელებს, დედ-მამას მაინც ვერ შეუცვლიან...

**ზუსტად იგივე მდგომარეობაა მოხუცებულთა სახლებში: მათზე მზრუნველობის მიუხედავად, მოხუცებულებს მაინც აკლიათ ოჯახური სითბო!**

ჰოდა, კანადაში გენიალური იდეა განახორციელეს — **გააერთიანეს მოხუცებულთა თავშესაფარი და ბავშვთა სახლი!** და შედეგმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა. **მოხუცებულებმა შეიძინეს მოსიყვარულე შვილიშვილები, უდედმამო ბავშვებმა კი პირველად იგრძნეს, თუ რა არის ოჯახური სიყვარული და ზრუნვა!** ის კი არა,

**ექიმებმა დააფიქსირეს მოხუცებულთა ყველა სასიცოცხლო ფუნქციის გაუმჯობესება, ანთებული თვალები და ცხოვრებისადმი ინტერესის გაღვიძება!**

**ეს მართლაც ჭკვიანი ადამიანების არაჩვეულებრივი იდეაა, რომლებსაც ესმით, თუ რა სჭირდებათ მარტოხელა მოხუცებსა და უდედმამო ბავშვებს!**

შეიძლება, მავანმა როყიოდ დააბრეხვოს, რაღა ამ ულტრალიბერალური კანადის ექსპერიმენტებს მივახტითო, მაგრამ ამ შემთხვევაში არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, ვინ მოიფიქრა ეს — მთავარია, უმნიშვნელოვანესი საქმე გაკეთდა! ბავშვებისთვისაც, მოხუცებულებისთვისაც და, საბოლოო ჯამში, სახელმწიფოსთვისაც!

დიახ, სახელმწიფოსთვისაც, რადგან ამაზე კარგი და საშური საქმე რა უნდა გაკეთდეს, თუ მოხუცები თავს საჭიროდ იგრძნობენ და ცხოვრების ბოლო წლებს ბავშვებთან ურთიერთობით გაილამაზებენ? თავის მხრივ,

**ბავშვებიც სრულფასოვან ადამიანებად ჩამოყალიბდებიან და აღარ იქნებიან გულჩათხრობილი და გაბოროტებული, რაც ოჯახური სითბოს ნაკლებობით არის გამოწვეული.**

მოკლედ, **ეს ნოვაცია საქართველოშიც აუცილებლად უნდა დაინერგოს.** ამას არ სჭირდება დიდი ფინანსები — მთავარი სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებაა, რომელსაც დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, დასავლური ფონდებიც სიხარულით დააფინანსებენ!

*გიორგი გიგაური*












## კვირგვინოსნები

**ნატო გელაშვილი**
*კომპოზიტორი*



**თუ უფალმა ინება,** ჩემს სულსა და გულში მომწიფებულ გრძნობებს **ისევ ამოვაფრქვევ ლექსებად და ისევ შევქმნი ახალ სიმღერებს.**

„სარკე“

**ლევან ლელაშვილი**
*იუმორისტი*



სუფრასთან **ლუსტრაცია ხდება** — რა განათლება გაქვს, რა პიროვნება ხარ.

„სარკე“

**მანანა თოდაძე**
*მომღერალი*



თუ ადამიანმა **გაჭირვება და სირთულეები არ გადაიტანე,** ვერასოდეს დააფასებ კარგ მდგომარეობას. როცა სახლში ვარ და არსად გავდივარ, მაშინაც კი აუცილებლად უნდა მესვას პომადა.

„თბილისელები“

**რუსუდან ჩხაიძე**
*კომპოზიტორი, ანრი ჯოხაძის დედა*



შვილები **მარტომ გავზარდე პატიოსნად,** ქმარი კი ციხეში მყავდა 15-წლიანი სასჯელით.

„სარკე“

**ანრი ჯოხაძე**
*მომღერალი*



ჩემს ცხოვრებაში **დედა ყოველთვის პირველ პლანზე დგას** და ნომერ პირველი ადამიანია. **მისი ყველაზე დიდი ღირსება** ის იყო, რომ სამივე შვილის სამყაროთი ცხოვრობდა.

„სარკე“

**ლეონარდო დიკაპრიო**
*მსახიობი*



**ჰოლივუდიდან მაშინ წავალ,** როდესაც მივხვდები, რომ **გადაღებებისგან სიამოვნებას ვეღარ ვიღებ.**

„სარკე“

# შევარდნაძის საიდუმლო




## ედუარდ შევარდნაძე: საქართველოში არასოდეს შეწყვეტილა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა!

*დასაწყისი იხ. „ა–დ". 2023 წლის №46–49*

***ალბათ, ბევრ ჩვენგანს სმენია — ისეთი განცდა მაქვს, საქართველოს ისევ შევარდნაძე მართავსო! ანუ 1972 წლიდან მოყოლებული, როდესაც შევარდნაძე საბჭოთა საქართველოს ლიდერი გახდა, უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია, საქართველოში ყველაფერი თითქოს სწორედ შევარდნაძის გარშემო ტრიალებს — მისი გარდაცვალებიდან ლამის ათწლეულის გასვლის შემდეგაც კი! ამიტომ იმის გააზრება, ამ 50 წლის განმავლობაში რა მოხდა, რა ხდება და რა მოხდება მომავალში, სწორედ „შევარდნაძის საიდუმლოს" ამოხსნით თუ შეიძლება!***

ედუარდ შევარდნაძე „ვარდების რევოლუციის" გაანალიზების შემდეგ თავის მემუარებში დაწვრილებით აღწერს საქართველოს უძველეს ისტორიას არგონავტებიდან — 21-ე საუკუნემდე.

ამდენად, თავისთავად საინტერესოა შევარდნაძისეული ისტორიული შეფასებები, მითუმეტეს, რუსეთთან მიმართებაში:

***„ჩრდილოეთისკენ მიმავალი გზები ძნელი იყო, შორი და მათ გავლას დიდი დრო უნდოდა. მართალია, ქართველები უკვე გაშინაურებულები იყვნენ რუსეთის საიმპერატორო კარზე, მაგრამ ამ ორ ქვეყანას შორის სამოკავშირეო ხელშეკრულება მხოლოდ 1783 წელს დაიდო.*** *იოსებ სტალინის შეფასებით, ეს იყო „ნაკლები ბოროტება", რომელიც საქართველოს ემუქრებოდა. ამან საქართველო ფიზიკურ განადგურებას გადაარჩინა.* ***თუმცა, რუსეთს ხელი არ გაუნძრევია 1795 წელს, როცა მასთან ქართველთა კავშირის გამო აღა-მაჰმად-ხანმა თბილისი მიწასთან გაასწორა. შემდეგ, 1801 წელს, რუსეთმა კოლონიური უღელი დაადგა საქართველოს, როდესაც იმპერატორ ალექსანდრეს მანიფესტით 1783 წლის ხელშეკრულება გაბათილდა და საქართველოს სამეფო გაუქმდა"*** *(ე. შევარდნაძე, „ფიქრი წარსულსა და მომავალზე", გვ. 36).*

როგორც ხედავთ, შევარდნაძე საკმაოდ საღად და ობიექტურად აღწერს საქართველო-რუსეთის მძიმე ურთიერთობების ისტორიის ამ პერიოდს! ის კი არა, სტალინსაც იმოწმებს რუსეთთან კავშირის დამყარებაზე ნაკლები, ანუ „უმცირესი ბოროტების" ცნობილი თეზის გამოყენებით!

შემდეგ **შევარდნაძე** ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მგზნებარე პატრიოტის მანტიაშიც ეხვევა:

***„საქართველოში არასოდეს შეწყვეტილა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ქართველი ხალხი ვერ შეეგუა თავისუფლების დაკარგვას იმის მიუხედავად, რომ რუსეთის მმართველობამ მას მშვიდობა მოუტანა, დაშლილი სახელმწიფოს სხვადასხვა კუთხე რუსეთის იმპერიაში კვლავ გააერთიანა, ქართველობა ევროპის კულტურას აზიარა და, ბოლოს და ბოლოს, ფიზიკურად გადაარჩინა.*** *ერთი კია,* ***პეტრე I****-ის მიერ ევროპაში გაჭრილი ფანჯარა ქართველთათვის კარად ვერ იქცა. ყოველი ქართველისთვის სასიცოცხლო ოცნება დამოუკიდებლობის დაბრუნება იყო.* ***აჯანყებები 1804 წელს დაიწყო და მხოლოდ დამოუკიდებლობის დაბრუნების შემდეგ, 1990 წელს დასრულდა. თუმცა, დღესაც არ დამთავრებულა რუსეთის მცდელობა, კვლავ თავის წიაღში დააბრუნოს ჩვენი ქვეყანა, რაც თუნდაც აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ანექსირების მცდელობაში ვლინდება"*** *(იქვე, გვ. 36).*

მემუარისტი, რა თქმა უნდა, თავადაც ხვდება, ყოფილი კომუნისტი ფუნქციონერი, ბოლოს და ბოლოს, 5 წელი საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრიც რომ იყო, დისიდენტივით საუბარს ასე ამართლებს!

***„ვიცი, ამ წიგნის დებულებებს ბევრი მოიწონებს, ბევრიც კრიტიკულად განეწყობა.***

***სხვა საკითხებთან ერთად, პირველ რიგში, ეს რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობების ცალკეულ შეფასებებს შეეხება.*** *შემახსენებენ, გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავი რომ აღინიშნა, ანუ მაშინ, როცა მე საქართველოს კომუნისტების ლიდერი ვიყავი,* ***რატომ არ ვამბობდი სრულ სიმართლეს ორი ხალხის ურთიერთობების ჩრდილოვან წერტილებზე?!***

***მართალია, მე მქონდა რესპუბლიკური თუ საკავშირო მნიშვნელობის მაღალი ტრიბუნები, მაგრამ რა შედეგი მოჰყვებოდა ჩემს გაბედულ დემარშებს? პირველ რიგში, ის, რომ მე სამუშაოდან გამათავისუფლებდნენ და ყველაფერი, რასაც ამ ფონზე ქართული კულტურის, მისი თვითმყოფადობის უზრუნველსაყოფად ვაკეთებდი, შეიძლება წყალში ჩაყრილიყო"*** *(იქვე, გვ. 36).*

ანუ **შევარდნაძემ** გვითხრა, რომ საბჭოთა რეჟიმის პირობებში იმიტომ არ ვდისიდენტობდი, რადგან კომპარტიის ცკ-ის პირველი მდივანი ვიყავი და რუსეთის დამპყრობლობაზე სახალხოდ საუბრით თანამდებობიდან მომხსნიდნენ და ქართული კულტურა უჩემოდ დაიღუპებოდაო!

მემუარისტი იმასაც გვიყვება, რატომ ჩაატარა განსაკუთრებულად დიდი პომპეზურობით 40 წლის წინათ, 1983 წელს, გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის იუბილე:

***„სხვათაშორის, როცა გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლის იუბილეს ვამზადებდი, ვიცოდი, რომ მოსახლეობის უდიდეს ნაწილს წარმოდგენაც არ ჰქონდა ტრაქტატზე, არც იმაზე, თუ რა იყო ტრაქტატამდე საქართველო და რა მოხდა შემდეგ. ეს იუბილე ეროვნული წარსულით ჩვენი ხალხის დაინტერესების მცდელობა იყო, ამასთან იმის ხაზგასმაც, რომ ჩვენ ტრაქტატის სულისკვეთებას ვუჭერდით მხარს"*** *(იქვე, გვ. 37).*

როგორც ხედავთ, შევარდნაძე ისევ დისიდენტობანას გვეთამაშება: ტრაქტატის იუბილე ქართველ ხალხში ეროვნული გრძნობების გასაღვივებლად ჩავატარეო!

რომელი ეროვნული გრძნობების გაღვივებაზეა საუბარი, როდესაც ეს იუბილე რუსეთთან სამარადჟამოდ ყოფნის ლოზუნგებით ჩატარდა — **„С РОССИЕЙ НА ВЕКИ!"**

თან, შევარდნაძე იქვე აღნიშნავს — ჩვენ ეს იუბილე იმის ხაზგასმით ჩავატარეთ, რომ გეორგიევსკის ტრაქტატის სულისკვეთებას ვუჭერდით მხარსო!

რომელ სულისკვეთებას?! მეფის რუსეთის მიერ დაპყრობილი საქართველოსთვის თავზე გადახეული და ნაგავში მოსროლილი სამოკავშირეო ტრაქტატის სულისკვეთებას?!

მოკლედ, შევარდნაძე გვიმტკიცებს, რომ რუსეთის მიერ დარღვეული ტრაქტატის იუბილეთი გააღვივა ქართველებში ეროვნული გრძნობები, თან, კრემლს დაუმტკიცა ერთგულება — ნახეთ, როგორ აღვნიშნე საქართველოში არარსებული, რუსეთისგან დარღვეული და ფეხქვეშ გათელილი ტრაქტატის იუბილე — **რუსეთის (საბჭოთა) იმპერიის ქვეშევრდომობის სიხარულითო!**

შემდეგ მემუარისტი იხსენებს, როგორ მიეცა საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შანსი მეფის რუსეთის იმპერიის დაშლისას და როგორ დაიპყრო უკვე ბოლშევიკურმა რუსეთმა ჩვენი დამოუკიდებლობამოპოვებული ქვეყანა მეორედ 1921 წლის თებერვალში:

***„რუსეთის იმპერიას საბჭოთა იმპერია ჩაენაცვლა, რომლის სათავეშიც, ბედის ირონიით, ათწლეულების განმავლობაში იდგა წარმოშობით ქართველი, შესანიშნავი ქართული პატრიოტული ლექსების ავტორი იოსებ ჯუღაშვილი, იგივე იოსებ სტალინი.***

***საბჭოთა იმპერიის ხელმძღვანელებისა და მათ შორის მყოფი ქართველებისთვისაც იდეოლოგიურადაც და ეკონომიკურადაც მიუღებელი იყო სამხრეთ კავკასიაში დამოუკიდებელი სახელმწიფოების — აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის არსებობა და სწორედ ამიტომ, საბჭოთა რუსეთის ინტერვენციის შედეგად, 1920-1921 წლებში სამივე რესპუბლიკამ არსებობა შეწყვიტა"*** *(იქვე, გვ. 37).*

მემუარისტი პუნქტუალურად ყვება, რა უბედურება დააწია რუსეთმა გასაბჭოებულ საქართველოს:

***„1921 წელს მოჰყვა სისხლიანი 1924 წელი, როდესაც თითქმის მთლიანად ამოწყვიტეს საბჭოთა ხელისუფლების რეალური თუ ეჭვმიტანილი მოწინააღმდეგენი. შემდეგ იყო 1937 წლის რეპრესიები, იყო 1950 წლის მასობრივი გადასახლებები, 1956 წელს — საპროტესტო დემონსტრაციის სისხლიანი ანგარიშსწორება და 1989 წლის სისხლიანი 9 აპრილი. შემდეგ, 1991-1993 წლებში, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, რუსეთთან გამოუცხადებელი ომი, რომელშიც, არასრული მონაცემებით, ექვსიათასამდე მშვიდობიანი მოსახლე დაიღუპა და სამასიათასამდე ადამიანს სახლ-კარის მიტოვება მოუხდა. ისინი სამშობლოში დევნილებად იქცნენ. ეს იყო კლასიკური ეთნოწმენდის „ნიმუში" საზარელი შედეგებით"*** *(იქვე, გვ. 37).*

რა თქმა უნდა, შევარდნაძემ შეგნებულად დუმილი არჩია იმაზე, რომ მის მიერ ნახსენები „კლასიკური ეთნოწმენდის ნიმუში ამაზრზენი შედეგით" 1992 წლის 14 აგვისტოს აფხაზეთში სწორედ მისი ჯარით შევარდნის „დამსახურება" იყო!

და, რაც მთავარია, რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს თავზე დატრიალებული წისქვილის ქვის თითოეული ბრუნის ჩამოთვლისას

**მემუარისტი კრინტსაც არ ძრავს 1991 წლის დეკემბრის სისხლიან პუტჩზე! მიზეზი მარტივია: მაშინ შევარდნაძე მოსკოვში იჯდა და იქიდან ხელმძღვანელობდა, საბჭოთა ჯარების დახმარებით როგორ ამხობდნენ კიტოვან-იოსელიანის ბანდები პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას და ხალხის მიერ პირველ მრავალპარტიულ არჩევნებზე არჩეულ საქართველოს კანონიერ ხელისუფლებას!**

*გიორგი გიგაური*

*გაგრძელება იქნება*

## კვირგვინოსნები

**ლევან ბაბალაძე**
*„სტრატეგიული დაგეგმარების ცენტრის" ხელმძღვანელი*



**დასავლეთს არ სურს, საქართველო ხელიდან გაუშვას.** ჩვენ განვიხილებით **არა როგორც პარტნიორი, არამედ ტერიტორია,** რომელიც თავისი ინტერესებისთვის უნდათ გამოიყენონ. **ამიტომაც აფინანსებენ მეხუთე კოლონას** — ამით ახალ საშუალებას ქმნიან, რათა **2024 წლის არჩევნები მათთვის სასურველი ჯგუფების ხელისუფლებაში მოსაყვანად გამოიყენონ.** აი, რისთვის ემზადებიან.

„საერთო გაზეთი"

**ნანა კაკაბაძე**
*„ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის" თავმჯდომარე*



საზოგადოებამ იცის, **რა მოხდება, კოალიციური მთავრობიდან რომელიმე ერთი პარტია რომ გაიბუტოს?** — მთელი პარლამენტი ჩამოიშლება და **ხელახალი არჩევნები უნდა შედგეს.** ასეთი მექანიზმი ჩვენი **მოღალატე ოპოზიციის** ხელში ხომ ავტომატურად **სახელმწიფოებრიობის ჩამოშლას ნიშნავს!**

„საერთო გაზეთი"

**დავით ჭიჭინაძე**
*„ტრიბუნას" ლიდერი*



რომელი რეფორმის გამტარებლები ესენი არიან, **ქვეყნიდან ხალხი თავქუდმოგლეჯილი გარბის** და მათ ვერაფერს სთავაზობენ, გარდა იაფი ბილეთისა.

„ახალი თაობა"

# ხილეულის წვენი და მისი გამოყენება მიზნობრივი მიმართულებით

***საერთოდ ცნობილია, რომ ნებისმიერი ხილისაგან მიღებული წვენი უკეთესია გამოყენებული იქნას საკვებად, რაც შეიძლება სწრაფად, ყოველგვარი თერმული დამუშავების გარეშე. ამასთანავე, მსოფლიო სტანდარტების მოთხოვნა ითვალისწინებს, რომ ხილი აუცილებლად იყოს ეკოლოგიურად სუფთა სახის.***



ქვემოთ წარმოვადგენთ ძირითად იმ მცენარეთა **10 სახეობას,** რომელთა მიერ მოცემული ნაყოფებიდან ადამიანები უფრო ხშირად ამზადებენ წვენებს და იყენებენ საკვებად; **აქვე მივანიშნებთ, თითოეული ამ წვენისათვის დამახასიათებელ ქიმიურ შედგენილობას, მათ როლს სამკურნალოდ გამოყენების თვალსაზრისითაც, რაც ადამიანებს იმასაც მიანიშნებს, რომ ისინი მათ მიერ გამოყენებული იქნას მიზანდასახული მიმართულებითაც :**

**1.** ვაშლის წვენი: იგი დაბალკალორიულია, ბევრს შეიცავს **რკინას,** რისთვისაც მას ადამიანები, უფრო ხშირად იყენებენ **ანემიების** დროს. მას ასევე ახასიათებს **თირკმლებიდან ქვების გამოტანის უნარიც.** ამ წვენის დიდ ღირსებად უნდა ჩაითვალოს ასევე ისიც, რომ მასში ჭარბად შედის **პექტინოვანი ნივთიერებებიც,** რომლებიც ორგანიზმისათვის დიდ როლს თამაშობს, როგორც **ადსორბენტი** და აქედან გამომდინარე იგი ორგანიზმს აშკარად წმენდს **შლაკებისაგან.** ვაშლის ნაყოფსა და მის წვენში შემავალი **არაორგანული და ორგანული ნივთიერებების თვისობრივ-რაოდენობრივი შემცველობა დადებითად მოქმედებს სასუნთქი გზების** (ფილტვები, ბრონქები) **ნორმალურ მუშაობაზე;** ხალხური მედიცინის მიმდევრები ასაბუთებენ, რომ **ვაშლის ნაყოფი და მისგან დამზადებული წვენი აშკარად უწყობს ხელს სიგარეტის გადაჩვევას. აქედან გამომდინარე, მისი დადებითი გავლენა აშკარაა სუნთქვითი პროცესების გასაუმჯობესებლადაც.**

**2.** ფორთოხლის წვენი: ფორთოხლის წვენი განსაკუთრებით დიდი რაოდენობით შეიცავს **ვიტამინ** C-ს, სასიამოვნო სასმელია, **მაღლა წევს ტონუსს, ხსნის დაღლილობას და ამაგრებს სისხლის სადინარებს;** მას სასმელად იყენებენ ასევე **ჰიპერტონიის** დროსაც, მაგრამ აუცილებელია მხედველობაში იქნას მიღებული, რომ ჭარბი რაოდენობით მისი მიღება **კუჭის წყლულისა და გასტრიტის დროს,** მითუმეტეს, როდესაც საქმე გვაქვს პარალელურად **მაღალმჟავიანობასთან,** სასურველია წვენის მიღებაზე უარის თქმა.

**3.** ანანასის წვენი: ანანასის წვენი სასიამოვნო დასალევი წვენია. მასში შედის უნიკალური ბუნებრივი ნივთიერება **ბრომელაინი,** რომელიც ძირითადში ხელს უწყობს **ცხიმის დაწვას და ორგანიზმის გაახალგაზრდავებას.** ასევე ანანასის წვენი და მასში შემავალი ნივთიერებები აშკარად დადებით გავლენას ახდენენ **თირკმლების დაავადებათა მკურნალობაზე და ასევე დადებით გავლენას ახდენენ ანგინაზეც.** არის მოსაზრებები იმის შესახებ, რომ რადგანაც ანანასის წვენი ჭარბად შეიცავს ბრომელაინს, ამდენად ანანასის წვენის მიღებაზე, ფეხმძიმე ქალებმა უარი უნდა თქვან.

**4.** ყურძნის წვენი: ყურძნის წვენი ხელს უწყობს **გულის მუშაობას, ასევე ხელს უშლის თრომბების განვითარებას.** სულ ახალი გამოკვლევებით დგინდება, რომ ყურძნის წვენი ბევრად უკეთეს შედეგებს იძლევა **თრომბის გამორიცხვაზე, ვიდრე მედიცინაში ფართოდ გავრცელებული პრეპარატი ასპირინი.**

**5.** მსხლის წვენი: მსხლის წვენს აქვს **ბაქტერიოციდული მოქმედება** და ასევე ითვლება საუკეთესო **შარდმდენად.** იგი კარგად მოქმედებს იმ ადამიანებზე, რომლებსაც მიდრეკილება აქვთ **თირკმლებში სისხლის მიმოქცევის დარღვევაზე და თირკმლების პრობლემებზე. ჭარბად შეიცავს პექტინს და აწესრიგებს საჭმლის მონელების პროცესს.**

**6.** პამიდვრის წვენი: პამიდვრის წვენი ჭარბად შეიცავს **ასკორბინის მჟავას და კაროტინს, კალორიულია.** მასში შემავალი ჭარბი კაროტინოიდებიდან ყველაზე მეტი რაოდენობითაა წარმოდგენილი მისი ერთ-ერთი ფორმა — **ლიკოპენი,** რომელიც დაბლა სწევს **კიბოს რისკს და ეხმარება გულის მუშაობას.**

**7.** ალუბლის წვენი: ალუბლის წვენი ხელს უწყობს **ანემიის მოხსნას,** რადგანაც მასში ბევრია **ფოლის მჟავა და რკინა,** ასევე მასში ჭარბადაა წარმოდგენილი ის ნივთიერებები, რომლებიც სისხლის მიმოქცევის სადინარებს ამაგრებს და ამავე დროს ანთების საწინააღმდეგოცაა. **მისი მიღება უკუჩვენებას იძლევა კუჭის წყლულისა და მაღალი მჟავიანობის დროს.**

**8.** გრეიპფრუტის წვენი: გრეიპფრუტის წვენი მდიდარია **კალიუმით, ვიტამინი** C-თი და **კაროტინოიდებით.** შენიშნულია, რომ მისი წვენი აშკარად მოქმედებს ზოგიერთ წამლებთან, ამდენად სხვა წამლების მიღების პარალელურად, რეკომენდებული არაა გრეიპფრუტის წვენის მიღება.

**9.** ატმის წვენი: ატმის წვენი მდიდარია **ანტიოქსიდანტებით** და **რკინით.** იგი შეიძლება გამოყენებული იქნას **კუჭის სასაქმებლად.** აქედან გამომდინარე, ატმის წვენი **კუჭ-ნაწლავის ტრაქტის პროფილაქტიკური მკურნალობისათვის შეიძლება გამოვიყენოთ.**

**10.** გოგრის წვენი: გოგრის წვენი ჭარბად შეიცავს **კაროტინოიდებს და კალიუმს,** რომელსაც ორგანიზმიდან გამოყავს წყალი და მარილები. ამდენად აქ აღსანიშნავია გოგრის წვენის როლი **რევმატიზმებზე და პოდაგრაზე.** იგი განსაკუთრებით ჭარბად შეიცავს **ბეტა-კაროტინებს, ანუ, იგი ხელს უწყობს კიბოს ზოგიერთი ფორმის გამორიცხვას.** განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ გოგრის წვენი ხელს უწყობს **თირკმლებისა და ღვიძლის მუშაობას.** გოგრის წვენში არსებობს ნივთიერებათა ისეთი წარმომადგენლები, რომლებიც ადამიანებზე მოქმედებს, როგორც დამაწყნარებელი და ხსნის უძილობასაც. დასაბუთებულია, რომ ხელს უწყობს ნივთიერებათა ცვლას, ამცირებს ცხიმიანობას, დადებით გავლენას ახდენს შაქრიან დიაბეტზე და სისხლძარღვოვანი სისტემის გაწმენდაზე.



## ნივრის წვენითა და თაფლის ნარევით ქოლესტერინი შეიძლება „დააპატიმროთ“

ფილიპინების ხალხური მედიცინის წარმომადგენლებისაგან ძალიან ხშირად გაიგონებთ, რომ ქოლესტერინი **შეიძლება „დააბა“, „დააპატიმრო“, დაამარცხო ნივრის წვენისა და თაფლის ნარევით.** რეცეპტი მარტივია და იგი შემდეგნაირად მზადდება: **ვარჩევთ ნიორს, ვაქუცმაცებთ ხორცსაკეპში და მისგან გამოვწურავთ წვენს. ვიღებთ ნივრის წვენსა და თაფლს თანაბარი რაოდენობით და ვურევთ ერთმანეთში კარგად.**

მიღება: თითო ს/კ დღეში **3-4-ჯერ,** ჭამამდე 30-40 წუთით ადრე.

მკურნალობის კურსი: **4-6 კვირა; შესვენება ერთი თვე და გამეორება.**



## ალოე, კაგორი და თაფლი ცუდ ქოლესტერინს კლავს



**ცუდი ქოლესტერინის შესამცირებლად ძალიან კარგ შედეგს იძლევა ხალხური მედიცინისაგან რეკომენდირებული ფიტოთერაპიული საშუალება, რომელიც შემდეგნაირად მზადდება: ალოეს ფოთოლს ვაგროვებთ 4-5 წლის ასაკის, 10 დღის წყალდაუსხმელი მცენარიდან და ორი კვირის განმავლობაში ვინახავთ მაცივარში, რის შემდეგაც ვატარებთ ხორცსაკეპში; მიღებული მასის 1 ჩაის ჭიქას ვამატებთ ჩაის ჭიქა კაგორს და ამდენივე თაფლს. ვურევთ კარგად ერთგვაროვანი მასის მიღებამდე და ვინახავთ სიბნელეში გრილად.**

**მიღება: თითო ს/კ ნარევი ნებისმიერი დროის ჭამის წინ.**

## კვირგვინოსნები

**ირაკლი ტრიპოლსკი**
*ყოფილი პარლამენტარი*



პოლიტიკამ „შეჭამა“ ყველაფერი. უწიგნურები გავხდით, **არავის არაფერი აინტერესებს ერთმანეთის ლანძღვაგინების გარდა.** აგერ გადასარევი ახალგაზრდა გამოჩნდა, **ხვიჩა კვარაცხელია,** უკვე ვარსკვლავია და **ლამის ჩადეს მიწაში... ტალახაძე** მსოფლიოში ყველაზე ღონიერი კაცია, **ისიც ჩადეს მიწაში,** იმიტომ, რომ რაღაც საკითხზე თავისი აზრი დააფიქსირა.

„კვირის პალიტრა“

**ხვიჩა კვარაცხელია**
*ფეხბურთელი*



მესისთან შეხვედრას **დაუჯერებელი ისტორია** ახლავს და ამის შემდეგ **ლეო ჩემთვის რადიკალურად შეიცვალა.** ოქროს ბურთის დაჯილდოებისას მესი ჩემგან მარჯვნივ იჯდა. ფეხბურთელებს გვითხრეს, რომ სარეკლამო პაუზისას არ გვემოძრავა და ადგილი არ დაგვეტოვებინა. **უცებ მესი ადგა და წარმოდგენა არ მქონდა, ეს რატომ გააკეთა. ჩემკენ წამოვიდა და ვერ ვხდებოდი, რა ხდებოდა. ხელი გამომიწოდა და ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით,** რის შემდეგაც თავის ადგილზე დაბრუნდა. **ამხელა ფეხბურთელი რომ დგება და გამარჯობის სათქმელად შენთან მოდის...** საოცარი ადამიანია, მაგარი პიროვნებაა და ამას ძალიან ვაფასებ.

„ინსტრაგრამი“

**ვასილ მაღლაფერიძე**
*საზოგადოებრივი მოღვაწე, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე*



**გახლეჩილი და ერთმანეთს დატაკებული საქართველო რომ ენატრებათ,** ეს ხომ ერთი უბედურებაა, მაგრამ, ვინც ასეთი მსოფლმხედველობის ადამიანებთან ერთიანობისკენ მოწოდებებით პრანჭიკელაობს, იმას **ევროპა კი არა ქვეყნის დაქცევა უნდა.**

„იმედინიუსი“

**ნიკა შენგელია**
*ეკონომიკის ექსპერტი*



**რთული და გაჭირვებული ზამთარი და გაზაფხული გველის.** ყურძენი მაღაზიაში **4-5 ლარი** არცერთ წელს არ ღირდა.

„ახალი თაობა“

# კვების რომელი პროდუქტია უსაფრთხო?

*კვების დღიური რაციონის 60 პროცენტს მაინც ვიტამინების (განსაკუთრებით C ვიტამინის) შემცველი ნატურალური ბოსტნეული და ხილი (მათი წვენები) უნდა წარმოადგენდეს. დანარჩენი პროდუქტები შეარჩიეთ კალორიულობის მიხედვით, მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ ისინი ნაკლებად უნდა შეიცავდნენ ქოლესტერინს, არ იყვნენ გენმოდიფიცირებული (ძირითადად მზა, იმპორტული) და დამზადებული იყვნენ უსაფრთხო შემავსებლით (E ნომერი) ან საერთოდ არ შეიცავდნენ მას.*

| კილო-კალორია | პროდუქტების კალორიულობა და მათში ნახშირწყლების შემცველობა (100 გრამ პროდუქტში) | ნახშირ-წყლები გრ. |
|---|---|---|
| | **ბოსტნეული** | |
| 10-50 | კიტრი, პომიდორი, ბოლოკი, სალათა, ყვავილოვანი კომბოსტო, ისპანახი, მწვანე ლობიო, მწვანე ხახვი, წიწაკა მწვანე ტკბილი, რევანდი | |
| | ყაბაყი, წიწაკა წითელი ტკბილი, თალგამი, მჟაუნა, კომბოსტო, სტაფილო, ხახვი თავიანი, პრასი; ბოლოკი, ოხრახუში (ღერო-ფოთლები), ღანძილი | 5-10 |
| | ჭარხალი, ოხრახუში (ძირი) | 10-11 |
| 50-100 | მწვანე ცერცველა (Горошек) | |
| | კარტოფილი, ნიორი, პირშუშხა | 15-20 |
| | **ხილი, კენკრა, ბაღჩეული** | |
| 20-25 | ლიმონი | 2-5 |
| | ქაცვი, გოგრა, მოცხარი, ალუჩა, მოცვი, მარწყვი, მაყვალი, შვინდი, ჟოლო, ქლიავი, საზამთრო, ნესვი, კომში, ციტრუსები, ხურტკმელი | 5-10 |
| | მსხალი, ვაშლი, ანანასი, ალუბალი, ატამი, გარგარი | 10-15 |
| 50-100 | ბალი, ბროწეული, ლეღვი, თუთა, ცირცელი | |
| | ყურძენი, ხურმა | 15-20 |
| | ბანანი | 20-30 |
| 100-150 | ასკილი | |
| 200-300 | ფინიკი | 50-75 |
| | **სოკო** | |
| 10-30 | ცოცხალი | 1-5 |
| 200-250 | ხმელი — თეთრი | 10-15 |
| | **მწნილი, გამხმარი ბოსტნეული და ხილი** | |
| 10-20 | მწნილი — კომბოსტოს, კიტრის, პომიდვრის | 1-2 |
| 200-300 | გამხმარი ხახვი | 30-50 |
| | ჩირი — ალუბლის, შავი ქლიავის, ატმის, ვაშლის, ჭერმის, ქიშმიში | 50-75 |
| 300-400 | გამხმარი ცერცველა (Горошек) | 30-50 |
| | გამხმარი კარტოფილი | 50-75 |
| | **პურპროდუქტები, ბურღულეული** | |
| 200-300 | პური, ნაზუქი | 50-75 |
| 300-400 | სუხარი, ფქვილი; ბურღულეული — ბრინჯის, სიმინდის, ქერის, წიწიბურას, ბურღულის, ხორბლის, ფეტვის, შვრიის. „ჰერკულესი“ | |
| | **პარკოსანი მარცვლეული** | |
| 50-100 | პარკოსნები | 5-10 |
| 300-400 | სოია | 30-50 |
| | ლობიო, ბარდა (Горох), ოსპი | 50-75 |
| | **ტკბილეული, საკონდიტრო ნაწარმი** | |
| 200-300 | თაფლი, ზეფირი, მარმელადი, კარამელი | 75-100 |
| 300-500 | ტორტი ბისკვიტის, ხილი | 30-50 |
| | ნამცხვარი ფენოვანი ვაშლით | 50-75 |
| | შაქარი; თაფლის კვერი; ვაფლი ხილის შიგთავსით; კამფეტები; ნამცხვარი ბისკვიტის, ხილის შიგთავსით | 75-100 |
| 500-600 | ნამცხვარი ფენოვანი კრემით; ტორტი ნუშის | 30-50 |
| | შოკოლადი; ჰალვა; ვაფლი ცხიმიანი შიგთავსით | 50-75 |
| | **თხილეული** | |
| 500-700 | თხილი, არაქისი, მზესუმზირა | 5-10 |
| | ნიგოზი, ნუში | 10-15 |
| | **წვენები, სასმელები** | |
| 10-50 | ტომატის წვენი; ბურახი | 2-5 |
| | ლიმონათი; ლუდი; მანდარინის წვენი | 5-10 |
| | ვაშლის წვენი | 10-15 |
| 50-75 | ღვინო სუფრის წითელი | 0,1-0,5 |
| | წვენები — ალუბლის, ყურძნის, გარგარის, ჭარხლის, ფორთოხლის | 10-15 |

| კილო-კალორია | პროდუქტების კალორიულობა და მათში ნახშირწყლების შემცველობა (100 გრამ პროდუქტში) | ნახშირ-წყლები გრ. |
|---|---|---|
| | **რძის პროდუქტები** | |
| 20-30 | კეფირი ნაკლებ ცხიმიანი | 2-5 |
| 50-100 | რძე, მაწონი, ხაჭო ნაკლებ ცხიმიანი, იოგურთი, კეფირი ცხიმიანი | 1-5 |
| 100-150 | ხაჭო ნახევრად ცხიმიანი; არაჟანი — ნაღები 10%-იანი | |
| | შედედებული რძე უშაქრო | 5-10 |
| 200-300 | მდნარი ყველი, ბრინზა ძროხის რძის | 0 |
| | ხაჭო ცხიმიანი, არაჟანი და ნაღები 20%-იანი | 1-5 |
| 300-350 | ყველი — ჰოლანდიური, შვეიცარული, რუსული | 0 |
| | „სიროკი“ | 20-30 |
| | მშრალი რძე მოუხდელი | 30-50 |
| | შედედებული რძე შაქრით | 50-75 |
| | **ხორცის პროდუქტები** | |
| 50-100 | ხბოს ხორცი, თირკმლები, გული, ღვიძლი საქონლის | 0 |
| 100-200 | საქონლის ხორცი, კურდღელი, საქონლის ჯიქანი, ენა, საქონლის ტვინი, ღვიძლი — ცხვრის და ღორის | |
| 200-300 | ცხვრის ხორცი | |
| 300-500 | ღორის ხორცი | |
| | **ძეხვეული, სოსისები** | |
| 150-200 | ძეხვი მოხარშული — დიეტური | 0 |
| 200-300 | შაშხი, სოსისი რძიანი, ძეხვი მოხარშული | |
| 300-500 | სოსისი ღორის ხორცის; ძეხვი — მოხარშული ხბოს ხორცის, შებოლილ-მოხარშული („სერვილადი“), ნახევრად შებოლილი | |
| | სარდელი ღორის ხორცის | 1-2 |
| 500-700 | ღორის მკერდის ხორცი ნახევრად შებოლილი | 0 |
| | **ხორცის კონსერვები** | |
| 200-300 | მოშუშული საქონლის ხორცის | 0 |
| 300-400 | მოშუშული ღორის ხორცის | |
| | **თევზი და ზღვის პროდუქტები** | |
| 5 | ზღვის კომბოსტო | 2-5 |
| 50-100 | თევზი — მინტაი, პუტასუ, ვირთევზა, ქორჭილა მდინარის, ღლაბუტა, ქარიყლაპია, ფარგა, ნავაგა, კარჩხანა, გველთევზა ზღვის, ცქიმურა, კობრი, ქამბალა, ხეკი, ვიმბა კასპიის, მაკრურუს; კოლმარი, კიბორჩხალა, კრევეტი | 0 |
| 150-200 | თევზი — კაპარჭინა, პალტუსი, ლოქო, სალაკა, კობრი, სტავრიდა, სიგი, საირა წვრილი, ვირთევზა გამოშიგნული შებოლილი, ხმალთევზა, გორბუშა, კეტა, მოივა, სალამურა, ნოტოტენია, სკუმბრია, ზუთხი შებოლილი, კაპარჭინა შებოლილი, ქორჭილა ზღვის | |
| 200-300 | თევზი — ქაშაყი, საირა მსხვილი, ორაგული | |
| 300-400 | გველთევზა, ცქვრინა, გველთევზა შებოლილი | |
| | **ხიზილალა** | |
| 100-150 | დასვრეტილი — მინტაის, კაპარჭინას, ზუთხის | 0 |
| 200-300 | მარცვლოვანი ხიზილალა — ზუთხის, კეტას | |
| | **თევზის კონსერვები** | |
| 50-100 | ნატურალური თინუსი | 0 |
| 100-150 | ნატურალური — კრევეტი, კეტა, გორბუშა | |
| | ტომატში — ქარიყლაპია, ქამბალა, ფარგა, კაპარჭინა, კეტა | 2-5 |
| | ტომატში — ღორჯო, სტავრიდა | 5-10 |
| 200-300 | ზეთში — სკუმბრია, სარდინი, საირა, შებოლილი ვირთევზა | 0 |
| 300-400 | ზეთში — „შპროტი“ | 0,1-0,5 |
| 500-700 | ნატურალური — ვირთევზას ღვიძლი | 0 |
| | **ფრინველი და კვერცხი** | |
| 150-200 | წიწილა, ქათამი, ინდაური, კვერცხი | 0,1-1 |
| 300-400 | ბატი, იხვი | 0 |
| | გამომშრალი კვერცხის ცილა | 5-10 |
| 500-700 | გამომშრალი კვერცხის გული | 2-5 |
| | კვერცხის ფხვნილი | 5-10 |
| | **ცხიმები** | |
| 600-700 | მაიონეზი | 2-5 |
| 700-900 | კარაქი მცენარეული, ქონი, ღორის ქონი | 0 |
| | ერბო, კარაქი ნაღების, მარგარინი რძიანი | 0,5-1 |
| | მარგარინი ბუტერბროდის | 1-2 |

## საკვების კალორიულობა

**„გაეროს“ ნორმებით შიმშილობის ზღვრად მიიჩნევენ ერთ ადამიანზე დღეში 2150 კილოკალორიის სურსათის მოხმარებას. მსოფლიოში კვების ყველაზე მაღალი დონე განვითარებულ ქვეყნებშია (საშ. 3 370 კკალ.). ყველაზე დაბალი ღარიბ ქვეყნებში (2 100 კკალ.). სტატისტიკური მონაცემებით საქართველო შიმშილის კრიტიკულ ზღვარს მიუახლოვდა (საშ. 2 150 კკალ. ქალაქად 1 970 კკალ. სოფლად 2 465 კკალ.). დიეტოლოგთა რჩევით საკვების დღიური რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს: ძალიან მსუქნებისთვის — 1 800 კკალ-ს, საშუალოდ მსუქნებისთვის — 2 000 კკალ-ს, ოდნავ მსუქნებისთვის — 2 400 კკალ-ს. ამიტომ თუ გინდათ შეარჩიოთ თქვენი შესაფერისი საკვები, გამოიყენეთ ეს ცხრილი.**

## ამერიკელი ასტრონავტების დიეტა

თუ გაწუხებთ ჭარბი წონა და გიჭირთ კვების შეზღუდვა, ეს დიეტა იძლევა საშუალებას, ნახშირწყლების შემცველი პროდუქტების შეზღუდვის პირობებში მიირთვათ სხვა პროდუქტები. მათ შორის ხორცი შეუზღუდავდი რაოდენობით. როცა მკვეთრად იზღუდება ნახშირწყლების მიღება, ორგანიზმი იწყებს დაგროვილი ცხიმების გადამუშავებას. ამიტომ მოერიდეთ ტკბილეულს, ფქვილის ნაწარმს, კარტოფილს, პურს, ბრინჯს და ა.შ. უარი თქვით შაქარზე. 1 ნატეხიც კი უკვე აჭარბებს დღიურ ნორმას. **ყურადღება! დიეტას აქვს უარყოფითი მხარეები: აკრძალულია ჰორმონალური, გულ-სისხლძარღვთა, თირკმლების პრობლემების მქონეებისთვის. ხანგრძლივმა გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს ქოლესტერინის მატება, გულის იშემიური დაავადება, დიაბეტი. და ა.შ.** ამ ცხრილიდან აარჩიეთ ნახშირწყლების მინიმალური შემცველობის პროდუქტები. ყურადღება მიაქციეთ მათში ქოლესტერინის რაოდენობას და რაციონი შეავსეთ C ვიტამინის მაღალი შემცველობის პროდუქტებით.

# ფრანგული დიეტა

***პარიზული დიეტა ითვალისწინებს რაციონში ცხიმებისა და შაქრის სიმცირეს, პროდუქტები, რომლებიც აღნიშნულ დიეტაში მოისაზრება ორგანიზმს სრულად უზრუნველყოფს ყველა აუცილებელი საკვები ნივთიერებებით, ვიტამინებით და მიკროელემენტებით.***




წარმოდგენილი ფრანგული ტიპის დიეტას აქვს ერთი მკაცრი „უარყოფითი" მხარე, რომელიც 10 დღის განმავლობაში ამ დიეტის მეტად მკაცრი რეჟიმით დაცვას გულისხმობს.

ისინი დაყოფილია ასეთი შინაარსით:

- **ორგანიზმის გაწმენდა** (უკეთესია ეს გაკეთდეს დასვენების დღეებში) **2 დღე.**
- **ყოველდღიურად 1200 კალორიაზე გადაანგარიშებით დიეტა 8 დღე.**

## ეტაპი პირველი (გაწმენდა):

პირველი ეტაპი მოიცავს ორგანიზმის ორდღიან გაწმენდას (ძირითადად არასამუშაო დღეებში). ამ დღეებში ადამიანი სვავს ხილის წვენს, ბულიონს, ნაყენს. ეს მეტად სასარგებლოა, რადგანაც ადამიანის ორგანიზმი სრულად არის მომარაგებული ადვილად შესათვისებელი ყველა საჭირო ნივთიერებებით — ცილებით, ვიტამინებით, მინერალური მარილებით და მიკროელემენტებით. და მეორე, რაც მთავარია, ყველა სასმელი ხასიათდება მეტად უნიკალური თვისებებით და განსაკუთრებით კი ორგანიზმიდან შლაკების გამოტანის მაქსიმალური დონით, რომლებიც ესოდენ მომწამვლელი და მავნეა ადამიანის ორგანიზმისათვის.

**პირველი დღე:**

**დილით:** ვსვამთ მხოლოდ თბილ გადადუღებულ წყალს;

**12 საათზე: ქათმის, საქონლის ან ხბოს მოხარშული ხორცის პატარა ნაჭერი ბოსტნეულის გარნირით;**

**15 საათზე:** 0,5 ჩაის ჭიქა იოგურტი და 1 ცალი ვაშლი ან ფორთოხალი;

**17 საათზე: ლიმონის წვენისაგან დამზადებული სასმელი** *(1 ლიმონიდან გამოვწურავთ წვენს, ვურევთ მასში 1 ჩაის კოვზ თაფლს და ვავსებთ 1 ჭაის ჭიქამდე თბილი წყლით);*

**19 და 20 საათებს შორის: 3 ჩაის ჭიქა ბოსტნეულის ბულიონი** *(1 ლ წყალში ვხარშავთ საშუალო ზომის 2 სტაფილოს, 1 კარტოფილს, 400 გ ყვავილოვან კომბოსტოს, პატარა ზომის ყაბაყს და ნიახურის 3 ტოტს);*

**20 და 21 საათებს შორის: 19-20 საათისათვის მომზადებული ბოსტნეულის ბულიონიდან დიდ თეფშზე გადმოგვაქვს მოხარშული ბოსტნეული, ვკაზმავთ ზომიერად, გემოვნებით ტყემლით და 1 ს/კ ზეითუნის ზეთით;**

**უშუალოდ ძილის წინ:** რძის იოგურტი, 1 ჩ/კ თაფლით;

**მეორე დღე:**

**დილის 10 საათი: 1 ჩაის ჭიქა თბილი წყალი და 0,5 გრეიპფრუტიდან გამოწურული წვენი;**

**11 საათი:** 1 ჩაის ჭიქა რძიანი კაკაო, ვიღებთ 0.5%-იან 1 ჩაის ჭიქა რძეს, ვურევთ მასში 1 ჩაის კოვზ კაკაოს ფხვნილს, მიგვყავს დუღილამდე, ვხსნით ცეცხლიდან და ოდნავ გაგრილებამდე ვაციებთ. დალევის წინ დამზადებულ კაკაოიან რძეში ვდებთ 1 ჩაის კოვზ ნატურალურ თაფლს;

**11-დან 12 საათამდე: 3 ჩაის ჭიქა ბოსტნეულის ბულიონის ნახარში რამდენიმე მიღებით;**

**13-დან 17 საათამდე:** 1 ლ თბილი წყალი და 2 გრეიპფრუტის წვენი რამდენიმე მიღებით;

**18 საათზე: ვამზადებთ სალათას გასუფთავებული ვაშლისა და ფორთოხლის ნაყოფიდან** *(გათლილი, კურკაგაცლილი);*

**20 საათზე:** ფოლგის ქაღალდში შემწვარი თევზის დიდი ნაჭერი და ჩაის ჭიქა ნახევარი კიტრის სალათა (200 გ) შეკმაზული მწვანე სალათით, ნიახურით, რომელსაც დამატებული აქვს ზეითუნის ზეთი.

## ეტაპი მეორე

**ეტაპი მეორე მოიცავს დიეტას მესამე დღიდან მეათის ჩათვლით.**

**8 საათი დილა, უზმოზე:** 1 ჩაის ჭიქა ცხელი წყალი და ამდენივე ახლად გამოწურული ხილის წვენი *(ვაშლი, ფორთოხალი, მსხალი, ან გრეიპფრუტი);*

**9 საათზე: 1 ჩაის ჭიქა ცხელი კაკაო თაფლით;**

**10 საათიდან 12 საათამდე:** 1 დიდი მსხალი, ან ბანანი;

**13 საათზე: ჩაის ჭიქის 3/4 ხაჭო** *(9%-იანი ცხიმიანობით),* **რომელსაც დამატებული აქვს წვრილად დაჭრილი 1 დიდი ზომის ვაშლის, ფორთოხლის ან 4 ს/კ სხვა ხილის ნაყოფები;**

**15 საათზე:** 1 ჩაის ჭიქა ცხელი წყალი და 10-15 ცალი ხილისაგან დამზადებული ჩირი *(კურაგა, შავქლიავი, ლეღვი, ვაშლი);*

**16 საათიდან 18 საათამდე: 3 ჩაის ჭიქა თბილი წყალი რომელიც ისმევა მცირე ულუფებით;**

**18-დან 20 საათამდე:** ლიმნის სასმელი (ჩაის ჭიქაში ვასხამთ 1 ლიმნიდან გამოწურულ წვენს, მასში ვურევთ 1 ჩაის კოვზ თაფლს და ვავსებთ თბილი წყლით ბოლომდე). აღნიშნულ სასმელს ვიღებთ მინიშნებულ საათებში ყლუპობით ცოტა-ცოტას;

**20 საათზე: ფოლგის ქაღალდში შემწვარი თევზის დიდი ნაჭერი და ჩაის ჭიქა ნახევარი შეკმაზული მწვანე ბოსტნეულის სალათა ზეითუნის ზეთით.**



## ჯანმრთელობისთვის სასარგებლო პროდუქტები

**მეცნიერები ამტკიცებენ, რომ თუ მივიღებთ საკმაო რაოდენობის ვიტამინებს, ჯანმრთელნიც ვიქნებით და მეტ ხანსაც ვიცოცხლებთ. ვიტამინებიდან უმნიშვნელოვანესია C ვიტამინი, რომელიც მათზე მოთხოვნილების 70 პროცენტს შეადგენს. C ვიტამინი ახანგრძლივებს სიცოცხლეს, წმენდს სისხლძარღვებს ქოლესტერინისგან, იცავს ორგანიზმს ინფექციებისა და ტოქსიკური ნივთიერებებისაგან, ამაღლებს იმუნიტეტს დაავადებებისადმი და ა. შ.**

**C ვიტამინის დღიური ნორმა შეადგენს: 50-100 დიდებისთვის და 30-70 მილიგრამს ბავშვებისთვის, მაგრამ მძიმე ეკოლოგიური პირობების გამო მისი რაოდენობა უნდა გაიზარდოს.**

**C ვიტამინი ძირითადად ბოსტნეულსა და ხილში გვხვდება. იგი უნდა მიიღოთ ნატურალური პროდუქტის საშუალებით (დაკონსერვებულში ან გაყინულში მისი რაოდენობა მცირდება).**

**ამ ცხრილიდან აარჩიეთ ის პროდუქტები, რომელთა მინიმალური მოხმარება დაგაკმაყოფილებთ C ვიტამინის დღიური ნორმით:**

| C ვიტამინის შემცველობა 100 გრამ პროდუქტში | | პროდუქტის რაოდენობა გრამებში, რომელიც უზრუნველყოფს C ვიტამინის მიღების დღიურ ნორმას | |
|---|---|---|---|
| პროდუქტი | C ვიტამინის შემცველობა მილიგრამებში | ბავშვები | დიდები |
| **ბოსტნეული** | | | |
| **წიწაკა მწარე და ტკბილი** | 300-400 | 10-25 | 15-30 |
| **ჭინჭარი** | 250-300 | 11-25 | 22-40 |
| **შავი პილპილი** | 200-250 | 15-30 | 20-40 |
| **მწვანე ჩაი** | 150-230 | 15-40 | 30-50 |
| **კამა, სოკო, კოწახური, ოხრახუში** | 100-165 | 25-50 | 40-70 |
| **ჭარხლის ფოჩები, ნიახური, კომბოსტო, ხახვი (მწვანე), მჟაუნა** | 25-60 | 70-160 | 120-230 |
| **ისპანახი** | 16-55 | 90-200 | 140-290 |
| **პომიდორი, მჟავე კომბოსტო, ბოლოკი, ხახვი (თავიანი), ნიგოზი** | 17-40 | 100-240 | 170-340 |
| **ლობიო** | 15-20 | 170-390 | 280-560 |
| **კარტოფილი** | 6-30 | 170-390 | 280-560 |
| **ნიორი, ჭარხალი, სალათა, კიტრი** | 5-15 | 300-700 | 500-1000 |
| **გოგრა, ნიახური** | 6-8 | 430-1000 | 700-1400 |
| **ბადრიჯანი** | 4-5 | 600-1400 | 1000-2000 |
| **ხილი** | | | |
| **ასკილი** | 1000-1500 | 3-6 | 4-8 |
| **შავი მოცხარი** | 300-400 | 9-20 | 15-30 |
| **მარწყვი** | 60-150 | 30-60 | 50-100 |
| **კივი** | 80-100 | 30-80 | 55-110 |
| **ლიმონი, ფორთოხალი** | 40-70 | 55-130 | 90-180 |
| **შინდი, ხურმა** | 50-55 | 60-130 | 95-190 |
| **თხილი, გრეიპფრუტი** | 35-46 | 70-170 | 120-240 |
| **მაყვალი, მანდარინი, ანანასი, ვაშლი ანტონოვკა, ბალი** | 12,0-44 | 110-250 | 180-360 |
| **ჟოლო, წითელი მოცხარი** | 15-35 | 120-280 | 200-400 |
| **ალუბალი, ნესვი, ატამი, კომში, მსხალი, ვაშლი, ქლიავი** | 5-23 | 210-500 | 360-720 |
| **გარგარი, ბანანი, ბროწეული, მუშმალა, საზამთრო** | 3-12 | 380-870 | 630-1260 |
| **ნუში, მიწის თხილი, მოცვი, ყურძენი** | 5-8 | 430-1000 | 700-1400 |

## მოერიდეთ ქოლესტერინს!

**ქოლესტერინი ადამიანის ორგანიზმში სასიცოცხლო პროცესების აქტიური მონაწილეა, მაგრამ მისი ჭარბი რაოდენობა გროვდება სისხლძარღვთა კედლებზე და ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია გულ-სისხლძარღვთა დაავადებების, ინფარქტისა და ინსულტის. იგი ცხოველურ პროდუქტებში გვხვდება, ამიტომ საკვებიდან უნდა გამორიცხოთ მისი დიდი შემცველობის პროდუქტები: ტვინი, თირკმლები, ღვიძლი, კვერცხის გული. მკვეთრად უნდა შეზღუდოთ ცხოველური ცხიმები, არაჟანი და კარაქი. ხორცეულიდან მიირთვით უცხიმო და ახალგაზრდა ხორცი, თევზი, ფრინველის ხორცი შემწვარი კანის გარეშე. რძის ნაწარმიდან მოხდილი რძე, კეფირი, მაწონი, უცხიმო ყველი. ქოლესტერინის დღიური ნორმა საშუალოდ 500 მილიგრამია. დღეში ორი კვერცხის მიღებაც კი უკვე აჭარბებს დღიურ ნორმას.**

**ქოლესტერინის შემცველობა 100 გრამ პროდუქტზე**

| პროდუქტი | მილიგრამი |
|---|---|
| **რძის პროდუქტები** | |
| **ყველი ცხიმიანი, არაჟანი (30% ცხიმიანობით)** | 90-130 |
| **ნაღები — 20% ცხიმიანობით, ხაჭო (ცხიმიანი)** | 60-80 |
| **ნაღები — (10% ცხიმიანობით), ნაყინი** | 30-40 |
| **ყველი მოხდილი** | 20 |
| **უცხიმო რძე, მაწონი, ხაჭო, კეფირი** | 5-10 |
| **ხორცის პროდუქტები** | |
| **ფილტვი, ტვინი** | 2000-ზე მეტი |
| **ღვიძლი საქონლის** | 600 |
| **თირკმელი** | 400-600 |
| **ღვიძლი ხბოს, ჯიქანი საქონლის** | 300-350 |
| **ხორცი საქონლის, ცხვრის, ღორის (უცხიმო), ენა, შაშხი (უცხიმო)** | 90-130 |
| **ხორცი ხბოს** | 80 |
| **ძეხვი** | 60-100 |
| **სოსისი** | 60 |
| **ხორცი კურდღლის** | 45 |
| **თევზი და ზღვის პროდუქტები** | |
| **ხიზილალა** | 300-320 |
| **კიბორჩხალა, კრევეტი, მსუქანი ქაშაყი, საირა** | 150-200 |
| **სარდინის კონსერვი, პალტუსი, კამბალა** | 135-150 |
| **სხვა თევზი** | 60-100 |
| **ქარიყლაპია, კალმახი, ორაგული, ვირთევზა** | 30-50 |
| **ფრინველი და კვერცხი** | |
| **ბატის და იხვის ხორცი კანით** | 1000 |
| **კვერცხი** | 325 |
| **ქათმის კუჭი** | 212 |
| **ქათამი (ცხიმიანი) და ინდაური კანის გარეშე** | 80 |
| **ქათამი (უცხიმო)** | 45 |
| **ცხიმები** | |
| **კარაქი** | 220-240 |
| **მაიონეზი** | 100 |

**E ნომრები, რომლებიც არ არის საშიში ჯანმრთელობისთვის**

**E**100-**E**101, **E**120, **E**131-**E**133, **E**140-**E**141, **E**150a-**E**150b, **E**153, **E**160(a,c,d), **E**162-**E**163, **E**170-**E**172, **E**200, **E**202-**E**203,**E**260-**E**263, **E**270, **E**290, **E**296-**E**297, **E**300-**E**302, **E**304, **E**306-**E**309, **E**322, **E**325-**E**327, **E**330, **E**331-**E**337, **E**350-**E**357, **E**363, **E**415, **E**422, **E**440, **E**460, **E**461, **E**463-**E**465, **E**470a-**E**470b, **E**471, **E**472 (a,b,c,d,e,f), **E**473-**E**475, **E**481-**E**482, **E**500-**E**501, **E**503-**E**504, **E**507-**E**509, **E**511, **E**513-**E**517, **E**524-**E**530, **E**535-**E**536, **E**538, **E**551-**E**552, **E**553a-**E**553b, **E**558, **E**570, **E**585, **E**640, **E**901-**E**904, **E**914, **E**927, **E**938-**E**939, **E**941-**E**942, **E**948, **E**950, **E**959, **E**1404, **E**1410, **E**1412-**E**1414, **E**1420, **E**1422, **E**1440, **E**1442, **E**1450



# მიხეილ ცაგარელი:

# დეკემბრის ასტროლოგიური პროგნოზი

*— დეკემბრის დასაწყისში რამ შეიძლება გამოიწვიოს სირთულეები და ვირუსულ-ეპიდემიური აფეთქება? 13 რიცხვის შემდგომ რა იქნება მიზეზი პირად და საოჯახო ურთიერთობებსა თუ ბიზნესში დაპირისპირებების, გაუგებრობებისა და კამათის ანდა როდემდე გასტანს ეს მდორე დისონანსური პერიოდი? რა და რა თვისებებს გაამახვილებს ადამიანებსა და მოვლენებში ზამთრის მზებუდობის საკრალურ დღეს მზის გადანაცვლება მშვილდოსნიდან თხის რქის ზოდიაქოს ნიშანში? დეკემბრის რომელ მონაკვეთში იქნებიან პლანეტები უფრო ლმობიერნი ადამიანების მიმართ, როდის არის სასურველი ყველაზე მნიშვნელოვანი საქმისა და პრიორიტეტული მოლაპარაკებების, შეხვედრების და ღონისძიებების დაგეგმვა და რატომ? დეკემბრის ბოლო კვირა რით დაგვასაჩუქრებს და რა გაგვიძლიერებს წინასაახალწლო საზეიმო განწყობას? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი* **მიხეილ ცაგარელი** *გვესაუბრება.*

### 27 ნოემბერი - 3 დეკემბრის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
ოჯახში და სასიყვარულო ასპარეზზე მიმდინარე მოვლენები და მოულოდნელი ცვლილებები შინაგან დაძაბულობას გამოიწვევს, თუმცა, მნიშვნელოვანი ცვლილებები არ არის მოსალოდნელი. ერთგულება და ვალდებულებების შეგრძნება, მიზანსწრაფვა და ქცევის ნორმების დაცვა დაგეხმარებათ არსებული ბარიერების დაძლევაში. მოგზაურობა თქვენს ცხოვრებას მრავალფეროვნებას შეჰმატებს. შესაძლოა, იმიჯის, ცხოვრების, ურთიერთობის სტილის შეცვლაც მოისურვოთ.

**კურო** (21.04-20.05)
კარგი დროა ახალი ნაცნობობისთვის, შეხვედრებისთვის, სწავლისა და კვალიფიკაციის ამაღლებისთვის. ოღონდ ზედმეტად თავდაჯერებული ნუ იქნებით. ემოციები გააკონტროლეთ და ახალ სასიყვარულო ურთიერთობას მოერიდეთ, რადგან, შესაძლოა, შეცდომები დაუშვათ. მათ შორის, სამსახურსა და ბიზნესშიც. ეცადეთ, ფული რაციონალურად ხარჯოთ. შეხვედრები და შემოქმედებითი სამუშაო კი მოგებას გიქადით.

**ტყუპი** (21.05-22.06)
შემოსავლები თქვენს ძალისხმევაზეა დამოკიდებული. თუმცა, ფინანსებთან დაკავშირებით, შესაძლოა, ორაზროვანი სიტუაცია შეიქმნას. ყველაფერი ზედმიწევნით შეამოწმეთ, რადგან მაღალია დეზინფორმაციის, საბუთებში შეცდომებისა და დანაკარგების ალბათობა. კარგი პერიოდია საკუთარ კომპლექსებსა და ემოციურ პრობლემებში გასარკვევად. სახლში მშვიდი სიტუაცია შემოქმედებით მუშაობასა და ფარული ნიჭის გამოვლენას ხელს შეუწყობს.

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
ეს კვირა არახელსაყრელია სამსახურის შესაცვლელად, ახალი საქმის დასაწყებად ან ბიზნესში ცვლილებებისთვის. მეგობრები საქმეში მხარს დაგიჭერენ, თუმცა, რეალურ დახმარებას ვერ გაგიწევენ. ეცადეთ, ოჯახის წევრებთან და მეუღლესთან ურთიერთობა არ გაამწვავოთ. ახალი რომანი კი დიდ პრობლემასა და მითქმა-მოთქმას გამოიწვევს. მიღებული ინფორმაცია შემოწმების გარეშე არ გამოიყენოთ და გადაადგილებებისა და მგზავრობისას ყურადღება არ მოადუნოთ.

**ლომი** (23.07-23.08)
მეტად მეგობრული და მხიარული იქნებით, ამიტომ ადამიანებთან ურთიერთგაგება გაგიუმჯობესდებათ, მაგრამ სხვების დახმარების იმედი ნუ გექნებათ. შესაძლოა, სამომავლო პრიორიტეტები, მიზნები და გეგმები შეგეცვალოთ. ახალი რომანი ძალას შეგმატებთ და შემოქმედებით უნარს გაგიძლიერებთ. ეს პერიოდი მშვენიერია პირადი ნიჭის დემონსტრირებისთვის და ნაყოფიერი მუშაობის დასაწყებად. მაგრამ უცნობებს არ მიენდოთ და მიღებული ინფორმაციებიც შეამოწმეთ.

**ქალწული** (24.08-23.09)
კარგი პერიოდია დასვენებისა და ოჯახური პრობლემების მოსაგვარებლად. შესაძლოა, ინტერიერი შეცვალოთ, რემონტი წამოიწყოთ ანდა ბინის რეკონსტრუქცია ჩაატაროთ. იურიდიული სახის პრობლემაც არ არის გამორიცხული, ამიტომ ნუ იჩქარებთ და ინტუიციას მოუსმინეთ. შესაძლოა, ახლობლებზე ზრუნვა მოგიწიოთ და მათი პრობლემები მოაგვაროთ. ეს დრო ხელს არ შეუწყობს მოგზაურობას და უცხოელებთან ურთიერთობას.

**— წელიწადმაც გაირბინა... ქრისტეშობისთვეში რას უნდა ველოდოთ, რას გვაუწყებენ ვარსკვლავები?**

— **ნოემბრის ბოლოს დაწყებული სირთულეები 3 დეკემბრამდე გაგრძელდება. გარდა ამისა, არ არის გამორიცხული სხვადასხვა ვირუსულ-ეპიდემიური აფეთქებები, რომელიც გამოწვეული იქნება თხის რქის ზოდიაქოში მყოფი პლანეტა მერკურისა და ასევე პლანეტა ვენერას ზემოქმედებით, რომელიც 4 დეკემბრიდან ღრიანკალის ზოდიაქოში გადაინაცვლებს.** ამგვარი, საკმაოდ რთული პლანეტური წყობა უარყოფითად იმოქმედებს ადამიანთა შორის ურთიერთობებზე. შესაძლოა, სხვადასხვა ქვეყნის ლიდერებს შორის ურთიერთდამოკიდებულება დაიძაბოს, რასაც სერიოზული პოლიტიკური გართულება და კონფლიქტიც მოჰყვეს. ეს უკიდურესად არასასიკეთო ტენდენციები **5 დეკემბრამდე** გაგრძელდება. შემდგომ კი დედამიწა უფრო ჰარმონიულ ენერგეტიკულ ზონაში დაიწყებს შესვლას.

**— დეკემბრის მეორე დეკადაში რა ტენდენციებია მოსალოდნელი, როგორი იქნება ვითარება ცის კაბადონზე?**

— **13 დეკემბრის ახალმთვარეობის შემდეგ,** რეტროგრადული (უკუსვლით მოძრავი) **პლანეტა მერკური** პირად ურთიერთობებს დაძაბავს. აგრეთვე, **17 დეკემბერს მზე** დინამიკურ კვადრატს შექმნის **პლანეტა ნეპტუნთან. ცის კაბადონზე ამგვარმა ვითარებამ, შესაძლოა, გამოიწვიოს კამათი და ჩხუბი ოჯახის წევრთა და წყვილთა შორის საყოფაცხოვრებო საკითხებისა და წვრილმანი გაუგებრობების გამო. მსგავს დაპირისპირებას, გაუგებრობასა და კამათს, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს სამსახურსა თუ ბიზნესშიც. ეს მდორედ მიმდინარე დისონანსური პერიოდი 19 რიცხვამდე გასტანს.**

**— რა და რა თვისებებს გაამახვილებს თვის მესამე დეკადის დასაწყისში ზამთრის მზებუდობის საკრალურ დღეს მზის გადანაცვლება მშვილდოსნის ზოდიაქოდან თხის რქის ზოდიაქოში?**

— **მზე 22 დეკემბერს** (07.28), **ზამთრის მზებუდობის ყველაზე მოკლე დღისა და გრძელი ღამის საკრალურ დღეს, გადაინაცვლებს თხის რქის ზოდიაქოში.** უნდა აღინიშნოს, რომ ამ დღეს კოსმოსური პორტალი იხსნება და **სასიკეთოა ლოცვა და ყველას დალოცვა. ახალი მზე იბადება! სურვილები ჩაუთქვით.** მზე გადაინაცვლებს რა თხის რქის ზოდიაქოს ნიშანში, უახლოესი ერთი თვის მანძილზე, ადამიანებში გაამახვილებს ორგანიზებულობას, დისციპლინას, ნებისყოფას, შეუპოვრობას, პრაგმატულობას, კონსერვატიულობას, პასუხისმგებლობას, შრომისმოყვარეობას, მაქსიმალიზმს, ტრადიციებისკენ მიდრეკილებას და ასევე სიჯიუტესა და პირდაპირობასაც. ნიშანდობლივია ისიც, რომ **22 დეკემბრიდან მზე თხის რქის ზოდიაქოს ნიშანში შეუერთდება** გონების, ინტელექტისა და კომუნიკაციების მმართველ პლანეტა მერკურს, რის შემდგომაც გამოჩნდება საკითხთა პოზიტიური გადაწყვეტის გზები და საწყისები. მზის უარყოფითი ასპექტები ნელ-ნელა დაშორიშორებას დაიწყებს, რაც დედამიწის ბიოსფეროზე დადებითად აისახება და კოსმოსური ქარიშხალიც ჩაწყნარდება. სწორედ ამიტომაც ყველაზე მნიშვნელოვანი საქმეები, პრიორიტეტული შეხვედრები და ღონისძიებები სასურველია, დეკემბრის ამ მონაკვეთში დაიგეგმოს. ამავდროულად, თვის მესამე დეკადაში, აუცილებელი იქნება დინჯად და გააზრებულად მოქმედება. ნიშანდობლივია, რომ მთვარის ფაზის ზრდასთან ერთად პლანეტებიც ადამიანების მიმართ უფრო ლმობიერნი გახდებიან, ამიტომ ეს დრო უმჯობესია, გამოყენებული იქნეს ჯანმრთელობის აღსადგენად და ფსიქოემოციური ფონის გასაუმჯობესებლად. ამავდროულად, პლანეტების მარსისა და მერკურის ზეგავლენით ღირსეულ შედეგს მოიტანს რთული და ხანგრძლივი შრომა, შემოქმედებითი მოღვაწეობა კი სათანადოდ დაფასდება.

**— როგორი იქნება წლის მიწურულს ვითარება ცის კაბადონზე, პლანეტათა განწყობა და ზემოქმედება?**

— **27 დეკემბრის სავსემთვარეობა** საბოლოო წერტილს დაუსვამს ძველ საქმეებს. დეკემბრისა და წლის ბოლო კვირა დაგვასაჩუქრებს ოპტიმისტურობითა და სილაღით. **28 დეკემბრიდან** კი ქონებისა და ინტელექტის მმართველი **პლანეტა მერკური** შეუერთდება ქმედითუნარიანობის მმართველ **პლანეტა მარსს,** რის შემდგომ უკვე თამამად შეიძლება **მომავალი ახალი 2024 წლის მნიშვნელოვანი ჩანაფიქრებისა და მიზნების დაგეგმვა. დეკემბრის ბოლო დღეებში** ადამიანებს შორის ურთიერთობებიც გაცილებით მარტივი და სასიამოვნო გახდება, რაც უფრო სასიკეთოსა და შედეგიანს გახდის წინასაახალწლო დღეებს და საზეიმო განწყობასაც გაგვიძლიერებს.

*რუბრიკას უძღვება*
***მარინა მერკვილაძე***

### 27 ნოემბერი - 3 დეკემბრის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)
ენერგიული იქნებით და პოლიტიკის, ისტორიისა და კულტურის მიმართ ინტერესი გაგიჩნდებათ. ახალი გეგმებისა და იდეების განსახორციელებლად მარტო ნუ იმოქმედებთ და საჭიროებისას დახმარება უახლოეს მეგობრებს სთხოვეთ. სახლის საქმე და მოვალეობა დამღლელი იქნება, რაც, შესაძლოა, ნათესავებთან კამათის მიზეზი გახდეს. პრეტენზიების გამოხატვას მოერიდეთ, რათა კრიტიკა არ დაიმსახუროთ. ბუნებასთან კონტაქტი კი სულიერ წონასწორობას დაგიბრუნებთ.

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
ნუ მოდუნდებით, გაბედულად იმოქმედეთ. თქვენი აზროვნების სტილი მისაბაძი გახდება. მიუხედავად ამისა, უმჯობესია, არ გარისკოთ, რეპუტაციას გაუფრთხილდით და ყველა საკითხი პირად ან საქმიან პარტნიორთან შეათანხმეთ. ნურავის დაუპირისპირდებით, მაგრამ ტაქტიანად მოსთხოვეთ გარშემო მყოფებს ვალდებულებების შესრულება. სასიყვარულო ურთიერთობის არსებული ფორმა აღარ დაგაკმაყოფილებთ, თუმცა, ცვლილებები მხოლოდ ქაოსს გამოიწვევს.

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
არაერთგვაროვანი პერიოდია, როცა ცდუნებების ალბათობა დიდია, ამიტომ არ გარისკოთ და სიფრთხილე გამოავლინეთ. ენერგიის მოზღვავება აქტიური ქმედებებისაკენ გიბიძგებთ. უცხოეთიდან ან უცხოელისგან მიღებულ ინფორმაციას უყურადღებოდ ნუ დატოვებთ. შესაძლოა, პრობლემა შეგიქმნათ ოჯახის წევრთა ფსიქოლოგიურმა ან ჯანმრთელობის მდგომარეობამ. ალკოჰოლს მოერიდეთ და მგზავრობისა და გადაადგილებებისას ნუ აჩქარდებით, რათა არ დაშავდეთ.

**თხის რქა** (22.12-19.01)
სამსახურის ან პროფესიის შეცვლა მოითხოვს დამატებითი ცოდნის მიღებას და კვალიფიკაციის ამაღლებას. შესაძლოა, ოჯახთან და სახლთან დაკავშირებით ძველი ჩანაფიქრი განახორციელოთ. საჭიროების შემთხვევაში ჯობს, დროულად დათმოთ, რათა საქმიან და პირად ურთიერთობებში კეთილგაწყობა და ნდობა შეინარჩუნოთ. შორეულ მოგზაურობას მოერიდეთ და შეძლებისდაგვარად გადადეთ სამედიცინო ოპერაციები.

**მერწყული** (20.01-18.02)
საქმეში წარმატებისთვის არაორდინარული გზები და მეთოდები გამოიყენეთ. კარგი პერიოდია აუცილებელი ინფორმაციის შესაგროვებლად, ახალი ადამიანების გასაცნობად, უცხოელებთან ან უცხოეთში მყოფ მეგობრებთან საქმიანი მოლაპარაკებების გასამართავად. გადაადგილებები და კონტაქტები გაგიუმჯობესებთ განწყობას და გაგახალისებთ. ურთიერთობისას კი ეცადეთ, გულთბილი და ტაქტიანი იყოთ.

**თევზები** (19.02-20.03)
საქმიან პარტნიორებთან მოლაპარაკებებისას კატეგორიული ნუ იქნებით, რადგან, შესაძლოა, თქვენს ხელთ არსებული ინფორმაცია საკმარისი არ იყოს და ამან ავტორიტეტი შეგილახოთ. მოტყუებისა და ინტრიგების ალბათობაც არსებობს, თუმცა, კოლეგების მხარდაჭერით სწრაფად შეძლებთ საქმის გამოსწორებას. ახალი სასიყვარულო ურთიერთობა მთლიანად დაიმონებს თქვენს გონებას და გაგიძლიერებთ ფანტაზიას. ზედმეტად თავისუფალმა კავშირმა, შესაძლოა, შიში და კომპლექსები გაგიჩინოთ.



## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია

### 29 ნოემბერი და 1, 2 დეკემბერი

**27 ნოემბერი - სავსემთვარეობა, პიკი - 13.17 საათზე;**
**13 დეკემბერი - ახალმთვარეობა, პიკი - 03.32 საათზე;**
**27 დეკემბერი - სავსემთვარეობა, პიკი - 04.34 საათზე.**



# რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 27 ნოემბერი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 08.04 საათზე, ჩადის 17.33 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (04.30) ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 17.18 საათზე, ჩადის 28 ნოემბერს 08.06 საათზე (მთვარის მე-15 დღე იწყება 16.04 საათზე. **სავსემთვარეობაა**, პიკი — 13.17 საათზე. ამ დროს იწყება მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 01.52 საათიდან 04.30 საათამდე. **ტენდენციები:** დაძაბული ენერგიების დღეა. მაღალია კონფლიქტის, შეცდომების, ცდუნებების და სხვა ნეგატიური მოვლენების ალბათობა. მოერიდეთ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებას, ეცადეთ, დღე მშვიდად გაატაროთ. არ არის სასურველი ხორციელი საკვების მიღება, ყიდვა-გაყიდვა, ქორწინება, უძრავი ქონების შეძენა, ფულის სესხება-გასესხება. სასიკეთოა მოტივება. ასევე იმატებს ინტრიგების, ჭორების, დაცინვის, მოტყუების ალბათობაც. კარგი დღეა სამეცნიერო კვლევებისთვის, მიმოწერისთვის, სწავლისთვის, რეკლამირებისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ფილტვები, ბრონქები, მხრები, ხელები. **ქვები:** ტოპაზი, აკვამარინი, ნეფრიტი, ჰიაცინტი, ლაბრადორიტი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის.

## 28 ნოემბერი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 08.04 საათზე, ჩადის 17.33 საათზე. **მთვარე** ტყუპის ზოდიაქოშია. ამოდის 18.02 საათზე, ჩადის 29 ნოემბერს 09.17 საათზე (მთვარის მე-16 დღე იწყება 17.11 საათზე. მე-3 ფაზა). **ტენდენციები:** დღეს სიტყვები გააკონტროლეთ, საიდუმლოს ნუ გათქვამთ. ძილის წინ ზედმეტ ინფორმაციას ნუ მიიღებთ. მოერიდეთ უჰაერო სივრცეში ყოფნას, სიმძიმეების აწევას. მოიმატებს ინტუიცია, სექსუალურობა. კარგი დღეა სახლის დასალაგებლად, საკანცელარიო ნივთების, საკომუნიკაციო აპარატურის შესაძენად, საბანკო ოპერაციებისთვის, გარიგებებისთვის, სწავლისთვის, აუქციონებისა და რეკლამირებისთვის, ინფორმაციის გაცვლისთვის. არ არის სასურველი ქორწინება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, ახალი საქმის დაწყება, თმის შეჭრა-შეღებვა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ფილტვები, ბრონქები, მხრები, ხელები. **ქვები:** ტოპაზი, აკვამარინი, ამაზონიტი, ჰიაცინტი, ნეფრიტი. **პოზიტიური დღეა** ტყუპისთვის, ლომისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 29 ნოემბერი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 08.06 საათზე, ჩადის 17.32 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (10.21) კირჩხიბის ზოდიაქოში. ამოდის 18.54 საათზე, ჩადის 30 ნოემბერს 10.21 საათზე (მთვარის მე-17 დღე იწყება 17.58 საათზე. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 05.03 საათიდან 10.53 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს და ხვალ იმატებს ილუზიებისა და მოტყუების ალბათობა. შეინარჩუნეთ სიმშვიდე, შეამცირეთ კონტაქტები. აკონტროლეთ აგრესიულობა. კარგი დღეა ტექნიკის ყიდვა-გაყიდვისთვის, კულინარიული საქმიანობისთვის, ბავშვის ჩასახვისთვის, საოჯახო-სანათესაო ურთიერთობებისთვის, ვაჭრობისთვის, ანტიკვარული ნივთების შესაძენად. არ არის სასურველი ქორწინება, ადგილსამყოფლის ან ბინის შეცვლა, სესხის აღება, საბუთები ხელმოწერამდე კარგად შეამოწმეთ. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია მკერდი, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, კუჭი. **ქვები:** ზურმუხტი, ოპალი, აქატი, მარჯანი, რაუხტოპაზი. **პოზიტიური დღეა** კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, მერწყულისთვის.

## 30 ნოემბერი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 08.07 საათზე, ჩადის 17.32 საათზე. **მთვარე** კირჩხიბის ზოდიაქოშია. ამოდის 19.54 საათზე, ჩადის 1 დეკემბერს 11.16 საათზე (მთვარის მე-18 დღე იწყება 19.02 საათზე. მე-3 ფაზა). **ტენდენციები:** დღეს შრომისმოყვარეობა და მოთმინება წარმატების საწინდარი იქნება. ამავდროულად, მაღალია ცდუნებებისა და სიცრუის ალბათობა. ემოციები და ხასიათცვალებადობა გააკონტროლეთ. ზედმეტად ეჭვიანი ან მიმნდობი ნუ იქნებით. კარგი დღეა შემოქმედებისთვის, ბავშვის ჩასახვისთვის, საოჯახო-სანათესაო ურთიერთობებისთვის, რაიმეს შესაძენად, ვაჭრობისთვის, სასამართლო პროცესის დასაწყებად. ცხოველების შესაძენად. არ არის სასურველი ქორწინება, ადგილსამყოფლის ან ბინის შეცვლა, სესხის აღება. მაღალია ფინანსური შეცდომების ალბათობა. საბუთები ხელმოწერამდე კარგად შეამოწმეთ. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია მკერდი, კუჭი, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი. **ქვები:** ზურმუხტი, ოპალი, მარგალიტი, ამეთვისტო, აქატი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ტყუპისთვის, ლომისთვის.

## 1 დეკემბერი, პარასკევი

**მზე** იმყოფება მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 08.08 საათზე, ჩადის 17.32 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (19.48) ლომის ზოდიაქოში. ამოდის 20.58 საათზე, ჩადის 2 დეკემბერს 12.00 საათზე (მთვარის მე-19 დღე იწყება 20.19 საათზე. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 17.07 საათიდან 20.00 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეიდან გონებისა და ინტელექტის მმართველი პლანეტა მერკური გადაინაცვლებს **თხის რქის ზოდიაქოში** (23 დეკემბრამდე), რაც ადამიანებში გააძლიერებს ორგანიზებულობას, პრაგმატულ აზროვნებას, დისციპლინას, შეუპოვრობას, კარიერისკენ მიდრეკილებას, მაქსიმალიზმს და ასევე გაამახვილებს სიჯიუტეს, პირდაპირობას. დღეს სიმართლე დაიცავით. იმატებს აურის ენერგოდაბინძურების ალბათობა. მოერიდეთ ხალხმრავალ ადგილებს. საღამოს მოერიდეთ ნერვიულობას, სიმძიმეების აწევას, ფიზიკურ-ემოციურ გადაღლას. კარგი დღეა კუჭისა და ღვიძლის სამკურნალოდ, შემოქმედებისთვის, საოჯახო-სანათესაო ურთიერთობისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია კუჭი, მკერდი, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, გული, ხერხემალი. **ქვები:** ზურმუხტი, აქატი, მარჯანი. **საღამოს** ბრილიანტი, ქარვა, სარდიონი. **პოზიტიური დღეა** თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის.

## 2 დეკემბერი, შაბათი

**მზე** იმყოფება მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 08.09 საათაზე, ჩადის 17.31 საათზე. **მთვარე** ლომის ზოდიაქოშია. ამოდის 22.03 საათზე, ჩადის 3 დეკემბერს 12.35 საათზე (მთვარის მე-20 დღე იწყება 21.39 საათზე. მე-3 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს და ხვალ ცოდნის მიღებისა და თვითშემეცნების დღეებია. სასიკეთოა თანამოაზრეებთან მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა. მეტი დრო დაუთმეთ ოჯახსა და საყვარელ ადამიანებს. შესაძლებელია შეწყვეტილი ურთიერთობების აღდგენა. შედეგიანი იქნება თვალებისა და ნერვული სისტემის მკურნალობა. კარგი დღეა ახალი სამსახურის დასაწყებად, იურიდიული საქმეების, მეგობრული კონტაქტებისთვის, ძვირფასი ნივთებისა და საჩუქრების შესაძენად. არ არის სასურველი ფიზიკურ-ემოციური გადაღლა, ფინანსური გარიგება, ბინის შეცვლა, ქორწინება, ხელშეკრულების დადება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი. **ქვები:** ბრილიანტი, მთის ბროლი, სერდოლიკი, ქარვა, სარდონიქსი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.

## 3 დეკემბერი, კვირა

**მზე** იმყოფება მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 08.10 საათზე, ჩადის 17.31 საათზე. **მთვარე** ლომის ზოდიაქოშია. ამოდის 23.07 საათზე, ჩადის 4 დეკემბერს 13.03 საათზე (მთვარის 21-ე დღე იწყება 22.58 საათზე. მე-3 ფაზა). **ტენდენციები:** სასიკეთო დღეა დასვენებისა და მეგობრული ურთიერთობებისთვის. ეცადეთ, თავად ის თვისებები გამოავლინოთ, რომელთა დანახვაც სხვებში გსურთ. იღბლიანი დღეა მგზავრობისთვის. კარგი დღეა ძვირფასი ნივთების, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, საჩუქრების შესაძენად, კულტურული ღონისძიებებისთვის. არ არის სასურველი ნერვიულობა, გადაღლა, ქორწინება, ფინანსური გარიგება, ეგოიზმისა და პრეტენზიულობის გამოვლენა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი. **ქვები:** ბრილიანტი, მთის ბროლი, ქარვა, სარდონიქსი, სერდოლიკი. **პოზიტიური დღეა** ტყუპისთვის, ლომისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის. **ნეგატიურია** თხის რქისთვის, თევზებისთვის.



✝ **27 ნოემბერი. ორშაბათი.** მოციქულისა ფილიპესი, 12-თაგანისა; კეთილმსახურისა მეფისა იუსტინიანესი და დედოფლისა თეოდორასი; გრიგოლ პალამასი, თესალონიკელი მთავარეპისკოპოსისა.

✝ **28 ნოემბერი. სამშაბათი.** მოწამეთა და აღმსარებელთა: გურიასი, სამონასი და აბიბოსისა; მოწამეთა: ელპიდესი, მარკელისა და ევსტოქისა; მოწამისა დიმიტრისა; ღირსისა პაისი ველიჩკოველისა. **დასაწყისი ქრისტეშობის მარხვისა.**

✝ **29 ნოემბერი. ოთხშაბათი. წმიდისა დიდებულისა, ყოვლადქებულისა მოციქულისა და მახარებელისა მათესი;** მართლისა ფულბიანესი, წმიდა ნათლისღებით მათესი, ეთიოპიელი მთავრისა.

✝ **30 ნოემბერი. ხუთშაბათი.** დიდმოწამისა მიქაელისა, რომელსა ეწოდა გობრონ და 133-თა მოწამეთა, მხედართა მისთა; გრიგოლ სასწაულმოქმედისა, ნეოკესარიელი ეპისკოპოსისა;



30 ნოემბერი – ხსენება დიდმოწამისა მიქაელისა, რომელსა ეწოდა გობრონ და 133-თა მოწამეთა, მხედართა მისთა

ღირსისა ლაზარე ხატმწერისა, აღმსარებელისა.

✝ **1 დეკემბერი. პარასკევი.** მოწამისა პლატონისა; მოწამეთა რომანოზ დიაკონისა და ყრმისა ბარულისა; მოწამეთა ზაქესი, ღადარინელი დიაკონისა და ალფესისა, კესარიელი წიგნისმკითხველისა. **კრება ყოველთა წმიდათა, ესტონეთის მიწაზე გაბრწყინვებულთა.**

✝ **2 დეკემბერი. შაბათი. ღირსისა ილარიონ ქართველისა, სასწაულმოქმედისა;** წინასწარმეტყველისა აბდიასი, 12-თაგანისა; მოწამისა ვარლაამისა; ღირსთა: ბალაჰვარისა და იოდასაფისა, ინდოეთის უფლისწულისა და მამისა მისისა აბენეს მეფისა; მოწამისა მამისა აზასი და მისთანა 150-თა მხედართა; მოწამისა ილიოდორესი; ფილარეტისა, მოსკოველი მიტროპოლიტისა.

✝ **3 დეკემბერი. კვირა. წინადღესასწაული ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ტაძრად მიყვანებისა.** ღირსისა გრიგოლ დეკაპოლელისა; პროკლესი, კონსტანტინოპოლელი მთავარეპისკოპოსისა; მოწამისა დასისა; მოწამეთა: ევსტათისა, თესპესისა და ანატოლისა; მღვდელმოწამეთა: ნერსე ეპისკოპოსისა და იოსებისა, მოწაფისა მისისა, იოანესი, სავერისა, ისააკისა და იპატისა, სპარსელ ეპისკოპოსთა; მოწამეთა: აზატი საჭურისისა, სასონისა, თეკლასი, ანასი და სხვათა მრავალთა მამათა და დედათა, სპარსეთს წამებულთა.

წმიდა მოციქული და მახარებელი **მათე,** რომელსაც **ლევისაც** უწოდებდნენ, **ალფესის ძე იყო და ნაზარეთში დაიბადა. მათე** მეზვერე, ანუ მებაჟე იყო. როცა **იესო ქრისტემ** პირველად იხილა, მოუწოდა — **„მომდევდი მე“...** და ისიც ადგა და გაჰყვა მაცხოვარს. **მათემ** ცოდვები მოინანია და მთელი ქონება გლახაკებს დაურიგა. იგი სხვა მოციქულებთან ერთად **ქრისტეს შეუდგა** და მისი **ჯვარზე ვნების, სიკვდილის, ბრწყინვალე აღდგომისა და ზეცად ამაღლების მოწმე გახდა.** მერე კი, როცა სულიწმიდის მადლით აივსო, 8 წლის განმავლობაში ქადაგებდა პალესტინაში.



29 ნოემბერი – ხსენება წმიდისა დიდებულისა, ყოვლადქებულისა მოციქულისა და მახარებელისა მათესი

**მათემ** იერუსალიმში დარჩენილი იუდეველების თხოვნით სახარება დაწერა **ქრისტეშობიდან 42 წელს,** ებრაულ ენაზე, საიდანაც ბერძნულად ითარგმნა. სახარებაში მან აღწერა მაცხოვრის მიწიერი ცხოვრება, მისი სწავლება. **მოციქული მათე** თავის ქადაგებაში განსაკუთრებით ამახვილებდა ყურადღებას იმაზე, რომ სწორედ **ქრისტე იყო წინასწარმეტყველთაგან აღთქმული ჭეშმარიტი მესია.**

**მათე მახარებელმა** ქადაგებებით შემოიარა სირია, მიდია, სპარსეთი და ბოლოს ეთიოპიაში დაასრულა მოწამებრივად მოციქულებრივი ღვაწლი.

**ღირსი მამა ილარიონი კახელი** აზნაურის ვაჟი იყო, დონაურთა გვარიდან. მის მშობლებს სხვა შვილებიც ჰყავდათ, მაგრამ რაც შეეხება **ილარიონს,** დაბადებისთანავე ღმერთისთვის იყო შეწირული. ექვსი წლის ასაკში სასწავლებლად ღირსეულ და ღვთის მოყვარე კაცს მიაბარეს. ყრმა განსაკუთრებული ნიჭიერებით გამოირჩეოდა. მამამ გაითვალისწინა შვილის გულმოდგინება, სიყვარული და იქვე სოფელში ააშენა მონასტერი, სადაც მალე თექვსმეტმა ბერმა მოიყარა თავი.

თოთხმეტი წლის ილარიონმა მონასტერი დატოვა და გარეჯის უდაბნოს მიაშურა, სადაც პატარა გამოქვაბული იპოვა და იქ დაეყუდა. კურთხევის მერე **ღირსი მამის სახელი ახალი დიდებით შეიმოსა. იგი იერუსალიმს გაემგზავრა წმიდა ადგილების** მოსალოცად. **ნეტარმა ილარიონმა** ჯერ დედათა მონასტერი ააშენა, მერე მამათა. **წმიდა ილარიონი** ორი წელი **რომში** ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, მერე კვლავ **კონსტანტინოპოლში** დაბრუნდა. იგი მრავალ სასწაულს აღასრულებდა. **წმიდა ილარიონი თესალონიკში** დასახლდა და დარჩენილი ცხოვრება იქ გაატარა, ქალაქის მთავრის მიერ აშენებულ ეკლესიაში. აღსასრული მას წინასწარ ეუწყა უფლისგან. **ილარიონმა** ქალაქის მთავარი დაიბარა. მადლობა გადაუხადა ყველაფრისთვის და ანდერძად დაუტოვა გლახაკთა, ქვრივობოლთა, მონაზონთა და სამართლიანობის სიყვარული.



2 დეკემბერი – ხსენება ღირსისა ილარიონ ქართველისა, სასწაულმოქმედისა


იმედის კლინიკა

თბილისი, დიდი დიღომი, მირიან მეფის 10ა

imediclinic.com

* ორსულ ქალთა კონსულტაცია
* სამშობიარო სახლი
* პედიატრიული კლინიკა
* გინეკოლოგიური დეპარტამენტი

პროფესიონალიზმი, უახლესი აპარატურა, ოჯახური გარემო

სამშობიარო: 032 229-56-50

პედიატრიული კლინიკა: 032 223-85-80




**32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:**

თარაზულად: 1. დუმბაძე; 7. სამბო; 12. პრიმატი; 13. დინგო; 14. მადრიდი; 15. ფორტე; 16. ფრიდონი; 17. კუკია; 18. ატენური; 19. ლობიო; 20. ზვარაკი; 21. ლენცი; 22. აპენინი; 26. სფერო; 27. ნანეტი; 30. ნიავი; 32. კამიკაძე; 33. კიპი; 35. კორდე; 37. სოლიტერი; 41. კატამარანი; 42. ჩადი; 44. სანდალოზი; 45. სინაგოგა; 49. რისკი; 51. არაგონიტი; 56. კორვალოლი; 58. ხასა; 60. რე; 61. კინემატიკა; 62. პიციკატო; 64. კისტა; 65. ვეტერინარი; 66. სტადიონი.

შვეულად: 1. დამბაჩა; 2. მედრესე; 3. ალიყური; 4. ეპიფიზი; 5. ტიტიკაკა; 6. სანოვაგე; 7. სიფილისი; 8. მარაბდელი; 9. ოდეკოლონი; 10. ანაკონდა; 11. მოკასინი; 23. პუარო; 24. ნაიკი; 25. ნუარე; 27. ნეკი; 28. ნორმა; 29. ტრეკი; 31. ვაენგა; 33. კიტრი; 34. პომპა; 36. არგო; 37. სესია; 38. ლანკა; 39. ტლაპო; 40. რგოლი; 42. ჩირი; 43. დასტა; 45. სიკა; 46. ნერბი; 47. გვარი; 48. გრო; 50. პითონი; 52. რაიმე; 53. გოეთე; 54. ნიაზი; 55. ტაიგა; 57. ლეკვი; 58. ხაკი; 59. სასა; 62. პას; 63. ცდა.

**მარტინიკაპიურემიმოზაიკაროსინიკოლონაგრიალი**
**მელანინინიკედელიბიზეკარიერინიაზიდანიელადამი**

| კუნძული ვესტ-ინდოეთში | აზელილი კარტოფილის კერძი | „მორცხვი“ ყვავილი | დედალოსის ვაჟი | კიდმანი | გარეული ვირი | ამერიკელი მოკრივე |
|---|---|---|---|---|---|---|
| გაზაფხულის თვე | სახის ნაწილი | ძველებური „ტრანსპორტი“ | ფერადი კენჭებით შედგენილი სურათი | იტალიელი კომპოზიტორი | ძეგლი სვეტის სახით | გამანადგურებელი ქარიშხალი |



თარაზულად: 1. ქართველი მწერალი („კუკარაჩა“); 7. ჭიდაობის სახეობა; 12. უპირატესი მნიშვნელობა, პირველობა; 13. ავსტრალიური ველური ძაღლი; 14. ესპანეთის დედაქალაქი; 15. პიანოს საპირისპირო ცნება; 16. ნურადინ ... — „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი; 17. თბილისის უბანი; 18. ქართული ღვინო; 19. პარკოსანი კულტურა; 20. მსხვერპლად შესაწირავი; 21. პოლონელი ფერმწერი; 22. ნახევარკუნძული, რომელზეც მდებარეობს იტალია; 26. გეომეტრიული სხეული; 27. თმის ვარცხნილობა; 30. სუსტი ქარი, სიო; 32. იაპონელი თვითმკვლელი მფრინავი მეორე მსოფლიო ომის დროს; 33. ლაოსის ფულის ერთეული; 35. მარატის მკვლელი ქალბატონი; 37. ადამიანის ნაწლავების პარაზიტი ჭია; 41. ერთგვარი სატვირთო გემი; 42. აფრიკის სახელმწიფო; 44. მარადმწვანე ტროპიკული ხე; 45. ებრაელთა ტაძარი; 49. ალალბედზე მოქმედება; 51. მინისებრი ელვარების მქონე მინერალი — კალციუმის კარბონატი; 56. გულის სამკურნალო პრეპარატი; 58. საყვარელი (ძვ.); 60. მეორე ნოტი; 61. თეორიული მექანიკის დარგი; 62. თითის ამოკვრით, უხემოდ დაკვრა ხემიანი საკრავისა; 64. კეთილთვისებიანი სიმსივნე; 65. საქონლის ექიმი; 66. სპორტული ნაგებობა.

შვეულად: 1. ხელის ძველებური ცეცხლსასროლი იარაღი; 2. მაჰმადიანთა სასულიერო სასწავლებელი; 3. სილის გაწვნა; 4. ტვინის ზედა დანამატი; 5. ტბა პერუსა და ბოლივიაში; 6. სურსათი, ხორაგი; 7. ვენერიული დაავადება; 8. მიხეილ ჯავახიშვილი — „არსენა ...“; 9. პარფიუმერული სურნელოვანი წყალი; 10. ყველაზე მსხვილი მახრჩობელა გველი; 11. ჩრდილოამერიკელი ინდიელების ფეხსამოსი; 23. დეტექტივი ერკიულ ... — პერსონაჟი აგატა კრისტის დეტექტივისა; 24. ამერიკული სპორტული სამოსის ფირმა; 25. ფრანგი მსახიობი მამაკაცი; 27. პატარა თითი; 28. რისამე დაწესებული რაოდენობა; 29. ველოდრომი; 31. რუსი მომღერალი ქალი; 33. ბოსტნეული კულტურა; 34. გარეგნული მოჩვენებითი ბრწყინვალება; 36. იაზონის ხომალდი; 37. პარლამენტის პერიოდული სხდომა; 38. აზიის სახელმწიფო შრი ...; 39. თხელი ტალახი, ლაფი; 40. წრეხაზის ფორმის საგანი; 42. გამხმარი ხილი; 43. მედუდუკეთა ანსამბლი; 45. იტალიელი რეჟისორი ვიტორიო დე ...; 46. დედალი ცხვარი; 47. ჯიში, მოდგმა; 48. ფრანგი ფერმწერი; 50. გველის სახეობა; 52. რამე, რაღაც; 53. გერმანელი პოეტი; 54. ტაჯიკი მწერალი; 55. ხშირი წიწვოვანი ტყის ზოლი; 57. ძაღლის ნაშიერი; 58. მოყავისფრო მწვანე; 59. პირის ღრუს ზედა თაღისებრი ნაწილი; 62. უარის თქმა თამაშზე ბანქოს თამაშში; 63. ექსპერიმენტი.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| პიგმენტი – განსაზღვრავს კანის, თმის შეფერილობას | შენობის შვეული ნაწილი | ფრანგი კომპოზიტორი | ადგილი, საიდანაც იღებენ ქვიშას, ქვას | ტაჯიკი სახალხო მწერალი | მწერალი ... ჭონქაძე | ედემის ბაღის ბინადარი |
|---|---|---|---|---|---|---|
| საწერი სითხე | გამარჯვების ქალღმერთი | ფრანგი კომპოზიტორი | სუხიშვილების ცეკვა | შურისმაძიებელი ბერძნ. ქალღმერთი | ფრანგი ეხსფეხბურთელი | ძველი საბერძნეთი | მე-3 ნოტი |

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.









რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.


დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს

დამოუკიდებელი და ზვაარბიული

ასავალ დასავალი

2023 წლის 27 ნოემბერი – 3 დეკემბერი №51 (1515)

გამოდის ორშაბათობით

2 009882 637296

მეღიაჰოჩჰოჩაცია "ასავალ-ღასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"

მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე:

mail@asavali.com

„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: www. asavali.com

ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე: www. facebook.com/Asavali.com

გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**


